



საქართველოს პარლამენტის არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
THE STATE COUNCIL OF HERALDY AT THE PARLAMENT OF GEORGIA

გიორგი ლობჟანიძე

ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები
საქართველოს შესახებ

(XVI-XVIII სს.)

მეორე გამოცემა



თბილისი

2010

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი და მიმზიდულია ავტორის პირად ქოლექციაში დაცული XVI-XVIII საუცხევების ის ეკრობაზე კარტოგრაფიული მასალა, ილუსტრაციები და წერილობითი წყაროები საქართველოს შესახებ, რომლებიც აქამდე არასათანადოდ, ანდა საერთოდ არ იყო გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

სამეცნიერო რედაქტორი

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რევიზორები:

გილა გალაშვილი

ისტორიის დოქტორი, პროფესორი

ჯაბა სამიშვილი

ისტორიის დოქტორი, პროფესორი

მიხეილ ძურიაძე

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კონსულტანტი

განანა ჭეშილაძე

ისტორიის მაგისტრი

Copyright © გიორგი ლობჟანიძე. 2010.

სავტორო უფლებები დაცულია. ავტორის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია წიგნში არსებული მასალების ფოტოკოპირება ან მათი გამოყენება სხვა ნებისმიერი ფორმით. ელ-ფოსტა: giorgi.lobzhanidze@gmail.com.

დიზაინი მატევა გონგაძის. გარეპარტე განთავსებულია ნიკოლა სანსონის მიერ შედგენილი საქართველოს რუკა. მესამე გვერდზე გამოსახულია საქართველოს თემასთან დაკავშირებული ვაზის სიმბოლი სემასტიან მიუნისტერის წიგნიდან “კოსმოგრაფია”.

GEORGE LOBZHANIDZE

EUROPEAN MAPS AND HISTORICAL SOURCES ABOUT GEORGIA (XVI-XVIII CC.)

Editor in chief

NIKO JAVAKHISHVILI

Doctor of Historical Sciences, Professor

Reviewers:

GIA GELASHVILI

Doctor of History, Professor

JABA SAMUSHIA

Doctor of History, Professor

MIKHEIL KURDIANI

Doctor of Philological Sciences, Professor

Consultant

MANANA SHEKILADZE

Master of History

Copyright © George Lobzhanidze. 2010.

All rights reserved. No part of this work may be reproduced or utilized in any form including photocopying, without the prior written permission of the author. e-mail: giorgi.lobzhanidze@gmail.com.

Design by: Mamuka Gongadze. Cover page: the map of Georgia by Nicolas Sanson. The illustration on the third page shows Georgian theme from Sebastian Münster's book "Cosmographia".

ISBN 978-9941-0-2862-5

შინაარსი

რედაქტორისგან	6
შესავალი	7
მოკლე ცნობები კარტოგრაფიის ისტორიდან	9
საქართველო ერთიანი სამეფოს დაშლიდან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვამდე (ისტორიული ვითარების მოკლე მიმოხილვა)	18
XVI-XVIII საუკუნეების ევროპული კარტოგრაფია საქართველოსთან მიმართებაში	22
რუკები და საისტორიო წყაროები კომენტარებით	30
European maps and historical sources about Georgia, XVI-XVIII centuries (Summary)	91
შენიშვნები	101
გამოყენებული ლიტერატურის სია	110

რედაქტორისგან

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს საქართველოს გეოგრაფიული და რუკების კოლექციონერთა საერთაშორისო საზოგადოებრივის წევრის გიორგი ლობჟანიძის მორიგ სოლილურ გამოკვლევას. ამ ნაშრომის პირველი პერიოდი პეტერბურგის მეცნიერთა აკადემიური კულტურული და იმთავითვე მიიპყრო როგორც მეცნიერთა, ასევე მკითხველთა ფართო წრის ყურადღება. შედგა მისი პრეზენტაციები საქართველოს პარლამენტსა და მოსწავლეახალგაზრდობის სასახლეში.

ამჯერად, ეს ნაშრომი შევსებული სახით გამოდის. მასში წარმოდგენილი და მომხილულია მხოლოდ ავტორის პირად კოლექციაში დაცული მდიდარი კარტოგრაფიული მასალა, რომელიც ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს და ასევე კავკასიის დანარჩენი ქვეყნების შესახებ.

წარმოდგენილი ნაშრომი უდავოდ აქტუალურია. ამ წიგნით კიდევ ერთხელ, დოკუმენტურად (ამჯერად დასავლეთევროპული წყაროების საფუძველზე) მტკიცდება, რომ გამოკვლევაში განხილულ პერიოდში, ისევე, როგორც წინმსწრებ ეპოქებში, არც საქართველოს ტერიტორიაზე და არც მის ფარგლებს გარეთ არ არსებობდა არაგითარი სამხრეთი ოსეთი, ხოლო ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის (XV საუკუნის მეორე ნახევარი) შემდეგ წარმოქნილი აფხაზეთის სამთავრო შედიოდა დასავლერქართული სამეფო-სამთავროების – იმერეთისა და სამეგრელოს (ოდიშის) შემადგენლობაში. საყურადღებოა ისიც, რომ აფხაზეთის სამხრეთი საზღვარი, რომელიც ოდიშის სამთავროს ემიჯინებოდა, მირითადად ქალაქ სოხუმის მახლობლად გადიოდა.

განხილული რუკები ადასტურებს საქართველოს სამეფოს გერბზე კავკასიის სხვა ქვეყნების სიმბოლიკის დაფიქსირების კანონზომიერებას.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ქართულ-კავკასიური ურთიერთობების ისტორიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

შესავალი

“...მოგნახეს, გმებნეს უოველგან, მათ რუკა დაუწერია,
უერ ნახეს შენი მნახავი ვერცა უმა, ვერცა ბერია...”

შოთა რუსთაველი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი საისტორიო წყაროების – ევროპული¹ ნაბეჭდი გამოცემების ძირითად ნაწილს ქმნის XVI-XVIII საუკუნეების ევროპელი კარტოგრაფების მიერ შედგენილი რუკები, რომლებიც, მიუხედავად მრავალი და ხშირად უხეში უზუსტობებისა, აღნიშნული ეპოქის ისტორიული ვითარების ამსახველ მეტად საინტერესო გრაფიკულ დოკუმენტებს წარმოადგენს.

საქართველოს სამეფო თავისი ძლიერების ხანაში არ ყოფილა სრულყოფილად დოკუმენტირებული კარტოგრაფიული მასალით, რადგან იმ ეპოქის წარმოდგენა სამყაროს შესახებ ჯერ კადევ შორს იყო რეალობისგან და კარტოგრაფიაც თავისი განვითარების საწყის საფეხურზე იდგა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ერთიანი სამეფოს პოლიტიკურ-კულტურული საზღვრები XVI-XVIII საუკუნეების რუკებში მაინც აისახა: ამ ეპოქის ევროპელი კარტოგრაფები საქართველოს საზოგადო სახელწოდებაში ხშირად მოიაზრებდნენ ფაქტობრივად მთელ გეოგრაფიულ სივრცეს დღევანდელი კავკასიის მნიშვნელობით.

XVI-XVIII საუკუნეების ქართული სამეფო-სამთავროების ტერიტორიული საზღვრები დოკუმენტირებულია ქართული ისტორიული წყაროებით და რუკებით, ასევე უცხოულ მოგზაურთა ცნობებით საქართველოს შესახებ და ევროპელი კარტოგრაფების მიერ შედგენილი იმ მრავალი რუკით, რომელთა უმეტესობაც დღემდე არ გაშუქებულა ალბათ იმიტომ, რომ წარსულში ისინი ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი საისტორიო გეოგრაფიით დაინტერესებული ქართველი მკვლევრებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ევროპული რუკები აგსებს XVI-XVIII

¹ აქ, ისევე, როგორც ყველგან ამ წიგნში, ტერმინი “ევროპა” დღევანდელი მნიშვნელობით გულისხმობს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს.

საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროების შედარებით ნაკლებობას, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს რუკები საფუძვლიან, კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს და მხოლოდ კრიტიკული ანალიზის და თანადროულ ისტორიულ წყაროებთან შეჯერების შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ მათ რეალურ სამეცნიერო ღირებულებაზე.

წიგნში წარმოდგენილი მასალა ამოღებულია ნაბეჭდი გამოცემებიდან, რომლებიც თავის დროზე მნიშვნელოვანი ტირაჟით გამოიცემოდა და ხელმისაწვდომი იყო საზოგადოების ფართო ფენებისათვის¹. ამ წყაროების გაცნობა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რა ინფორმაციას ფლობდნენ აღნიშნული ეპოქის ეპროპული საზოგადოება და მმართველი ელიტა საქართველოსა და ქართველების შესახებ.

გარდა კარტოგრაფიული მასალისა, შეძლებისდაგვარად, მიმოვიზილავთ იმ ილუსტრაციებს და წერილობით წყაროებს, რომლებიც ხშირად თან ერთვის რუკებს და ინფორმაციულად ამდიდრებს მათ. ეს იმ ინფორმაციის მხოლოდ მეტად მცირე ნაწილია, რომელიც ამ ეპოქის ეპროპულმა წყაროებმა შემოგვინახა საქართველოს და კავკასიის შესახებ. შემდეგ გამოცემებში შევეცდებით უფრო სრულყოფილად წარმოვადგინოთ ისინი ქართველი მკითხველის წინაშე². რაკი ჩვენი წყაროების ძირითად საფუძველს კარტოგრაფიული მასალა შეადგენს, საჭიროდ მივიჩნიოთ, მოკლე მიმოხილვით წარმოგვეჩინა კარტოგრაფიის განვითარების ისტორია.

გვაქვს პატივი, აქვე მადლიერების გრძნობით მოვიზენიოთ ის პიროვნებები, რომლებმაც კონსულტაციები გაგვიწიეს ნაშრომზე მუშაობისას: პროფესორები გიორგი სანიკიძე, გიორგი ქავთარაძე, რაულ ჩაგუნავა, გოჩა ჯაფარიძე, გეოგრაფიის დოქტორი გულიკო ლიპარტელიანი და მხატვარი-ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძე.

¹ ასეთ გამოცემებს მიეცუთვნება გეოგრაფიული ატლასები, ცნობარები, მოგზაურობის წიგნები, ენციკლოპედიები და სხვ.


² XVI-XVIII საუკუნეების ის ეპროპული სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურა, რომელიც საქართველოს ეხება, საგმაოდ მრავალრიცხოვნა; მათი უმტესობა ცნობილია და შესწავლილია ქართველ მკვლევართა მიერ. იხ., ნаталья Орловская. Грузия в литературе Западной Европы XVII-XVIII веков. Тб., 1965. აგრეთვე, იღია ტაბაღუა. საქართველო ეპრობის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი). ტომი I-III. თბ., 1984, 1986, 1987.

მოკლე ცნობები კარტოგრაფიის ისტორიიდან

“კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კირბები, რომლებზეც ორგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი” (აპოლონიოს როდოსელი, “არგონავტიკა”, ძვ. წ. III ს.). ძველი ბერძენი ავტორის ეს ცნობა კოლხეთში კარტოგრაფიის არსებობის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, თუმცა კოლხური რუკები არ შემონახულა. დღეისათვის ცნობილია, რომ პირველი კარტოგრაფიული პროდუქცია შეიქმნა აღმოსავლეთის მონათმფლობელურ სახელმწიფოებში – ეგვიპტეში, ბაბილონში, ჩინეთში. თუმცა, თანამედროვე კარტოგრაფია, ანუ დედამიწის ზედაპირის ასახვა სიბრტყეზე მასშტაბის, კოორდინატთა სისტემის და სხვა გეოგრაფიული ატრიბუტების გამოყენებით, ძველი საბერძნეთიდან იღებს სათავეს.

მართალია, ძველი ბერძნული კარტოგრაფიის ნიმუშებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ბერძენი გეოგრაფების (ჰეროდოტე, სტრაბონი, პტოლემე)¹ შემორჩენილმა წერილობითმა შრომებმა დასაბამი დაუდო რენესანსის ეპოქის კარტოგრაფიას.

კარტოგრაფიის განვითარების ქრონოლოგიური ეტაპები გამოსახულია შემდეგ სქემაზე:



სქემა 1.
კარტოგრაფიის
განვითარების
ეტაპები
(თარიღდები
მიახლოებითად).

¹ უცხოურ პირთა სახელების მართლწერისათვის ძირითადად ვეყრდნობით შემდეგ წყაროს: უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. რედაქტორები ა. კობაზიძე, მ. ჭაბაშვილი. თბ., 1989.

კარტოგრაფიის განვითარების ეტაპები არ ყოფილა ქრონოლოგიურად მკაცრად თანმიმდევრული და ხდებოდა მათი თანაარსებობაც. როგორც უპვე აღვნიშნეთ, ძველი ბერძნული რუკების ორიგინალები არ შემორჩენილა, არსებობს მხოლოდ მათი გვაინდელი რეკონსტრუქციები, რომელთაც შესაბამის ადგილას განვიხილავთ. რომაული ეპოქიდან შემორჩა ერთი რუკა – ეწ. “პეიტინგერის ტაბულა” (Tabula Peutingeriana), რომელიც, მართალია, XIII საუკუნეშია შექმნილი, მაგრამ IV საუკუნის რომაული რუკის ასლს წარმოადგენს. ეს უფრო მეტად მაშინდელი მსოფლიოს გზების რუკა, ვიდრე ტოპოგრაფიული რუკა¹.

რომაული ეპოქის შემდგომი (ე.წ. ბნელი საუკუნეების) ევროპული კარტოგრაფია შორდება ბერძნულ-რომაულ ტრადიციებს – მისთვის დამახასიათებელია ბიბლიის (ზოგადად ქრისტიანული იდეოლოგიის) ძლიერი გავლენა, რაც ძირითადად გამოიხატება იერუსალიმის მოთავსებით სამყაროს ცენტრში.

მაშინ, როდესაც ევროპაში საეკლესიო-ფეოდალური კულტურა ბატონობდა (დედამიწის სფერულობის უარყოფა), აზის რიგ ქვეყნებში ასტრონომიას, გეოგრაფიას და კარტოგრაფიას მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა. არაბების კარტოგრაფიამ ევროპული მეცნიერებისათვის შემოინახა მთელი რიგი ანტიკური ძეგლები, მათ შორის პტოლემეს თხზულებანი.

ამ პერიოდის ქართული რუკები მიკვლეული არ არის, თუმცა გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს თითქმის ყველა ლიტერატურულ ნაწარმოებში ვხვდებით. ირკვევა, რომ შეა საუკუნეებში ქართველები კარგად იცნობდნენ არა მარტო კავკასიას და აღმოსავლეთის ქვეყნებს, არამედ ევროპას და ჩრდილოეთ აფრიკას². ცნობილია, რომ შეა საუკუნეების ქართულ საგანმანათლებლო ცენტრებში, სხვა საგნებთან ერთად, ასტრონომიაც იკითხებოდა³. ასტრონომიული ობსერვატორიები

¹ რუკა ინახება ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქ. ვენაში. სახელწოდება მიიღი მისი მფლობელის, XV-XVI საუკუნეების მოღვაწის, კონრად პეიტინგერის (Konrad Peutinger) გამო. რუკის ავტორად მეცნიერთა ნაწილი ვინძე კასტორიუსს (Castorius) მიიჩნევს. პეიტინგერის ტაბულაზე საქართველო წარმოდგენილია კოლხეთ-იბერიის სახით, დატანილია მასზე გამავალი სავაჭრო გზები და დასახლებული პუნქტები. იხ., ნოდარ ლომოური. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრ., ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958.

² იხ., გრიგოლ ზარდალიშვილი. გამოჩენილი ქართველი მოგზაურები. თბ., 1958, გვ. 5-18.

³ ამ ეპოქის ქართველ ასტრონომთაგან განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ტბები აბუსერიძე, რომელმაც შეადგინა ქართული წელთაღრიცხვის გამოინგარიშების ვრცელი ასტრონომიული ტრაქტატი – “ქორონიკონი სრული მისთა საუწყებლითა”. ტრაქტატი ფრანგულად თარგმნა და გამოსცა მარი ბროსეშ (Marie-Félicité Brosset).

არსებობდა ტფილისში და გელათში¹. დღემდე შემონაზულია ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერო შინაარსის ძეგლი – “ასტრონომიული ტრაქტატი”, რომელიც 1188 წლით თარიღდება².

შეა საუკუნეების რუკები მხატვრულად გაფორმებული ხელნაწერების, ანუ მანუსკრიპტების სახით არსებობდა და დღემდე შემორჩენილი მათი საერთო რაოდენობა რამდენიმე ათეულს არ აღმატება. განსაკუთრებულ ინტერსს იწვევს მუჰამედ ალ-იდრისის (Muhammad al-Idrisi) როჯერის ტაბულა (Tabula Rogeriana)³, ებსტორფის რუკა (Ebstorf Map)⁴, რიჩარდ ჰალდინგერის (Richard of Haldingham) ჰერეფორდის მსოფლიოს რუკა (The Hereford mappa mundi)⁵, კატალანის ატლასი (The Catalan Atlas)⁶.

XIV-XV საუკუნეებში ესპანეთში, პორტუგალიასა და იტალიაში დაიწყეს საზღვაო რუკების, ეწ. პორტოლანების, ანუ ყიბლანური რუკების შედგენა. პორტოლანები იქმნებოდა სანავიგაციო მიზნებისთვის; კომპასის (რომელიც ევროპაში XIII საუკუნიდან გავრცელდა) და პორტოლანების გამოყენებით მეზღვაურებს უკვე საშუალება ეძლეოდათ, მიეგნოთ სასურველი პორტისათვის. პორტოლანები საკმაოდ ზუსტი და დეტალური იყო, თუმცა ძირითადად ფორმუსირდებოდა ზღვისპირა რეგიონებზე. პორტოლანებიც მანუსკრიპტების სახით არსებობდა. შემორჩენილი ეგზემპლარებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პიეტრო ვესკონტეს (Pietro Vesconte)⁷, ანგელინო დულჩერტის (Angelino

¹ ტფილისის ასტრონომიული ობსერვატორია დაარსეს არაბებმა VIII საუკუნეში. გელათის ოსერვატორია დაარსა დავით აღმაშენებელმა. დავითის, რომელსაც მემატიანე “მეორე პტოლემე” მოიხსენიებს, ასევე მიეწერება საქართველოში პირველი კუთხმით ასტრონომიული ხელსაწყოს – ასტროლაბის შექმნა და გამოყენება. ის., ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითის, ქართლის ცხოვრება. სიმონ ყაუხებიშვილის რედაქციით. ტომი I. თბ., 1955. აგრეთვე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი I. თბ., 1975, გვ. 650.

² ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

³ რუკის შედეგის თარიღად მიჩნეულია 1154 წელი. მისი უძვლესი, 1300 წლით დათარიღდებული ასლი ინახება საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

⁴ რუკის შექმნის თარიღად მიჩნეულია XIII საუკუნე. დღეისათვის მისი მხოლოდ რეპროდუქცია არსებობს, რადგან ორიგინალი განადგურდა ჰანოვერის დაბომბვისას II მსოფლიო ომის დროს.

⁵ რუკა ინახება ინგლისში, ჰერიფორდის ტაძარში.

⁶ რუკის შექმნის თარიღად მიჩნეულია XIV საუკუნის მეორე ნახევარი. რუკა ინახება საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. XVI საუკუნემდე არსებული ევროპული კარტოგრაფიის ნიმუშები საქართველოს კონტექსტში განხილულია წიგნში: ალექსანდრე თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ., 2004.

⁷ პიეტრო ვესკონტეს და მარინო სანუდოს (Marino Sanudo) მსოფლიოს რუკაზე, რომელიც 1321 წლით თარიღდება, საქართველოს (Georgia) უკავია სივრცე შავ და

Dulcert), მმების – დომენიკო და ფრანჩესკო პიციგნების (Domenico & Francesco Pizzigani), მაცია დე ვილადესტეს (Macia de Viladestes), გაბრიელ დე ვალსეკას (Gabriel de Vallseca), დიეგო ჰომემ (Diego Homem) რუკები.

XV საუკუნის მეორე ნახევარი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კარტოგრაფიის ისტორიისთვის – კონსტანტინოპოლიში მიკვლეულ იქნა მანამდე მივიწყებული ანტიკური ხანის გეოგრაფის და ასტრონომის – კლავდიუს პტოლემეს (Claudius Ptolemaeus)¹ “გეოგრაფია” და “ასტრონომიული ტრაქტატი”, რომლებიც ითარგმნა ლათინურად და დეტალურად იქნა შესწავლილი იტალიელ მეცნიერთა მიერ². პტოლემეს “ასტრონომიული ტრაქტატი” ეყრდნობოდა ძველი ბერძენი და ბაბილონელი ასტრონომების კვლევებს და ეფუძნებოდა სამყაროს გეოცენტრულ მოდელს, რაც ერთადერთი აღიარებული მოდელი იყო მანამ, სანამ ის არ შეცვალა ნიკოლოზ კოპერნიკის (Nicolaus Copernicus) პელიოცენტრულმა მოდელმა. “გეოგრაფიაც” ასევე ინოვაციური იყო იმ თვალსაზრისით, რომ ის ეფუძნებოდა დედიმიწის ზედაპირის კოორდინატების – გრძედების და განედების სისტემას. ბუნებრივია, პტოლემეს “გეოგრაფია” არ იყო სრულყოფილი, რადგან მისთვის მსოფლიოს მხოლოდ დაახლოებით მეოთხედი იყო ცნობილი. ის აზის ტერიტორიას გადაჭარბებულად დიდად მიმჩნევდა, რასაც შთაუგონებია ქრისტეფორე კოლუმბი (Christopher Columbus), დაეწყო მოგზაურობა დასავლეთის მიმართულებით აზიამდე მისაღწევად.

XVI საუკუნის ევროპაში გეოგრაფიის მიმართ ინტერესის ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და ახალი საგაჭრო გზების ძიების აუცილებლობამ, რადგან არსებულ სავაჭრო გზებს საფრთხე დაემუქრა პოლიტიკური ვითარების შეცვლის შედეგად, რაც ძირითადად ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიას უკავშირდებოდა.

კასპიის ზღვებს შორის. აღნიშნულია კოლხეთიც (Colcia). რუკას თან ერთვის საქართველოს სამეფოს (Regnum Georgie) მოქლე აღწერაც, სადაც ავტორი მას ევროპის ნაწილად განიხილავს. იხ., Jeremy Black. *Visions of the world: A history of maps*. Published by Mitchell Beazley, 2003-2005, p. 10.

¹ პტოლემე ცხოვრობდა ახ. წ. 90 – 168 წლებში, მოღვაწეობდა ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში, რომელიც მაშინ რომის იმპერიის ნაწილი იყო.

² იხ., ნოდარ ლომოური. კლავდიუს პტოლემაიონის, “გეოგრაფიული სახელმძღვანელო”, ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმანითურთ, წინასიტყვაობა და განმარტებები; მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955.

XV საუკუნის შუახანებში წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ¹ რუკები უფრო ხელმისაწვდომი გახადა და, მათ მიმართ მზარდი ინტერესის გამო, რუკების შედგენა მომგებიან საქმედ გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საუკუნეში ძირითადად პტოლემეს “გეოგრაფიაზე” დაფუძნებული რუკები დომინირებდა, XVI საუკუნიდან კარტოგრაფები უკვე აქტიურად ცდილობდნენ პტოლემეს ცნობები თანამედროვე ცნობებით შეევსოთ (მაგალითად, ვენეციელი ჯაკომო გასტალდის მიერ გამოცემული “გეოგრაფია”).

იტალიიდან და ცენტრალური ევროპიდან კარტოგრაფიის ცენტრმა XVI საუკუნის შუახანებში ჰოლანდიაში, კერძოდ ქალაქ ანტვერპენში გადაინაცვლა, რომელიც მაშინ ესპანეთის მეფის მმართველობის ქვეშ იყო. სწორედ ფლამანდელმა აბრაჰამ ორტელიუსმა (Abraham Ortelius) 1560 წელს გამოსცა პირველი მსოფლიოს ატლასი, რომელსაც “დედამიწის სფეროს სანახაობა” (Theatrum Orbis Terrarum) დაარქვა. ამ ეპოქის ფლამანდელ კარტოგრაფთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გერჰარდ მერკატორიც (Gerhard Mercator), რომელმაც კარტოგრაფიის განვითარებაში მთელი ეპოქა შექმნა². XVII საუკუნის დასაწყისისთვის ევროპული კარტოგრაფიის ცენტრად ამსტერდამი იქცა, სადაც მოღვაწეობდა მრავალი სახელოვანი კარტოგრაფი, მათ შორის იოდოკუს ჰონდიუსი (Jodocus Hondius), ვილემ ბლაუ (Willem Blaeu), იან იანსონი (Jan Jansson).

XVI-XVII საუკუნეები მიჩნეულია ევროპული კარტოგრაფიის ოქროს ხანად. ევროპაში დაგროვილი ინფორმაცია გეოგრაფიული აღმოჩენების და მოგზაურობების შესახებ მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიდა კარტოგრაფიული ნაწარმის (რუკების, ატლასების, გლობუსების) შექმნისთვის, რაც, თავის მხრივ, სტიმულს აძლევდა ახალი აღმოჩენებისაკენ სწრაფვას. რუკების ბეჭდვა დაიწყეს

¹ პირველი საბეჭდი მოწყობილობის გამოგონებლად (დაახლ. 1440 წელს) მიჩნეულია გერმანელი ოქრომჭედელი იოჰან გუტენბერგი (Johannes Gutenberg). საქართველოში სტამბური წესით პირველი წიგნი გამოიცა 1709 წელს თბილისის სტამბაში; ეს იყო პირველი სტამბა კავკასიასა და დასავლეთ აზიაში. ოსმალეთში პირველი თურქელარაბული სტამბა შხოლოდ 1727 წელს გაიხსნა, ხოლო ერაყში 1829 წელს. პირველი წიგნები ქართულ ენაზე დაიბეჭდა 1629 წელს რომში, კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოება “პროპაგანდა ფილეს” მიერ, ნიკიფორე ირახის (ირუბაქიძე-ჩოლოვაშვილის) უმუალო მონაწილეობით. იხ., არნოლდ ჩიქობავა, ჯუანშერ გათეშვილი. პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები. თბ., 1983.

² მერკატორის სახელით არის ცნობილი კარტოგრაფიული პროექცია, რომელსაც ზღვა-ოსნობაში დღესაც იყენებენ.

ევროპის მკითხველ საზოგადოებაზე გათვლილ ცნობარებში, რომლებიც მოიცავდა მსოფლიოს ქვეყნების გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის და ისტორიის საკითხებს. ეს ცნობარები მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით იქმნებოდა და ხშირად ავტორები ცდილობდნენ, სხვადასხვა ხალხის ეთნოგრაფიულ-კულტურული თავისებურებანი უფრო ეგზოტიკურ ჭრილში წარმოეჩინათ¹.

XVII საუკუნე ასევე გამოირჩევა ფრანგული და ბრიტანული კარტოგრაფიის აღმავლობით, რაც უკავშირდება ისეთ სახელებს, როგორებიც იყვნენ ნიკოლა სანსონი (Nicolas Sanson), პიერ დიუ ვალი (Pierre Du Val), ნიკოლა დე ფერი (Nicolas de Fer), ჯონ სელერი (John Seller), რობერტ მორდენი (Robert Morden), ჰერმან მოლი (Herman Moll).

ამ პერიოდის ქართული კარტოგრაფიული პროდუქცია არ შემონახულა, თუმცა არსებობს ცნობა, რომ 1627 წელს ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სთან დიპლომატიური მისით ჩასულმა ნიკიფორე ირბახმა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, სადაც საქართველოს საკითხი განიხილებოდა, თეომურაზ მეფის წერილთან ერთად საქართველოს რუკაც წარმოადგინა².

XVIII საუკუნეში კარტოგრაფია განიცდის მნიშვნელოვან სრულყოფას იმ სამეცნიერო მიღწევების შესაბამისად, რომლებიც ამ საუკუნეს ზოგადად ახასიათებს. რუკებზე იხვეწება გეოგრაფიული კოორდინატების სისტემა, მცირდება უცნობი ტერიტორიების არეალი, იზრდება ტოპოგრაფიული სიზუსტე, უფრო თვალსაჩინო ხდება რუკების დიფერენცირება თანამედროვე და ისტორიულ რუკებად.

XVIII საუკუნე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ქართული კარტოგრაფიის და ზოგადად გეოგრაფიული აზროვნების განვითარებისათვის, რაც ძირითადად არჩილ II-ის³, ვახტანგ VI-ის⁴, სულხან-საბა ორბელიანის¹, ტიმოთე

¹ სწორედ ამიტომ, მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს ასეთ ცნობარებში საქართველოს და ქართველების შესახებ მეტად გაზვანდებული და მიკერძოული ცნობების არსებობა.

² იხ., იღია ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX სს-ის პირველი მეოთხედი). ტომი II. თბ., 1986, გვ. 159.

³ არჩილ II-ის ძიერ შედგენილი რუკა არ შემონახულა, თუმცა ცნობილია, რომ მოსკოვში ყოფნისას ის მუშაობდა საქართველოს გეოგრაფიული რუკის შედგენაზე. იხ., Письма Имеретинского царя Аричилы к боярину Ф. А. Головину. Москва, 1856.

⁴ ვახტანგ VI-იმ ქართულად თარგმნა შუაზიული ასტრონომის ულულბეგის თხზულება „ზიჯი-გურგანი“ გეოგრაფიული კოორდინატების ტაბულებთან ერთად, „სტროლაბის სასწავლებელი წიგნი“ და კოსმოგრაფიული შრომები „ქმნულების ცოდნის წიგნი ანუ სპარსული აიათი“, რომელიც 1721 წელს ტფილისის სტამბაში დაიბჭიდა. ვახტანგ VI-იმ

გაბაშვილის² და განსაკუთრებით ვახუშტი ბაგრატიონის მეტად ნაყოფიერ და ფასდაუდებელ მოღვაწეობას უკავშირდება. აღნიშნულ პიროვნებათა შრომებმა, რომლებიც უმაღვე გავრცელდა ევროპაში, მნიშვნელოვნად გაზარდა ევროპელ კარტოგრაფთა წარმოდგენა საქართველოზე და მთლიანად კავკასიის რეგიონზე. აი რას წერდა 1737 წელს ლაიტციგში გამოცემული სამეცნიერო გაზეთი ვახუშტის კარტოგრაფიული შრომების შესახებ: “მათგან (ქართველთაგან – გ. ლ.) მიღებულ იქნა კავკასიის მთების მეტად ზუსტი რუკები, სადაც აღნიშნულია მთებსა და მათ მიღმოებში მდებარე უმცირესი სოფლებიც კი. ამ რუკების დიდი ნაწილი ქართული ენიდან თარგმნილია და ბატონი დელილი (ჟოზეფ-ნიკოლა დელილი³ – გ. ლ.) თავის თავზე აიღებს მისი გამოქვეყნების შრომას. ამრიგად, კავკასიის დღემდე უცნობი მთები ერთბაშად გახდება ევროპის ყოველ ქვეყანაზე უფრო ცნობილი”⁴.

ვახუშტი ბაგრატიონის რუკები პირველი მსხვილმასშტაბიანი რუკები იყო, რომლებიც XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს და მიმდებარე პროვინციების სრულყოფილ გეოგრაფიულ აღწერილობას იძლეოდა, სწორედ ამიტომ, ისინი ავტორის სიცოცხლეშივე იყო აღიარებული და გამოყენებული

დაწერა გეოგრაფიული კომენტარები ”ქართლის ცხოვრებისათვის”, ჩაატარა ტოპოგრაფიული აგეგმვები, რისთვისაც გამოიყენა სპეციალურად მისვის დამზადებული ასტრონომიული ხელსაწყო – ასტროლაბი. ცნობილია, რომ ის პირადად მუშობდა საქართველოს და სომხეთის რუკების შედგენაზე. იხ., რაულ ჩაგუნავა. ვახტაგბ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (საბუნებისმეტყველო დარგები და ტექნიკა). თბ., 1990.

¹ სულხან-საბა ორბელიანი, როგორც რუკის ავტორი, მოხსენიებულია გიორგ დელილის მიერ გამოცემული რუკის სათაურში. იხ., გვ. 26.

² ჭიმოთე გაბაშვილი იყო 1737 წელს შედგენილი იმერეთის სამეფოს რუკის ავტორი, რომელიც იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ტ რუსეთის იმპერატორ ანას გაუგზავნა. ეს რუკა იყო არა ზოგადებითგრაფიული, არამედ სპეციალური, სამხედრო-სტრატეგიული შინაარსის. რუკა ინახება რუსეთის სახელმწიფო სამხედრო-საისტორიო არქივში. იხ., Елена Метревели. Автор карты Западной Грузии 1737 года. "III научная сессия гос. музея Грузии им. акад. С. Джанашвили, План работы и тезисы докладов. Тб., 1955. აგრეთვე, გრიგოლ ზარდალიშვილი. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები. თბ., 1966.

³ ჟოზეფ-ნიკოლა დელილი (Joseph-Nicolas Delisle) იყო ფრანგი მეცნიერი (ასტრონომი, გეოგრაფი, კარტოგრაფი), რომელიც რუსეთის იმპერატორის პეტრე I-ის მიწვევით სათავეში ჩაუდგა ახლადშექმნილი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიულ სკოლას. დელილი თანამშრომლობდა ქართველ მეცნიერ ვახუშტი ბაგრატიონთან და მის მმა ბაქართან, აგრეთვე რუსეთში მცხოვრებ და მოღვაწე სხვა ქართველებთან. იხ., Нина Невская. Петербургская астрономическая школа XVIII в. Ленинград, 1984.

⁴ იხ., Марий Броссе. О бумагах астронома Делиля, хранящихся в архиве Императорского Русского Географического Общества. Изв. РГО, кн. 9, 1865, с. 6.

ევროპელ და რუს მეცნიერთა მიერ¹. გარდა საქართველოს ორი ატლასისა (პირველი 1735 წელს დაასრულა², ხოლო მეორე 1745 წლისთვის³), ვახუშტი ბაგრატიონმა შეადგინა რუკები მსოფლიოს ატლასისათვის და ქართულად თარგმნა მსოფლიოს “მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია”⁴.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ამავე საუკუნეში ჩამოყალიბდა ქართული მწერლობის მოგზაურულ თხზულებათა ჟანრი, რომელიც ცნობილია, როგორც “მიმოსვლანი”⁵.

XVIII საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან ევროპელ კარტოგრაფებს შორის განსაკუთრებით შევიძლია გამოვყოთ პიტერ ვან დერ აა (Pieter van der Aa), მმები გიიომ (Guillaume) და ჟოზეფ-ნიკოლა (Joseph-Nicolas) დელისლები (Delisle), დიდიე რობერტ დე ვოგონდი (Didier Robert de Vaugondy), ჰენრი ჩატელანი (Henry Châtelain), ჟან კოვენსი (Jean Covens), კორნელ მორტიე (Cornéille Mortier), რიგობერტ ბონი (Rigobert Bonne), ემანუელ ბოუენი (Emanuel Bowen).

მოკლედ შევეხებით XVI-XVIII საუკუნეების რუკების დამზადების ტექნოლოგიას: რუკის შედგენის შემდგომ მისი ტირაჟირება ხდებოდა გრავირების მეთოდით. გრავიურა მზადდებოდა ან თვითონ რუკის შემდგენლის, ან სხვა პიროვნების – პროფესიონალი გრავიორის მიერ. გრავიორი ან კარტოგრაფი მყარი მასალის ფირფიტაზე ჭრიდა რუკის სარკისებურ გამოსახულებას, შემდეგ ამ ფირფიტას სალებავით ფარავდა და ანაბეჭდი გადაპქონდა ქაღალდზე. XIV-XV საუკუნეებში ეს მყარი ფირფიტა ხისგან მზადდებოდა და ქაღალდზე ანაბეჭდს ტოვებდა ამოჭრის შედეგად ამობურცული ადგილები. მოგვიანებით დაიწყეს სპილენძის ფირფიტების გამოყენება და ანაბეჭდს ამ შემთხვევაში ტოვებდა ფირფიტაზე ამოკარისული, ანუ ჩაღრმავებული ადგილები.

¹ იხ., გვ. 26-27.

² ატლასი ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

³ ატლასი ინახება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში.

⁴ აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს პირველი ქართულენოვანი თარგმანი ეკუთვნის გაბრიელ გელოვანს, რომელზე მუშაობაც მან 1737 წელს დაასრულა.

⁵ ამ ჟანრის თვალსაჩინო ნიმუშებია სულხან-საბა ორბელიანის ”მოგზაურობა ევროპაში”, ტიმოთე გაბაშვილის ”მოხილუა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან”, იონა გელეგანიშვილის ”მიმოსულა, ანუ მგზავრობა იონა რუსის მიტროპოლიტისა”, რაფიელ დანიბეგაშვილის ”მოგზაურობა ინდოეთში” და სხვ.

XVI-XVIII საუკუნეების რუკების და ილუსტრაციების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ მეთოდითაა დამზადებული. მხოლოდ XIX საუკუნიდან დაიწყეს გრავირებისათვის რკინის ფირფიტების გამოყენება, რაც შეძლვომ ნაწილობრივ შეცვალა ლითოგრაფიის ტექნიკამ. გრავირებით მიღებული ყველა რუკა თავდაპირველად იყო შავ-თეთრი, მათი შეფერადება კი, საჭიროების შემთხვევაში, ხელით ხდებოდა. ფერადი რუკები არსებობს როგორც თანადროული, ასევე გვიანდელი შეფერადებით. თანადროულ შეფერადებაში იგულისხმება რუკის შეფერადება ავტორის მიერ რუკის დაბეჭდვისთანავე.

დღეისათვის შემორჩენილი ძველი რუკების უმეტესობას გვიანდელი შეფერადება აღენიშნება. შეფერადებული რუკები ხშირად მნიშვნელოვნად ცვლის რუკის ორიგინალურ შინაარსს და ისინი წარმოადგენენ ან იმ ეპოქის ისტორიულ რეალობას, როცა მოხდა მათი შეფერადება, ან გამფერადებლის სუბიექტურ ინტერპრეტაციას. სწორედ ამიტომ, ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ შავ-თეთრ რუკებს ან რუკებს თანადროული შეფერადებით¹.

XIX საუკუნიდან დღემდე კარტოგრაფიამ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა, რაც ძირითადად ტექნიკურობიურმა პროგრესმა განაპირობა. გრინვიჩის მერიდიანი კარტოგრაფიულ ორიენტირად მიღებულ იქნა 1884 წელს. 1900-იანი წლებიდან ავიაციის განვითარებამ და აეროფოტოგადაღებამ, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კოსმოსის ათვისებამ და კვლევის აეროკოსმოსური მეთოდების განვითარებამ შესაძლებელი გახადა დედამიწის ზედაპირის უკეთესი შესწავლა, რამაც ხელი შეუწყო კარტოგრაფიული გამოსახულების სიზუსტის გაუმჯობესებას. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კარტოგრაფიაში აქტიურად გამოიყენება კომპიუტერული ტექნიკური გლობალური სანავიგაციო სატელიტური სისტემები, მაგრამ ეს სხვა თემაა, რომელიც სცილდება ჩვენთვის საინტერესო ეპოქას და მასზე დაწვრილებით არ შევჩერდებით.

¹ თანადროული შეფერადებისათვის დამახასიათებელია მისი თანხვედრა რუკაზე დატანილ კონტურებთან (საზღვრის ხაზებთან) და ავტორისეულ რუკის აღწერასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში); უმეტესად გამოყენებულია ყვითელი, ვარდისფერი და მწვანე საღებავი.

საქართველო ერთიანი სამეფოს დაშლიდან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვამდე (ისტორიული ვითარების მოკლე მიმოხილვა)

1453 წელს ოსმალეთის იმპერიამ¹ საბოლოოდ გაანადგურა უძველესი ქრისტიანული ცივილიზაციის და კულტურის კერა – ბიზანტიის იმპერია, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ კი საქართველოს მეზობელი და მოკავშირე სახელმწიფო – ტრაპიზონის იმპერიაც დაიპყრო. საქართველო იზოლირებული აღმოჩნდა ევროპისგან, სადაც ამ დროს ინტენსიურად მიმდინარეობდა ბურჟუაზიული კლასის ფორმირება და კულტურული აღმავლობის პროცესი.

შექმნილმა საგარეო პოლიტიკურმა მდგომარეობამ და შიდა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ საქართველოს სამეფოს დანაწევრება განაპირობა – ერთ დროს ძლიერი, ცენტრალიზებული მონარქიის ადგილას წარმოიქმნა კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები და სამცხის სამთავრო (საათაბაგო). იმერეთის სამეფოში ჩამოყალიბდა ოდიშის (სამეგრელოს)² და გურიის სამთავროები, რომლებიც თავდაპირველად იმერეთის მეფის ვასალები იყვნენ, მოგვიანებით კი ეს დამოკიდებულება მხოლოდ ნომინალური გახდა. საქართველოს ერთიანი სამეფოს მემკვიდრე სამეფოებს კვლავ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები ედგნენ სათავეში. როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში მყოფი მეფეები ატარებდნენ მეფეთ მეფის ტიტულს და თავს ერთიანი საქართველოს მონარქთა სამართალ-მემკვიდრედ მიიჩნევდნენ. მათ (ისევე როგორც კახეთის მეფეს) გააჩნდათ ამბიცია, ერთიანი სამეფო საკუთარი მმართველობის ქვეშ აღედგინათ, რაც განაპირობებდა დაპირისპირებას და პირველობისთვის ბრძოლას. ეს პროცესები უარყოფითად აისახებოდა როგორც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მას გარეშე მტრებთან წინააღმდეგობის სათანადოდ გაწევის უნარს უკარგავდა.

¹ ოსმალეთის იმპერია XIV საუკუნის დასაწყისიდან 1923 წლამდე არსებობდა. სახელწოდება მან მიიღო იმპერიის დამაარსებლის – ოსმან I-ის გამო. XVI-XVII საუკუნეებში მისი ტერიტორია მოიცავდა ანატოლიას, ახლო აღმოსავლეთს, ჩრდ. აფრიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და კავკასიის ნაწილს. ევროპულ წყაროებში ოსმალეთის იმპერია იწოდება როგორც თურქეთის ან ოტომანის (ოტომანთა) იმპერია (სახელწოდება „ოტომანი“ სიტყვა „ოსმანიდან“ მომდინარეობს). 1923 წელს ამ იმპერიის ძირითად ნაწილს ოფიციალურად ეწოდა ”თურქეთის რესპუბლიკა“.

² თავდაპირველად, ოდიშის სამთავრო მოიცავდა როგორც აფხაზეთის, ასევე სვანეთის ტერიტორიებს.

XV საუკუნის ბოლოს ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპული სახელმწიფოების კოალიციის შექმნის მცდელობა, რომელში მონაწილეობას საქართველოც აპირებდა, მარცხით დასრულდა.

XVI საუკუნიდან სეფიანთა დინასტიის მმართველობის ქვეშ გაძლიერებული სპარსეთი¹, ისევე, როგორც ოსმალეთის იმპერია, ინტენსიურ დაპყრობით კამპანიას აწარმოებდა საქართველოს წინააღმდეგ. მიუხედავად ქართველთა მედგარი წინააღმდეგობისა, ხდებოდა ქართული ტერიტორიების მიტაცება, რაც თავდაპირველად ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს თანდათანობითი დაპყრობით, ხოლო სპარსეთის მიერ აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) პროვინცია წახურის მიტაცებით გამოიჩატა. ქართლ-კახეთმა გამოუსწორებელი ზარალი განიცადა შაჰ აბას I-ის შემოსევების დროს, რომელთა შედეგადაც დაინგრა ქალაქები და სოფლები, განადგურდა მოსახლეობა, მნიშვნელოვანი ნაწილი კი სპარსეთში იქნა გადასახლებული.

საქართველოს გაერთიანების მთავარ დამაბრკოლებელ გარემოებად იქცა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის 1555 წელს ამასიაში დადებული ზავი, რომლის განახლებაც 1639 წელს ზოპაბში მოხდა. მის შედეგად აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის, ხოლო დასავლეთი საქართველო კი ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცა. მიუხედავად ზელის შემშლელი გარეგანი ფაქტორების არსებობისა, საქართველოს გაერთიანების იდეა მუდმივად არსებობდა, მუდმივად იყო ამის მცდელობაც, თუმცა შედევი მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. უფრო ხშირად ხერხდებოდა ქართლის და კახეთის სამეფოების გაერთიანება² (თეიმურაზ I-ის, როსტომის, გახტანგ V-ის, ერეკლე II-ის დროს), თუმცა იყო დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთთან გაერთიანების ფაქტიც. კერძოდ, ვახტანგ V-ის დროს ქართლ-კახეთის სამეფომ შეიერთა იმერეთიც. ხშირად ერთი და იგივე პიროვნება მეფობდა სხვადასხვა სამეფოში სხვადასხვა დროს. მაგალითად, ერეკლე I (ჯერ ქართლის და შემდეგ კახეთის მეფე), თეიმურაზ II (ჯერ კახეთის და შემდეგ ქართლის მეფე), არჩილი (დროგამოშვებით იმერეთისა და კახეთის მეფე).

¹ 1935 წელს სპარსეთის სახელმწიფოს ოფიციალურად ეწოდა ირანი.

² XVI-XVIII საუკუნეების ევროპული რეგების უმეტესობაზე ქართლი და კახეთი წარმოდგენილია ერთ სუბიექტად და, როგორც საქართველოს ერთიანი სამეფოს სამართლმეცვიდრე, ხშირად მოიხსნიება როგორც “საქართველოს სამეფო” ან “საკუთრივ საქართველო” (Georgia propria).

XVII საუკუნეში ქართლისა და კახეთის ტახტზე მეფების დამტკიცების უფლება სპარსეთის შაპებმა მოიპოვეს, რაც XVIII საუკუნის შუახანებამდე გრძელდებოდა. შაპის მიერ დამტკიცებული მეფე როსტომი (მეფობდა 1632-1658 წლებში) იყო ქართლის ბაგრატიონთა ძირითადი შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი, რომლის შემდგომაც მეფობა მუხრანელმა ბაგრატიონებმა განაგრძეს XVIII საუკუნის ოცანი წლების მიწურულამდე. ეს პერიოდი აღმოსავლეთ საქართველოში აღინიშნა ეკონომიკური ზრდითა და მშვიდობიანობით, თუმცა ქართული ჯარი ინტენსიურად მონაწილეობდა სპარსეთის ცალკეულ საომარ კამპანიებში.

დასავლეთ საქართველოში ტახტისათვის ბრძოლამ განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა, რამაც იმერეთის მეფის გავლენის შესუსტება გამოიწვია მის ვასალ მთავრებზე.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა (დედით კახმა ბაგრატიონმა) მოელი დასავლეთ საქართველოს ფაქტობრივი მმართველის სტატუსი მოიპოვა, თუმცა ქუთაისი ვერ დაიკავა და იმერეთის მეფედ ვერ ეკურთხა. ეს პატივი მცირე დროით ერგო სამეგრელოს მთავარს – ვამეყს, გურიის მთავარებს გიორგის და მამიას, ასევე იმერეთის თავად გიორგი აბაშიძეს. ადსანიშნავია, რომ ქუთაისის, როგორც ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქის დაკავებისას ეს პიროვნებები, ისევე, როგორც იმერეთის კანონიერი მეფეები, თავს სრულიად საქართველოს მეფეებად აცხადებდნენ¹.

ქართლისა და კახეთის მეფეების – თეომურაზ II-ის და ერეკლე II-ის ქრისტიანული წესით მეფეებად კურთხევა 1745 წელს და ამ ორი სამეფოს გაერთიანება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში, რასაც სამხრეთ კავკასიაში საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს სახით) რეგიონული ჰეგემონის ფუნქციის აღდგენა მოჰყვა.

XV-XVIII საუკუნეებში ქართველი მეფეები ამაოდ ცდილობდნენ მოკავშირეების პოვნას ევროპაში (საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის

¹ ამ მხრივ საინტერესოა იმერეთში გამეფებული ვამეყ დადიანის მიერ ბიჭვინთის ტაძრისადმი გაცემული შეწირულობის სიგელი (დაახლ. 1660 წ.), რომელშიც ის თავის თავს ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ოსეთისა და დვალეთის, სვანეთისა და ყაბარდის, ჯიქეთისა და აფხაზეთის, ოდიშისა და გურიის, სრულიად საქართველოს მპყრობელ, დიდ მეფეთ მეფედ და ხელმწიფედ აცხადებს (იხ., სარგის კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი 1. ტფ., 1921, გვ. 67.).

შემდეგ პირველი ასეთი ელჩობა დასავლეთ ევროპაში ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის მიერ იქნა მოწყობილი 1495 წელს), თუმცა ზოგჯერ საქართველოს მეფები იყენებდნენ სპარსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებას ქვეყნის ინტერესების სასარგებლობ (მაგალითად, მეფე სვიმონ I-ის სამხედრო კამპანია ოსმალეთის წინააღმდეგ).

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერდა რუსეთის ინტერესები კავკასიის, კერძოდ საქართველოს მიმართ. ქართველმა მეფეებმა სცადეს რუსეთის სამხედრო პოტენციალის გამოყენება თავიანთი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების მიზნით. თუმცა, მათი იმდების საპირისპიროდ, რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსთან დადებული მფარველობითი ხელშეკრულება (გეორგიესკის ტრაქტატი) და XIX საუკუნის დასაწყისში მოახდინა მისი ოკუპაცია, ხოლო მომდევნო პერიოდში კი საქართველოს დანარჩენი სამეფო-სამთავროებიც (იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიისა და სვანეთის სამთავროები) დაიპყრო.

ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას ქართველი ერის ჯანსაღი ნაწილი არასდროს შეჰვებდია. XIX საუკუნის პირველ ოცნებულში საქართველოს ცალკეულ მხარეებში არაერთმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა, რომელთა მიზანსაც ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და ბაგრატოვანთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის აღდგენა წარმოადგენდა. მათგან თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდა 1812 წლის კახეთის სახალხო აჯანყება, რომელიც ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილსაც მოედო. აჯანყებაში მისი დაწყებისთანავე ჩაება ერეკლე II-ის შვილიშვილის შვილი გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (1789-1830)¹. ამ აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში მსგავსი მასშტაბის შეიარაღებული გამოსვლა აღარ მომხდარა.

1819-1820 წლებში იმერეთშიც მოხდა მძლავრი სახალხო აჯანყება, რომელიც ასევე სისხლში ჩაახშვეს.

¹ აჯანყებულებმა გრიგოლ ბატონიშვილი თავიანთ წინამძლოლად და ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადეს. გრიგოლ I ქართლ-კახეთის მნიშვნელოვან ნაწილში 1812 წლის ოქტომბერგალ-მარტში ორ კვირაზე მეტსანს მეფობდა. ეკლესიებში მის, როგორც მეფის სახელზე, წირვა-ლოცვას აღავლენდნენ. იხ., ნიკო ჯავახიშვილი. გრიგოლ I – უკანასკნელი ქართველი მეფე. თბ., 2008, გვ. 23-53.

1832 წელს საქართველოში დააპატიმრეს ანტირუსული შეთქმულების მოთავენი, რომლებიც თავიანთ მიზნად ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ისახავდნენ.

XIX საუკუნის პირველი მესამედის შემდეგ საქართველოში შეწყდა ქართველ მამულიშვილთა ღია ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა არ შეწყვეტილა... ილია ჭავჭავაძის და მის თანამოაზრეთა მიერ წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი და საგანმანათლებლო მოღვაწეობა დაუპირისპირდა რუსეთის იმპერიის რუსიფიკაციის პოლიტიკას, ქართველ ხალხში გამოაცოცხლა ეროვნული თვითშეგენების, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეები, რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით დაგვირგვინდა.

ვუიქრობთ, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის ორმოციან წლებამდე გამოცემულ რუკებზე ჯერ კიდევ ფიგურირებს სახელწოდება საქართველო (Georgia), რომელიც შემდეგ თანდათანობით ქრება და მის ადგილს იკავებს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიები¹, ხოლო მთლიანად რეგიონის აღსანიშნავად მკვიდრდება ტერმინი კავკასია.

XVI-XVIII საუკუნეების ევროპული კარტოგრაფია საქართველოსთან მიმართებაში

რუკების შედგნისას კარტოგრაფები ძირითადად სხვა კარტოგრაფების მიერ ადრე შედგენილ რუკებს იყენებდნენ, აზუსტებდნენ გეოგრაფიულ მონაცემებს და ამდიდრებდნენ მათ ახალი ინფორმაციით, რომელსაც მოიპოვებდნენ მოგზაურები, ვაჭრები, ელჩები, კათოლიკე მისიონერები და სხვა პიროვნებები. კარტოგრაფიული პროდუქცია დაგროვილი ინფორმაციის ერთგვარი სინთეზი იყო, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის, მათი, როგორც საისტორიო წყაროების უტყუარობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე ცალკე აღებული

¹ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიები შეიქმნა 1846 წელს, მანამდე არსებული საქართველო-იმერეთის გუბერნიის (Грузино-Имеретинская губерния) ტერიტორიაზე.

წერილობითი წყაროებისა ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ. საქართველოზე ევროპაში ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, ევროპაში მოღვაწე ქართველები, მეორე მხრივ, ის პირები, რომლებმაც საქართველოში (ან მის მეზობელ ქვეყნებში) იმოგზაურეს ან ცხოვრობდნენ იქ გარკვეული დროის მანძილზე, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი თავიანთი ჩანაწერები ხელმისაწვდომი გახადეს სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისათვის. ამ საქმეში პიონერებად შეგვიძლია მივიჩნიოთ XIII-XIV საუკუნეების მოგზაურები ვილეგ რუბრუკი (Willielmus de Rubruquis) და მარკო პოლო (Marco Polo).

XIII საუკუნიდან ევროპელთა ვიზიტები და მოღვაწეობა საქართველოში უფრო ინტენსიური გახდა, რაც უკავშირდებოდა გენუელთა და ვენეციელთა სავაჭრო კაპიტალის დამკვიდრებას საქართველოს შავიზლვისპირეთში და კათოლიკური მისიების მოღვაწეობას. პირველი კათოლიკური მისიონის დაფუძნება საქართველოში რუსულან დედოფლის მეფობის ხანას (1223 – 1142) უკავშირდება.

XV საუკუნეში საქართველოში იმოგზაურეს ვენეციელმა დიპლომატებმა – ოსაფატ ბარბარომ (Josaphat Barbaro)¹, ამბროჯო კონტარინიმ (Ambrogio Contarini)² და კატერინო ძენომ (Caterino Zeno)³, რომლებმაც ძალზედ საინტერესო ცნობები დატოვეს საქართველოს შესახებ.

XVII საუკუნეში ახალი შემართებით განახლდა კათოლიკეთა სამისიონერო საქმიანობა საქართველოში, რასაც რომში არსებული კათოლიკური რელიგიის გამავრცელებელი სპეციალური ორგანიზაცია – ”პროპაგანდა ფიდე” წარმართავდა. პაპ ურბან VIII-ის დროს საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობა დაევალა თეათინელთა ორდენს, რომელთა წარმომადგენლებიც აქ უკვე 1626 წელს

¹ ბარბაროს „მოგზაურობა“ პირველად გამოიცა ვენეციელი მანუციოს (Manuzio) კრებულში 1541 წელს, მეორედ – 1543 წელს: Viaggi fatti da Venetia alle Tana in Persia, India et in Constantinopoli; con la descriptione di Citta, Loughi, Siti, Costumi et della Porto del Gran Turco. Venezia, 1543.

² კონტარინის „მოგზაურობა“ პირველად გამოიცა ვენეციაში 1487 წელს: Viaggio di Messer Ambrosio Contarini, ambasciatore di Venezia ad Ussun-cassan Re di Persia; per Annibale Fosco parmagiano. Venezia, 1487.

³ კატერინო ძენის მოგზაურობის ჩანაწერები გამოიცა ვენეციაში 1568 წელს: Dei commentarii del viaggio in Persia di M. Caterino Zeno. Venetia, 1568.

გამოჩნდნენ¹. ქართველი მეფეები და მთავრები, რომლებიც ოსმალეთის და სპარსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოკავშირებს ეძებდნენ, კათოლიკე მისიონერებს დასავლეთ ევროპასთან კავშირის დამყარების ხელსაყრელ საშუალებად განიხილავდნენ და ხელს არ უშლიდნენ, მეტწილად კი ხელსაც უწყობდნენ მათ საქმიანობას საქართველოში. კათოლიკე მისიონერები ღრმად განსწავლული და საქმისათვის თავდადებული ადამიანები იყვნენ, რომლებიც უანგაროდ ეხმარებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რის გამოც ქართველთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. თუმცა, აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ მათი რელაციები საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური მდგომარეობის შესახებ ხშირად მეტად დრამატიზებული იყო, რათა უკეთ წარმოეჩინათ თავიანთი როლი ამ ქვეყანაში და ხაზი გაესვათ საკუთარი დამსახურებისათვის პაპის წინაშე².

იმ ევროპელთაგან, რომლებიც იმყოფებოდნენ საქართველოში (ან მის მეზობელ ქვეყნებში), განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პიეტრო დელა ვალეს (Pietro della Valle)³, დონ პიეტრო ავიტაბილეს (Don Pietro Avitabile)⁴, პალო მარია ჩიტადინი და ფაენცას (Paolo Maria Cittadini da Faenza)⁵, ფრანცისკო-მარია მაჯოს (Francisco-Maria Maggio)⁶, ჯოვანი და ლუკას (Giovanni da Lucca)⁷, უან

¹ საქართველოს თეათინელთა მისიონის პირველი პრეფექტი (წინამდგარი) იყო დონ პიეტრო ავიტაბილე. 1661 წლიდან სამისიონერო საქმიანობა საქართველოში ძირითადად ჭარუცინელთა ორდენის წარმომადგრნელებმა განაგრძეს.

² კათოლიკე მისიონერთა საქართველოში მოღვაწეობის შესახებ იხ., მიხეილ თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902.

³ პიეტრო დელა ვალეს ცნობები საქართველოს შესახებ გამოიცა რომში 1658 წელს: Viaggi di Pietro Della Valle, Parte II. Roma, 1658. იხ., თამაზ ნატროშვილი. მოყასი შორეული რომიდან. თბ., 2004.

⁴ დონ პიეტრო ავიტაბილეს რელაციები საქართველოს შესახებ ინახება ვატიკანის არქივში. იხ., დონ პიეტრო ავიტაბილე. ცნობები საქართველოზე (XVII ს.). თბ., 1977.

⁵ ფაენცას ცნობები საქართველოს შესახებ გამოიცა ნებოლში 1621 წელს: Sincera relatione de regni della Georgia del R. P. Maestro F. Paolo Maria Cittadini da Faenza del 'Ordine de predicatori, Vicario Generale in tutti li regni della Persia, et l'una et l'altra Armenia, in Napoli, 1621. ეს იყო უშუალოდ საქართველოსადმი მიძღვნილი სტამბურად დაბჭდილი პირველი ბროშურა.

⁶ ფრანცისკო-მარია მაჯო იყო ავტორი ქართული გრამატიკისა, რომელიც გამოიცა რომში 1643 წელს.

⁷ ჯოვანი და ლუკას ცნობები საქართველოს შესახებ პირველად გამოიცა ~1707 წელს ფრანგულ ენაზე ი. ტევენოს მიერ: Relation de Tatares percopites et nogais, des circassiens, Mingreliens at Georgiens, par Jean Lucca, religieux de l'orde St. Dominique.

ბატისტ ტავერნიეს (Jean Baptiste Tavernier)¹, დონ კრისტოფორო დე კასტელის (Don Christoforo De Castelli)², უნ შარდენის (Jean Chardin)³, დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს (Don Giuseppe Gudicce)⁴, ჯუზეპე მარია ძამპის (Giuseppe Maria Zampi), ჯოზეფ პიტონ დე ტურნეფორის (Joseph Pitton de Tournefort)⁵, იოპან ანტონ გიულდენშტედტის (Iohann Anton Güldenstaedt)⁶ ცნობები საქართველოს შესახებ⁷.

კარტოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია იტალიული მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის (Archangelo Lamberti) მოღვაწეობა, რომელმაც საქართველოში თითქმის ოცწლიანი სამისიონერო საქმიანობის პერიოდში შეადგინა და 1654 წელს ნეაპოლში გამოსცა კოლხეთის რუკა (Totius Colchidis...)⁸ სამეგრელოს აღწერასთან ერთად⁹. აღნიშნული რუკა მოგვიანებით

¹ უნ ბატისტ ტავერნიეს მოგზაურობის ჩანაწერები პირველად გამოიცა პარიზში 1675-1676 წლებში და მითავითვე მიაყრო საზოგადოების ეურადღება. ტავერნიეს საქართველოში არ უმოგზაურია, თუმცა მისი ჩანაწერები მოიცავს საქართველოს აღწერასაც. იხ., უნ ბატისტ ტავერნიე. დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო გურულმა. თბ., 1974.

² იხ., დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ. თბ., 1976.

³ უნ შარდენის წიგნის პირველი ნაწილი მისი მოგზაურობის შესახებ გამოიცა ამსტერდამში 1686 წელს, სრული ვარიანტი კი 1711 წელს: Voyages de monsieur le chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'Orient, Amsterdam, 1711. იხ., უნ შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. თბ., 1975.

⁴ უზებე ჯუდიჩეს ცნობები საქართველოს შესახებ თავის დროზე არ ყოფილა გამოქვეყნებული მისი მოულოდნელი გარდაცვალების გამო. ვატიკანის ხელნაწერთა არქივში დაცული წერილები სრული სახით ქართულად გამოიცა 1964 წელს. იხ., დონ ჯუზებე ჯუდიჩე მიღანელი. წერილები საქართველოზე. თბ., 1964.

⁵ უზეფ ტურნეფორის წიგნი მისი მოგზაურობის შესახებ, რომელიც საქართველოსაც მოიცავს, პირველად გამოიცა პარიზში 1717 წელს: Joseph Pitton de Tournefort, Relation d'un voyage du Levant, fait par ordre du Roi, contenant l'Histoire ancienne & moderne de plusieurs Isles de l'Archipel, de Constantinople, des cotes de la Mer Noire, de l'Armenie, de la Georgie, des frontieres de Perse & de l'Asie Mineure... A Paris, MDCCXVII. იხ., უზეფ პიტონ დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თბ., 1988.

⁶ იხ., გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. თბ., 1962-1964.

⁷ XIII-XVIII საუკუნეებში აკასასაში მოგზაური ევროპელების (რუსების ჩათვლით) ქრონიკოგიური ცხრილი მოყვანილია წიგნში: Михаил Полиевктов. Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу. Тифлис, 1935. с. 215.

⁸ Totius Colchidis, hodie Mengrelliae a corace amne ad phasim usque descriptio.

⁹ Relatione della Colchide hoggi detta Mengrellia, nella quale si tratta dell' Origine. Costumi e Cose naturali di quei Paesi. Del P. D. Archangelo Lamberti, Clerico Regolare, Missionario in quelle Parti. All'Ill^{mo} e Reu^{mo} Sig^{re}-Monsignor Dionigio Massari, Segretario

რედაქტირებული და გამოცემულ იქნა ფრანგი კარტოგრაფის – მელქისედეკ ტევენოს (Melchisedech Thevenot) მიერ¹.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ფრანგი კარტოგრაფის, გიიომ დელილის (Guillaume Delisle) მიერ 1723 წელს პარიზში გამოცემული კასპიის ზღვის მიმდებარე ქვეყნების რუკა, რომელიც ეფუძნება სულხან-საბა ორბელიანის კარტოგრაფიულ მასალებს², რაც აღნიშნულია რუკის სათაურში: "...შედგენილია მეფის განკარგულებით ქართველი თავადის სულხან-საბას (Soskam-Sabbas) ხელნაწერი მასალების მიხედვით, აგრეთვე სპარსეთის საელჩოს ელჩების კრუზიუსის, ზურაბეკისა და ფაბრიციუსის მიერ..."³ ეს რუკა შემდგომ ამსტერდამშიც გამოიცა კოვენსის და მორტის (J. Covens, C. Mortier) მიერ.

სიზუსტის და დეტალიზაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის ის ევროპული რუკები, რომლებიც ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგნილ საქართველოს რუკებს ეფუძნება. პირველ რიგში ესენია ჟოზეფ-ნიკოლა დელილის მიერ 1766 წელს პარიზში (Joseph-Nicolas Delisle, Carte Generale de la Geogrie et de l'Armenie)⁴ და პაოლო სანტინის (Paolo Santini) მიერ 1775-1779 წლებში ვენეციაში გამოცემული საქართველოს რუკები.

გარდა ვახუშტის რუკებისა და ტფილისის გეგმისა, პეტერბურგში მოღვაწეობისას ჟოზეფ-ნიკოლა დელილმა აგრეთვე გადაიღო ტიმოთე გაბაშვილის

della Sacra Congregatione de Propag. Fide. In Napoli, 1654. იხ., არქანჯელო ლამბერტი. სამეცნიელოს აღწერა. თბ., 1938. აგრეთვე, ჟურნალი “არტანუჯი”, №10, თბ., 2000. გვ. 73.

¹ Melchisedech Thevenot. “Carte de la Colchide, appellee Maintenant Mengrelie, et par ceux du Pays, Odisci”. Relations de Divers Voyages Curieux. Paris, 1663.

² სულხან-საბა ორბელიანმა დიპლომატიური მისით ევროპაში იმოგზაურა 1713-1716 წლებში. 1714 წელს ის შეხვდა ლუდოვიკ XIV-ს და გადასცა ვახტანგ VI-ის წერილი და ალბათ ის რუკა, რომელიც შემდგომ დელილმა გამოაქვევნა შევსებული სახით. იხ., ირაკლი მატურელი. Материалы по грузинской картографии первой половины XVIII века. Тбилиси, 1961, с. 8. აგრეთვე, გრიგოლ ზარდალიშვილი. “სულხან-საბა ორბელიანის რუკა”, ჟურნალი “დროშა”. №1, თბ., 1951.

³ ეს რუკა არის ვახუშტის 1735 წლის ატლასის საქართველოს სამეფოს (“სამეფოსა ყოვლისა საქართველოსი”) რუკის ზუსტი ასლი, სადაც ქართული წარწერები შეცვლილია ლათინური ასოების ქართული ტრანსკრიფციით. აღნიშნული რუკა წარმოდგენილია უილიამ ალენის წიგნში “რუსეთის ელჩობა საქართველოში, 1589-1605 წლები”, კემბრიჯი, 1970 (Russian Embassies to the Georgian kings (1589-1605), volume 1. Edited by W.E.D. Allen. Cambridge, Hakluyt Society, 1970). იხ. აგრეთვე, ირაკლი მათურელი. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. თბ., 1990.

მიერ შედგენილი იმერეთის რუკის (Partie de la Géorgie)¹ და კახეთის რუკის (Province de Kakéti/Kakhétie)² ასლი, რომლის ავტორიც, სავარაუდოდ, იყო როსებ გიორგის ძე ბაგრატიონი³. ვახუშტის კარტოგრაფიულ მემკვიდრეობას აგრეთვე შეგვიძლია მივაკუთვნოთ იოპან ანტონ გიულდენშტედტის მიერ შედგენილი კავკასიის რუკა⁴ და რუსი ავტორების – სტეფან ბურნაშევის (Степан Данилович Бурнашев)⁵ და ალექსანდრე სუხოტინის (Алексей Николаевич Сухотин) რუკები.

საქართველოს შესახებ ინფორმაციის მოპოვება კარტოგრაფებს მისი მეზობელი სახელმწიფოების საშუალებითაც შეეძლოთ, მით უმეტეს, თუ ეს ეხებოდა საქართველოსა და ამ სახელმწიფოებს შორის არსებული საზღვრების დადგენის საკითხს. ოსმალეთის და სპარსეთის იმპერიების პოლიტიკური ვითარება ევროპელთათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა და იმ ინტენსიური ურთიერთობების გათვალისწინებით, რომელიც ევროპის წამყვან სახელმწიფოებს ამ ქვეყნებთან ჰქონდათ⁶, ევროპული რუკები შეგვიძლია საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალად მივიჩნიოთ.

XVI–XVIII საუკუნეებში კარტოგრაფიის განვითარებაზე გავლენა იქონია რენესანსის, გეოგრაფიული აღმოჩენებისა და სამეცნიერო განვითარების ეტაპებმა. ამ პერიოდში შექმნილი რუკები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან: მათი ნაწილი ასახავს ანტიკურ სამყაროს. ეფუძნება რა პტოლემეს რუკებს,

¹ “საქართველოს ნაწილი, შედგენილი არქიეპისკოპოსის მიერ, დაწერილი ქართულ და რუსულ ენებზე” (Partie de la Géorgie faite par un archevêque, écrite en géorgien et en russe).

² იხ., Par M. Albert Isnard. Joseph-Nicolas Delisle, sa, biographie et sa collection de cartes géographiques à la Bibliothèque nationale. Paris, 1915, p. 142.

³ პეტერბურგის გეოგრაფიული დეპარტამენტის პროტოკოლში (Protocole du bureau de Géographie) არის ხანაწერი, რომ 1740 წლის 22 თებერვალს უოზეფ-ნიკოლა დელილს ესტუმრა კახელი თავადი “უოზეფ გეგოროვიჩი”, რომელიც ითხოვდა მის მიერ ადრე შედგენილი კახეთის რუკის უკნ დაბრუნებას. ისტორიკოს ფრიდონ სიხარულიძის თანახმად, ეს პიროვნება როსებ გიორგის ძე ბაგრატიონი უნდა იყოს. იხ., რაულ ჩაგუანავა. ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (საბუნებისმეტყველო დარგები და ტექნიკა). თბ., 1990, გვ. 193. აგრეთვე, ნინა Невская. Петербургская астрономическая школа XVIII в. Ленинград, 1984, с. 102.

⁴ იხ., ვახტანგ გამრეკელი. საქართველოს 1772 წლის რუკა, თბ., 1964.

⁵ Степан Бурнашев. Картина Грузии, или Описание политического состояния царств карталинского и кахетинского. Курск, 1793.

⁶ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრანგების მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობები თხმალეთის იმპერიასთან და იტალიელების (კერძოდ ვნეციელების) სავაჭრო-პოლიტიკური ინტერესები სპარსეთში.

საქართველო აქ წარმოდგენილია კოლხეთ-იბერიის სახით. ასეთი რუკების საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენს გერპარდ მერკატორის, აბრაჟაშ ორტელიუსის, ჯოვანი ანტონიო მაგინის, სებასტიან მიუნსტერის რუკები.

მიუხედავად იმისა, რომ კარტოგრაფები ცდილობდნენ “პტოლემეს რუკების” რედაქტირებას და მათ შევსებას როგორც სხვა ანტიკური ხანის ავტორების ცნობებით, ასევე თანამედროვე ინფორმაციით, ხშირად ისინი მაინც არ ასახავდნენ იმ დროის ისტორიულ ვითარებას და შეინიშნებოდა ანაქრონიზმები. XVI–XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიული სინამდვილის გაცნობისათვის მეტი მნიშვნელობა ენიჭება აღმოჩენების და სამეცნიერო, ანუ “ახალი ეპოქის”, ეწ. “თანამედროვე” რუკებს, რომელთა მოძიება და შესწავლაც წარმოადგენს ჩვენს მთავარ მიზანს¹. თუმცა, ასეთ რუკებსაც არ გააჩნია თანაბარი ღირებულება თავისი მნიშვნელობით. ცალკე აღებული არც ერთი რუკა არ არის ზუსტი ან ამომწურავი სამეცნიერო თვალსაზრისით, ამიტომ მათი განხილვა განეცნებულად, სხვა წყაროებთან შეჯერების გარეშე, შესაძლოა, მცდარი დასკვნების გაკეთების ან ისტორიული სინამდვილის არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზი გახდეს.

რუკები, რომლებშიც ყურადღება ძირითადად საქართველოზეა გამა-ზვილებული, არ არის ბევრი, მათი რაოდენობა ალბათ რამდენიმე ათეულს არ აღმატება. მაგრამ, არსებობს მცირე აზიის, ოსმალეთის იმპერიის, სპარსეთის, შავი ზღვის აუზის რუკები, რომელთა რაოდენობაც ასეულებით განისაზღვრება და ეს რუკები ხშირად საკმაოდ დეტალურ და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოს შესახებ. ნაკლებადაა დეტალიზებული, თუმცა მაინც საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს ევროპისა და მსოფლიოს რუკებიც, რომლებზეც დაფიქსირებულია იმ ეპოქის ქვეყნები და მათი საზღვრები.

გეოგრაფიული ცოდნის, კარტოგრაფიული ტექნიკისა და გეოდეზიური აზომვების არასრულყოფილების გამო, XVI–XVIII საუკუნეების რუკებს, ბუნებრივია, მრავალი გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული უზუსტობა და შეცდომა ახასიათებს. ხშირად ეს შეცდომები “ტრადიციულია”, ანუ ერთი კარტოგრაფის მიერ დაშვებულ შეცდომას იმეორებს მისი მეტკვიდრე კარტოგრაფი და ასე გრძელდება ათწლეულების და ზოგჯერ მთელი საუკუნის მანძილზე. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ თბილისის ჩრდილოეთით (ჩრდილო-აღმოსავლეთით)

¹ ასეთი რუკის კარგი ნიმუშია ნიკოლა სანსონის მიერ შედგენილი საქართველოს რუკა (იხ. წყარო 2).

საკმაოდ დიდი ტბის დატანის “ტრადიცია”, რომელიც ძირითადად XVI საუკუნის მეორე ნახევრის და XVII საუკუნის რუკებზე გხვდება¹ (იხ., ნიკოლა სანსონის რუკა, წყარო 2). სავარაუდოდ, ეს არის სევანის ტბის (გოგჩა) მცდარი ლოკალიზაცია.

რაც შეეხება გეოგრაფიული სახელწოდებების მართლწერას, ხშირია შეცდომები, რომელთა ნაწილიც ასევე “ტრადიციულ” ხასიათს ატარებს. ამ შეცდომათა თავდაპირველი მიზეზი ძირითადად, ალბათ, მაინც ის წერილობითი წყაროები იყო, რომლებსაც კარტოგრაფი ეყრდნობოდა, რადგან წყაროთა ავტორები ხშირად შეცდომით იწერდნენ მათთვის უცხო ენაზე გამოთქმულ ან მეხსიერებაში შემორჩენილ გეოგრაფიულ სახელებს. საერთოდ, ქართულ-კავკასიურ ტოპონიმთა ევროპული (ფრანგული, გერმანული, ლათინური და სხვ.) ტრანსლიტერაცია სრულყოფილად ვერ გადმოსცემს ავთენტურ ფორმას. შეცდომათა მიზეზი აგრეთვე იყო გამომცემელთა თვითნებობა და დაუდევრობაც: კარტოგრაფი რუკას თავდაპირველად ხელნაწერის სახით ქმნიდა, ხოლო მისი გადატანა გრავირების ფირფიტაზე არცთუ იშვიათად ხდებოდა სხვა პიროვნების, პროფესიონალი გრავიორის მიერ, რომელიც ხშირად ხელნაწერიდან არასწორად კითხულობდა გარკვეულ ასოებს და ცვლიდა მათ გრაფიკულად მსგავსი სხვა ასოებით, მაგ.: I-T, a-o, G-C. ასევე, ენობრივი ფონეტიკური თავისებურებიდან გამომდინარე, ხდებოდა ასო-ბგერების ჩანაცვლება. ხშირია ასოების გაქრობის, ამოვარდნის შემთხვევებიც. მაგალითისთვის მოგვავს ყველაზე გავრცელებული შეცდომები: ქალაქ გორის სახელწოდების დამახინჯება შემდეგნაირად – Gori → Cori → Corides → Sorides, ან Gori → Cori → Kori; ქალაქ ფაზისის და მდინარე ფაზისის (რიონის) – Fasso → Asso; კახეთის – Kahet → Cachet → Gaghet; Kacheti → Zacheti, და ა.შ. შედეგად, ხშირად ხდებოდა ისე, რომ ერთი და იგივე გეოგრაფიული ადგილი სხვადასხვა რუკაზე სხვადასხვა სახელით და ზოგჯერ განსხვავებული ლოკალიზაციით ფიქსირდებოდა, რაც შემდეგ სხვა შეცდომების წარმოშობას (მაგ., აღგილთა დუბლირებას) უწყობდა ხელს.

ამ წიგნში წარმოდგენილ წყაროთა აღწერისას, ის ტოპონიმები, რომლებიც იდენტიფიცირებულია ჩვენ მიერ და ეჭვს არ იწვევს, ჯერ მოცემულია

¹ ეს შეცდომა გვხვდება XVIII საუკუნის პირველი ნახევრის რუკებზეც, მაგალითად, გერმანელი კარტოგრაფის, ოოპან ბატისტ ჰომანის (Johann Baptist Homann) მიერ შედგენილ რუკაზე, რომელიც გამოიცა 1720 წელს ნაურნბერგში. აღნაშნული რუკის ერთ-ერთი ეგზემპლარი ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ქართულად (ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ფორმით), ხოლო გვერდით, ფრჩხილებში ლათინური ასოებით, ისე, როგორც ორიგინალშია აღნიშნული. იქ, სადაც აუცილებელია, ამოვარდნილი ან მცდარი ასოები ჩვენ მიერ ჩასწორებულია კვადრატული ფრჩხილებით. ის ტოპონიმები, რომელთა იდენტიფიცირებაც ვერ ხერხდება ან საეჭვოა, მოყვანილია მხოლოდ ორიგინალური სახით (ან მის გვერდით სავარაუდო შესატყვისით კითხვის ნიშნით). მათი მეცნიერული კვლევა სამომავლო საქმეა და როგორც საისტორიო გეოგრაფიის, ასევე ენათმეცნიერების სფეროს ეკუთვნის.

რუკები და საისტორიო წყაროები კომენტარებით

ქვემოთ განვიხილავთ რუკებს, ილუსტრაციებს და ცნობებს საქართველოს შესახებ XVI-XVIII საუკუნეების ევროპელი ავტორების იმ ნაბეჭდი გამოცემებიდან, რომლებიც ჩვენთვის დღეისათვის არის ხელმისაწვდომი. აქ წარმოდგენილი ყველა წყაროს ორიგინალი ინახება ავტორის კოლექციაში.

მასალა დაღაგებულია ქრონილოგიური თანმიმდევრობით; წყაროს სათაურს მოსდევს ბიოგრაფიული ცნობები მისი ავტორის შესახებ¹, შემდგომ კი ცნობები საქართველოს შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რუკის (ან ილუსტრაციის) აღწერას, ისევე, როგორც წერილობით წყაროებს, საჭიროებისამებრ თან ერთვის განმარტებები და ისტორიული ვითარების მოკლე მიმოხილვა. რუკების აღწერისას ჩვენ შეგნებულად არ ვუღრმავდებით მათი მათემატიკური საფუძვლების ანალიზს, რადგან ეს არ არის ამ ნაშრომის მიზანი.

აქ წარმოდგენილი ყველა რუკის და ილუსტრაციის ორიგინალი შავ-თეთრია, ქაღალდი შეიცავს სხვადასხვაგვარ ჭვირნიშანს², შესრულებულია გრავირების მეთოდით და მატრიცად გამოყენებულია სპილენძის ფირფიტა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მითითებულია სხვაგვარად.

¹ რუკების შემთხვევაში ავტორად მივიჩნევთ რუკის შემდგენელს (თუ მისი ვინაობა ცნობილია), ხოლო სხვა შემთხვევებში კი წიგნის ავტორს.

² ეს ჭვირნიშნები აღნიშნავს ქაღალდის მწარმოებლის სავაჭრო ნიშნებს და მათ არ გააჩნიათ წიგნის კონტექსტის შესაბამისი ინფორმაციული დატვირთვა, ამიტომ მათ აღწერას არ გთავაზობთ.

1. “საპარსეთის ახალი რუკა” (Persia Nova Tabula) ჯაკომო (ჯაკოპო)

გასტალდის (Giacomo (Jacopo) Gastaldi) წიგნიდან “პტოლემეს გეოგრაფია” (Ptolomeo La Geografia...)¹, გამოცემული ვენეციაში 1548 წელს¹ (იხ. სურ. 1ა, 1ბ).

ჯაკომო გასტალდი დაიბადა დაახლ. 1500 წელს პიემონტში (Piemonte). ის იყო XVI საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ოტალიური კარტოგრაფი, მრავალი რუკის და ატლასის ავტორი. 1540 წლიდან იყო ვენეციის რესპუბლიკის კოსმოგრაფი; მისი პირველი რუკა 1544 წელს გამოიცა. 1548 წელს მან ნიკოლო ბასკარინისთან (Nicolo Bascarini) ერთად გამოსცა სებასტიან მურნსტერის მიერ 1542 წელს გამოქვეყნებული პტოლემეს გეოგრაფიის რედაქტირებული ვარიანტი, რომელიც შეაცნო თანამდროვე რუკებით. გასტალდიმ ვრავირებისთვის დანერვა სპილენძის ფირფიტების გამოყენების ტექნიკა, რაც მეტი დეტალიზაციის საშუალებას იძლეოდა მანამდე გავრცელებული ხის ფირფიტების ტექნიკასთან შედარებით. გარდაიცვალა 1565 წელს. გასტალდის რუკების ნაწილი თავისი ატლასისთვის გამოიყენა და გამოსცა კერძო რუკელიმ (Girolamo Ruscelli) (ამ ატლასში იყო ჩვენ მიერ აუმარმდებული რუკაც, ოღონდ უფრო გამარტივებული სახით)².

ჯაკომო გასტალდის ეს რუკა საქართველოს ამსახველი ერთ-ერთი უძველესი ნაბეჭდი რუკაა, რომელზეც ასახულია იმ ეპოქის ისტორიული რეალობა, როდესაც ის შეიქმნა (განსხვავებით პტოლემეს “ანტიკური” რუკებისაგან). იმავდროულად, ეს რუკა ინარჩუნებს შუა საუკუნეების კარტოგრაფიისათვის მეტად სიმპტომატურ – ბიბლიოური ადგილების დატანის ტრადიციას, რისი გამოხატულებაც ამ რუკაზე არარატის მთაზე მოთავსებული ნოეს კიდობანია.

¹ ეს რუკა წარმოდგენილია წიგნში: Persian Gulf, atlas of old and historical maps (3000 B.C. – 2000 A.D.), volume I. Compiled and Edited by the editorial board: Mohammad-Reza Sahab et al., Tehran, 2005, p. 203.

² იხ., Persian Gulf, atlas of old and historical maps (3000 B.C. – 2000 A.D.), volume I. Compiled and Edited by the editorial board: Mohammad-Reza Sahab et al., Tehran, 2005, p. 210.



სურ. 1a.
ჯაკომო
გასტალდის
რუკა, 1548.

Fig. 1a. The
map by
Giacomo
Gastaldi, 1548.

რუკა დაბეჭდილია ქაღალდზე ზომით $20,5\text{სმ} \times 17\text{სმ}$. ნაბეჭდი არე მოიცავს $17,2\text{სმ} \times 13\text{სმ}$ -ს. დატანილია გრადუსები (კარტოგრაფიული) ჩარჩო. რუკის სათაური – Persia Nova Tabula მოთავსებულია ზემო არშაბზე.


რუკა სპარსეთზეა ორიენტირებული, მისი ცენტრალური ნაწილი უკვია ქასპიის (ბაქოს) ზღვას (Mar di Bachau), რომლის კონფიგურაციაც მეტად არაზუსტია. რუკა აგრეთვე მოიცავს შავი ზღვის (აქ “დიდი ზღვა”, Mar Mazor)¹ ფრაგმენტს და საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილს. საზღვრები საქართველოს და სპარსეთს შორის, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებს შორის, დატანილი არ არის. დასახლებული პუნქტების აღსანიშნავად ავტორი მხოლოდ ერთი სახის პირობით ნიშანს – ციხესიმაგრის სქემატურ გამოსახულებას

¹ შეა საუკუნეებში ევროპელები (ძირითადად იტალიელები) შავ ზღვას უწოდებდნენ დიდ ზღვას. აქ სიტყვა მაჯორ (Major – დიდი) დაწერილია ვენეციურ დიალექტზე – “მაძორ” (Mazor).

იყენებს, ამიტომ ძნელია გავარჩიოთ, რომელია ქალაქი, დაბა ან უბრალოდ ციხე-რუკაზე რელიეფი მოცემულია პერსპექტიულ-პროფილური გამოსახვის მეთოდით და მცენარეული საფარი ტყეების სახით (ხეების გრაფიკული გამოსახულება), რაც საქართველოს ტერიტორიაზე აღიშნულია მდინარე რიონის (Fasso) ჩრდილოეთით და მდინარე მტკვრის სამხრეთით (მდინარე მტკვრის სახელწოდება დატანილი არაა, თუმცა ლოკალიზაციის მიხედვით მისი იდენტიფიცირება ეჭვს არ იწვევს). ტოპონიმები მეტწილად დამახინჯებულია, თუმცა უმეტესობის დაღენა შესაძლებელია.

წარწერა “საქართველო” (Gorgia) მოიცავს ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილს. ჩრდილო-დასავლეთით განთავსებულია წარწერა “სამეგრელო” (Mengrelia), რომელიც მოიცავს სებასტოპოლის (Sauatopoli)¹, ტამიშს (Tamasa). მდინარე ფაზისის (Fasso) მარჯვენა სანაპიროზე, ზღვისგან საკმაოდ მოშორებით, დატანილია დასახლებული პუნქტი Asso (ალბათ, უნდა იყოს Fasso, ანუ ფაზისი), სამხრეთით — პალიასტომი (Paliastoma), რომელიც ფაზისის² ტრადიციულ მდებარეობას შეესაბამება. ზღვიდან რამდენადმე მოშორებით მსხვილი შრიფტით დატანილია LOVATI³, ხოლო მის სამხრეთით — gouea, რაც გურიას, ან გონიოს უნდა აღნიშნავდეს, თუმცა, მდებარეობის მიხედვით, უფრო ბათუმს

სურ. 1b.
ჯაკომო
გასტალდის
რუკა
(ფრაგმენტი),
1548.
Fig. 1b. The
map by
Giacomo
Gastaldi (detail),
1548.



¹ სებასტოპოლი (სებასტოპოლისი, სევასტოპოლი), ანტიკურ ხანაში — დიოსკურია, იყო ქალაქი დღევანდელი ქ. სოხუმის ადგილას. ვარაუდობენ, რომ ძველი ქალაქის ტერიტორია ამჟამად ზღვით არის დაფარული. მიწეულია, რომ იმ ეპოქაში სებასტოპოლი ცხებს (სოხუმს) აღნიშნავდა.

² ფაზისი — ისტორიული ქალაქი დღევანდელი ქ. ფოთის ადგილას. ძველი ქალაქის ზუსტი ლოკალიზაცია დადგენილი არ არის.

³ Lovati, ანუ Lonati არის ქ. ბათუმის სახელწოდების ერთ-ერთი ვარიანტი, რაც დაფიქსირებულია ევროპულ წყაროებში.

შეესაბამება (შესაძლოა, ავტორმა აურია ქალაქის (ბათუმი, Lovati) და მხარის (Guria, Gouea) სახელწოდებები)¹.

საქართველოს ტერიტორიაზე აგრეთვე აღნიშნულია ქუთაისი (Cotachis), სკანდა (Se[=c]ander), გორი, ეს უკანასკნელი ორჯერ: პირველად როგორც Gorides და დატანილია მდინარეზე, რომელიც მოხაზულობით და ლოკალიზაციით მტკვარს შეესაბამება, მეორედ – როგორც Gori და დატანილია მდინარეზე, რომელიც, მდებარეობის მიხედვით, არაგვი უნდა იყოს (გარდა ფაზისისა, არც ერთი სხვა მდინარის სახელწოდება საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული არ არის). Gori შესაძლოა იყოს ქსნის ხეობაში მდებარე ახალგორი (მდ. ქსანი ამ რუკაზე საერთოდ არაა დატანილი). ტფილისის² (Z[=T]efili[s]) ლოკალიზაცია მცდარია, ის დატანილია არა მდ. მტკვარზე, არამედ მისგან ჩრდილოეთით საკმაოდ შორს.

ჩრდილოეთით დატანილია ჩერქეზეთი (Circassia), ხაზარეთი (Gazaria)³ და თაორეთი (Tartaria), სამხრეთით – ტურკომანია (Turcomania)⁴. კასპიის ზღვასთან დატანილია Giurgura, რაც, შესაძლებელია, სამცხის მცდარი ლოკალიზაცია იყოს⁵. აქვე, კასპიის ზღვასთან დატანილია ბაქო (Bachau) და დარუბანდი

¹ ოუმცა, აქვე გვხურს აღვნიშნოთ, რომ ტერმინ “გურიას” ეტიმოლოგიის მგვლევრებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ ის სარეზიდენციო სახელიდან არის ნაწარმოები და შემდგომ გავრცელდა მხარის, რეგიონის აღმნიშვნელ ტერმინად. იხ., ქველი ჩხატარაიშვილი. ტერმინები “გურია”, “გურული” და “გურიელი”. საქართველოს და ქართველებს აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 453.

² ქ. იბილისი 1936 წლამდე იწოდებოდა ტფილისად; შესაბამისად, ისტორიული წყაროების განხილვისას ჩვენ მას ამ სახით მოვიხსენიებთ.

³ XVI საუკუნეში ხაზარეთი აღარ არსებოდა, თუმცა ამ ტერმინით აგრეთვე აღინიშნებოდა გენუელთა კოლონიები ჩრდილოეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში. ცხადია, აქ ის შეცდომით არის დატანილი.

⁴ ამ ეპოქის ევროპელი ავტორები ტურკომანიას უწოდებდნენ ოსმალეთის იმ ტერიტორიას, რომელიც ანტიკური ხანის წყაროების მიხედვით (ცნობილი იყო როგორც “დიდი არმენია”).

⁵ სამცხის “გორგორათი” (გურგურა, გიურგურა) აღნიშნვას, რაც სამცხის ათაბაგ ყვარყვარეს (ყუარყუარე) სახელის დამახინჯების შედეგად იქნა მიღებული, სათავე დაედო XV საუკუნეში იტალიელ დიპლომატთა და მოგზაურთა მიერ (იხ., XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1981). “გიურგურა” კასპიის ზღვასთან არის დატანილი ამ ეპოქის ზოგიერთ სხვა რუკაზეც, რომელებიც, სავარაუდო, გასტალდის აღნიშნულ რუკას ეფუძნება (მაგალითად, მერკატორის მიერ შედგენილ ოსმალეთის იმპერიის რუკაზე, რომელიც გამოიცა XVII საუკუნის დასაწყისში. აქ ის აღნიშნულია, როგორც Georguria. იხ., Игорь Фоменко. Образ мира на старинных порталах. Причерноморье. Конец XIII - XVII вв. Москва, 2007). ცხადია, ტოპონიმ

(Derbent), რომელთა ადგილმდებარეობაც არეულია. სამხრეთით მდებარეობს მთა არარატი, სადაც მოთავსებულია ნოეს კიდობანი (Archa di Noe). რუკა შედგენილია ოსმალეთ-სპარსეთის 1555 წლის ამასის ზავის დადებამდე და ალბათ ამიტომ ამ იმპერიებს შორის საზღვარი, ისევე, როგორც მათი საზღვარი ქართულ სამეფო-სამთავროებთან, აქ დატანილი არ არის.

გასტალდის მიერ რუკაზე დატანილი ტოპონიმები ძირითადად ემთხვევა იტალიელი დიპლომატების – იოსაფატ ბარბაროს და კატერინო ძენოს მიერ საქართველოს აღწერისას გამოყენებულ ტოპონიმებს¹. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ჯაკომო გასტალდი კარგად იცნობდა მათ ცნობებს საქართველოს შესახებ (სწორედ გასტალდიმ შეადგინა რუკები ვენეციელი მოგზაურის – ჯოვანი ბატისტა რამუსიოს (Giovanni Battista Ramusio) მოგზაურობის კრებულისათვის, რომელიც ბარბაროს და ძენოს ცნობებსაც მოიცავდა)².

2. ნიკოლა სანსონის (Nicolas Sanson) რუკა “ტურკომანია, საქართველო, კომანია” (Turkomanie, Georgie, Commanie) ატლასიდან “აზია” (L'Asie, En Plusieurs Cartes Nouvelles...)^{III}, გამოცემული პარიზში 1652 წელს. ნიკოლა სანსონის ეს რუკა ცვლილებების გარეშე იქნა შეტანილი ჯოანის ლუიტსის (Joannis Luyts) მიერ 1692 წელს გამოცემულ წიგნში “შესავალი გეოგრაფიისათვის” (Introductio ad Geographiam...)^{IV}. ჩვენ მიერ აქ განხილული რუკა და საქართველოს აღწერა სწორედ ამ გამოცემიდან არის ამოღებული.

“გეორგურიას” ფორმირებაში მონაწილეობდა როგორც ანთროპონიმი ყუარყუარე, ასევე ტოპონიმები გეორგია და გურია. მისი მცდარი ლოკალიზაციის მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო როგორც წერილობითი წყაროების მცდარი ინტერპრეტაცია, ასევე ფონეტიკური მსგავსება კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე მხარე გურგანთან. აღსანიშნავია, რომ კასპიისზღვისპირა ტერიტორიას, სადაც გასტალდის Giurgura აქვს დატანილი, კერიპელი კარტოგრაფები, ტრადიციულად, საქართველოს ნაწილად მოიაზრებდნენ (მაგალითად, იხ. წყარო 3). იოდოგვეს ჰონდიუსის აზიის რუკაზე “ტარტარია” (Tartaria), რომელიც 1607 წელს გამოიცა, “გეორგურია” საქართველოს აღნიშნავს.

¹ იხ., XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1981.

² Giovanni Battista Ramusio. Delle Navigazioni e Viaggi. Secondo volume, Venetia, 1559.

რუკისგან განსხვავებით, სანსონისეული ტექსტი შევსებულია თანამედროვე ინფორმაციით (იხ. სურ. 2ა, 2ბ).

ნიკოლა სანსონი იყო თავისი ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული კარტოგრაფი, მას ფრანგული კარტოგრაფიის ფუძემდებლადაც კი მოიხსენიებენ დიდი დამსახურების გამო. ის დაიბადა 1600 წელს აბევილში (Abbeville). ახლვაზრდობის წლებში სწავლობდა ისტორიას და რუკებს აღგენდა საკუთარი საისტორიო შრომების საიღუსტრაციოდ. პარიზში მან მიიჩყრო ლუ XIII-ის ფურადღება და დაინიშნა სამეფო კარის გეოგრაფიად. თავისი მოღვაწეობის მანძილზე შეაღვინა 300-ზე მეტი რუკა. 1652-1656 წლებში გამოვიდა ოთხტომეული ატლასი – კვროპა, აფრიკა, ამერიკა და აზია (*L'Europe, L'Afrique, L'Amérique & L'Asie*). აზიის ტომი შედგებოდა 17 რუკისგან, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს რუკა. სანსონის ეს ატლასი შედგომ საფუძვლად დაედო სხვა კარტოგრაფების შრომებს, მათ შორის – პიერ დოუ ვალის (Pierre Du Val) ატლასს. ნიკოლა სანსონი გარდაიცვალა პარიზში, 1667 წელს. მიხო საქმე ვანაგრძეს შვილებმა (Nicolas, Guillaume, Adrien) და შვილიშვილმა (Pierre Moulard-Sanson).

ინფორმაცია საქართველოს შესახებ (ლათინურ ენაზე), რომელიც განთავსებულია წიგნის “შესავალი გეოგრაფიისათვის” X თავის 503-508 გვერდებზე, ასეთია^V:

X თავი

საქართველო (*Georgia*), სამეგრელო (*Mengrelia*), ჩერქეზეთი (*Circassia*), კომანია (*Comania*)^I

მას შეძლებ, რაც თურქეთის აზიურ ნაწილს (*Turcia Asiatica*) გავივლით, ჯერი დგება აზიის იმ რეგიონზე, რომელიც პონტოს ევქსინუსის (*Pontum Euxinum*)², ანუ შავ ზღვას (*mare Nigrum*) და კასპიის ზღვას (*Caspium mare*) შორის მდებარეობს. მასში (=ამ რეგიონში) გვხვდება საქართველო (*Georgia*), სამეგრელო (*Mengrelia*), ჩერქეზეთი (*Circassia*), აგრეთვე კომანია (*Comania*), რომელთაგან პირველი ორი უფრო სამხრეთის მხარესაა, შემდეგი ორი კი ჩრდილოეთისკენ.

^I კომანიის (კუმანიის) სახელწოდება მომდინარეობს კომანთა, ანუ ყივჩაყთა ტომებიდან.

² პონტის ევქსინუს, ანუ სტუმართმოყვარე ზღვა არის შავი ზღვის ძველი ბერძნული სახელწოდება.

საქართველოს აქვს ორგვარი გაგება: ფართო და ვიწრო. ფართო გაგებით ის ასეა შემოსაზღვრული: სამხრეთიდან შირვანით (*Scirvaniâ*)¹ – სპარსეთის ნაწილით, დიდი არმენიით (*Armeniâ Majori*), აგრეთვე ტრაპიზონის (*Trapezuntinâ*) პრეფექტურით – კაბადიკით (*Cappadociæ*), დღეს ამასიის (*Amasiae*)² ნაწილით; დასავლეთიდან – შავი ზღვით; ჩრდილოეთიდან – ჩერქეზეთით (*Circassiâ*) და კომანიით (*Comaniâ*); აღმოსავლეთიდან – დაღესტნით (*Daghestaniâ*). ამ მოხაზულობაში შედის სამეგრელოც. ადრე ეს იყო უფრო კრცელი [რეგიონი], ეჭვემდებარებოდა ერთ მეფეს, რომლის სამეფო ტახტიც ქუთაისში (*Cotatis*) იყო. დღეს ის იმერეთის სამეფოს (*Regni Imeretiae*) დედაქალაქია.

ვიწრო გაგებით საქართველოს, სხვაგვარად – საკუთრივ [საქართველოს] აღმოსავლეთისკენ აკრავს კასპიის ზღვა და დასავლეთისკენ – მთები, რომლებითაც გამოიყოფა სამეგრელოსგან; ასე აღიქვამებ საქართველოს ტავერნიე (*Tavernierius*)³ და სხვები. ეს საქართველო (*Georgia*), გაღებისთვის (=ფრანგებისთვის) – გეორგიე (*Georgie*), სხვებისთვის – გურჯიენ (*Gurjien*), ხოლო აზიური მოსახლეობისთვის – გურჯისტანი (*Gurgistan*), დღეს სპარსთა მეფის გამგებლობაშია. ქართველები, როგორც ამბობენ, არიან მამაკნი, მუტად გამოცდილი მოისარნი, სანდონი; ასე იცნობენ მათ სპარსთა მეფესთანაც და სიყვარულში [არან] მოკოლის მთავართანაც (*Magno Mogoli*)⁴; ზრდილობიანნი, ზომაზე მუტად მოყვარენი კარგი დვინისა, რომლის მოსავლიანობაც საქართველოში ძალიან დიდია; გარევნობით წარმოსაღები, პირველ რივში – ქალთა სქესი, რომლის ხელში ჩაგდებასაც სპარსთა მეფეც და თურქიც დიდად ესწრავვის. ძალზე დიდი ნაწილი ქრისტიანობის აღმსარებელია, პირველ რივში – კაცები (თუმცა მათში ღრმად განსწავლული მაინც მუტისმუტად მცირეა); დანარჩენ ნაწილს ძამძალიანობა აქვს მიღებული, რასაც მხარს უჭერს სპარსეთის

¹ შირვანი – ისტორიული ქვეყანა ახლანდელი აზერბაიჯანის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. მისი პოლიტიკური ცენტრი იყო ქ. შემახა. იმ ეპოქაში შირვანი სპარსეთის ნაწილი იყო.

² ამასია – ისტორიული მხარე დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

³ იგულისხმება ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან-ბატისტ ტავერნიე (*Jean-Baptiste Tavernier*) (1605-1689).

⁴ მოგოლის (*Mogol*, *Mogul*) სახელმწიფო მდებარეობდა სპარსეთის იმპერიის აღმოსავლეთით, დღევანდელი პაკისტანის და ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში. სახელი მიიღო მონღოლურ-თათრული წარმოშობის მმართველი დინასტიის გამო.

მეფე, რომელიც არათუ მხოლოდ მაპმადიანებისა, საქართველოს თითქმის სრული გამგებელიცაა (=პრეფექტია). საქართველო დაყოფილია ორ პროვინციად: კახეთად (*Gaguetiam*) და ქართლად (*Cardueliam*). ერთსაც და მეორესაც სპარსეთის მეფე უნიშნავს მმართველს თვით საქართველოს წარჩინებულთა წრიდან, რომელსაც ამკობს მეფის ტიტულით. *Gaguetia*, *Gagheti*, ანუ კახეთი (*Kacheti*), სანსონის *Zacheti*, დაიღებული სამეფოს სახელის მქონე, ძღებარეობს აღმოსავლეთით სპარსეთის პროვინცია – შირვანსა (*Scirvaniam*) და დასავლეთით და ჩრდილოეთით საქართველოს მეორე ნაწილს – ქართლს შორის, რომელიც ძღებარეობს შუა მთიანეთში და მასზე მიედინება მდინარე მტკვარი (*Cyro*, *Kur*). მისი (=კახეთის) უფრო გამორჩეული ქალაქია ძეგამი (*Zaganum*), *Zagan* ანუ *Zagain*¹, სანსონის მიხედვით – მდინარე. როგორც ასე თუ ისე (=საკმარისად) გავუცანით, კახეთს დასავლეთითა და ჩრდილოეთით ესაზღვრება ქართლი (*Carduelia*, *Carduel*, ანუ *Cartuel*), ტავერნის მიხედვით – *Kartelé*, საქართველოს მეორე სამეფო, თანაც პირველზე უფრო ვრცელი, რომლის დედაქალაქია, ისევე როგორც მთელი საქართველოსი, ტფილისი (*Tephlis*, *Teflis*), არცთუ პატარა ლამაზი ქალაქი, რომელიც გაშენებულია მდინარე მტკვრის (*Cyrum*) სანაპიროზე წარმტაც რუგიონში. ის არის აბრეშუმით უზარმაზარი ვაჭრობის გამჩაღებული.

სადაც დღეს საკუთრივ საქართველოა, ოდენდაც იყო იბერია (*Iberia*), მთებით გარშემორტყმული, რომელიც ძღებარეობს აღმოსავლეთიდან აღბანეთს (*Albaniam*), ჩრდილოეთიდან აზიურ სარმატიას (*Sarmatian Asiaticam*), დასავლეთიდან კოლხეთს (*Colchidem*) და სამხრეთიდან დად არმენიას (*Armeniam majorem*) შორის. მისი უბრწყინვალესი ქალაქიბი იყო არმაქტიკა (*Armactica*), სხვაგვარად *Armotica*², ანუ *Harmostis* და *Artanissa*³. აქც ასევე მტკვარი (*Cyro*) მიედინებოდა (ისიც ასევე მტკვრით იწყვებოდა).

¹ ძეგამი (ძაგემი, ზაგემი), კახეთის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, მდებარეობდა დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ზაქათალის რაიონში.

² აქ ავტორი აღბათ გულისხმობს ანტიკურ წყაროებით ცნობილ ქალაქ არმაქტიკას (სტრაბონის მიხედვით – ჰარმოზიკე), ანუ არმაზციხეს. იხ., თინათინ ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, გვ. 129, 300.

³ სავარაუდოდ არტანუჯი.

საქართველოდან (იგულისხმება “საკუთრივ საქართველო”, ანუ ქართლი და კახეთი – გ. ლ.) გადაცდივართ სამეგრელოში (*Mengrelia*), *Mengrelia*, რომელიც არის, ფართო გაგებით საქართველოს (*Georgia*) ერთ-ერთი ნაწილი. მას ესაზღვრება აღმოსავლეთით გადაშლილი საქართველო (ქართლი და კახეთი – გ. ლ.); სამხრეთიდან – დადი არმენია და ტრაპიზონის პრევაჭურა; დასავლეთით – შავი ზღვა; ჩრდილოეთის მხარეს განთავსებული სამეგრელო რკინითა და ფოლადით იძღვნად მდიდარია, რომ [შეუძლია] მხოლოდ ამ მინერალებით თურქეთი მოამარავოს¹. აქ იძღვნად გაჭირვებულები არიან ფულისა და ნებისმიერი ნივთის მხრივ, რომ ყველაზე ხშირად მოტაცებული ბავშვები იყიდება, ან არაფრად ღირებულ ნივთებზე იცვლება. კლიერის მეცვეურები კი მათ საკუთარი ძალის გამოყენებით ზომიერებისკენ კი არ მოუწოდებენ, პირიქით, ფიქრობენ, რომ მათთან ერთად თავადაც მოიპოვონ ეს უფლება. და შეძლომ თურქეთსა და საპარსეთში ხშირად ხვდებიან მშვენიერი გოგო-ბიჭები იმის გამო, რომ ისინი მათ უამრავს ყიდიან. წმინდა მოღვაწის მოვალეობაა, რომ მისთვის სქესის [საკითხი] იყოს ნაკლებმიშვნელოვანი; წმინდა რიტუალების დროს მამაკაცური [საწყისი] უმეტესწილად სახეცვლილია; საქართველოში ეს მომენტიც ხშირად უცულებელყოფილია². სამეგრელოს ძევები ქრისტიანულ რელიგიას აღმსარებლობენ. დღეს ის დაყოფილია სამ პროვინციად, რომელთაგან ნებისმიერი გვხვდება სამეფოს სახელით, [ესენი] არიან იმერეთი (*Imeretia*), გურია (*Guria*), და ავრეთვე სამეგრელო (*Mengrelia*)³. იმერეთი (*Imereti* ანუ *Imerete*) სხვაგვარად

¹ თავის მოგზაურობის ჩანაწერებში, უან ბატისტ ტავერნიე აღნიშნავს, რომ რკინა ოსმალეთში ძირითადად სამეგრელოდან შედიოდა. იხ., უან ბატისტ ტავერნიე. დადი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა. თბ., 1974, გვ. 200.

² აქ ტექსტის შინაარსი ბუნდოვანია, თუმცა, საგარაულო, იგულისხმება ის ფაქტი, რომ ქართველი (მართლმადიდებელი) მღვდელი შესაძლოა ყოფილიყო დაოჯახებული, მაშინ როდესაც ეს რომის კათოლიკურ კელესიაში არ იყო დაშვებული.

³ აქ, ისევე, როგორც ამ ეპოქის სხვა ავტორებთან (მალე, დოუ ვალი, დე ლა კრუა), სახელწოდება “სამეგრელო” იხმარება როგორც ფართო გაგებით, მთელი დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად, ასევე ვიწრო მნიშვნელობით – სამეგრელოს სამთავროს, ანუ ოლიშის აღსანიშნავად. ანალოგიური მოვლენა ფიქსირდება ქართულ ისტორიულ წყაროებშიც. სიტყვა “მეგრელი” დასავლეთ საქართველოს უძევლესი ქართული სახელწოდებიდან – “ეგრისი” მომდინარეობს და თავდაპირველად ამ ტერიტორიის ყველა მოსახლეს აღნიშნავდა, მოგვიანებით კი მიიღო დასავლეურქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის – “მეგრელის” მნიშვნელობა. სიტყვა მეგრელიდან მოდის ვეროპულ წყაროებში დაფიქსირებული ტერმინი *Megrelia=Mengrelia=Mingrelia*. იხ., თამაზ ბერაძე. “მეგრელი”, “სამეგრელო”, “ოდიში”. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 459-464.

ბაშიაჩუკი (*Bassasiouch*), ტავერნიეს მიხედვით *Bassachiouk*¹. სამეგრელო ძლიერი პროვინციაა, მდებარეობს ქართლის – აღმოსავლეთით მდებარე საქართველოს პროვინციასა და გურიას შორის, რომელიც მისი უახლოესი [მეზობელია] დასავლეთით. მის (=სამეგრელოს) სამხრეთში მიუდინება მდინარე ფაზისი (*Phasis*), ამ მხარეში მცხოვრებთათვის – რიონი (*Rione*), იფა-ლიელთათვის – ფაზო (*Fazo*), რომელიც ხშირად წყალუხვი და დინებით მეტისმეტად ძლიერ ხდება და რწყავს მთელ იმერეთს. მას (=იმერეთს) ჰყავს თავისი მეფე, რომელსაც ემორჩილება გურიაც და მასთან ერთად სამეგრელოც, და რომელიც (=მეფე) ახლა ძალიან ძლიერია². ამ სამეფოს დედაქალაქი არის ქუთაისი (*Cotatis*), პატარა ქალაქი ფაზისის ნაპირზე, მთის ძირას, ციცაბო კლდეზე ციხესიმაგრითურთ. გურია (*Guria*), გურიელი (*Guriel*), სხვასთან (=სხვა ავტორთან) – *Ghuria*, სამეგრელოს მომდევნო პროვინცია, იმერეთსა და შვა ზღვას შორის მდებარეობს. იგი ემორჩილება საკუთარი მეფის ძალა-უფლებას, რომელიც თურქების მფარველობაშია. მას არა აქვს რაიმე გარკვეული სახელწოდების ძქონე ქალაქები. სანსონი აშკარად ასახელებს ვართის (*Varthi*)³, ქალაქს შვა ზღვის პირას; რობე (*Robbe*) – აზაკს (*Azach*)⁴ და ბაშიაჩუკს (*Bassachiuch*)⁵. სამეგრელოს მესამე პროვინცია არის სამეგრელო (*Mengrelia*), რომელსაც მთელი რუკიონის სახელი ჰქვია, მაგრამ აღვილობრივი მოსახლეობისთვის ეს არის ოდიში (*Odisci*), ქართველებისთვის – მეგრელი (*Meghreli*). იგი მოსაზღვრულია გურიის ჩრდილოეთით, დასავლეთიდან კი – შვა ზღვით. ის არის ნაყოფიერი და ნოეფირი (მორწყელი) ნიადაგის ძქონე, საკუთარი მეფით, რომელიც არის დიდი ბატონის მოხარუქ, მისსავე

¹ თურქულად „ბაში-აჩუკ“ ნიშნავს ღია თავს, ანუ თავშიშველს. ასე უწოდებდნენ თურქები იმერლებს, რადგან მათ ქუდის ნაცვლად ეხურათ მცირე ზომის თავსაბურავი, ე.წ. ფაფანაკი. აქედან, იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი სახელწოდება.

² ჩვენი ვარაუდით, ავტორი უნდა გულისხმობებს იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს (მისი მეფობის ბოლო პერიოდს).

³ Vathi (*Vati*, *Vartlui*) არის ტობონიმი ბათუმის დამახინჯებული ვარიანტი. ამ სახით გვხვდება ის ჯერ კიდევ XV საუკუნეში, ვენეციელი დიპლომატების – ბარბაროს და ქონტარინის ცნობებში.

⁴ აზაკი (ანუ აზოვი) მდებარეობდა მდ. დონის შესართვათან აზოვის ზღვასთან, თუმცა სანსონის რუკაზე ის შეცდომით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც არის დატანილი.

⁵ ესეც შეცდომა უნდა იყოს, რადგან სხვა წყაროების მიხედვით, ბაშიაჩუკი შეესაბამება ან იმერეთს, ან მის მთავარ ქალაქს – ქუთაისს.

მფარველობაში მყოფი. მისი ქალაქებია ფაზისი (*Phasis, Fasso*), თანამოსახელე ძღვინარის შესართავთან მდებარე, და სებასტოპოლის (*Sebastopolis, Savatopoli*), დიდებული სავაჭრო [ქალაქი], ღრმად შეჭრილი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროში. არიან ისეთებიც (=ავტორები), რომლებიც პროვინცია აკოგასიას (აფხაზეთი – გ. ლ.) (*Avogasiam*) ამ სამეცრელოს ნაწილად წარმოადგენებ (=ასახელებენ), რომელიც მას (=სამეცრელოს) ჩრდილოეთის მხრიდან ეკვრის და შავი ზღვისკენ დასვლეთის მხარეს კარგა მოზრდილ სივრცეზე გადაჭიმული. ამ მხარეში გამოირჩევა სანტა-სოფია (*S. Sophia*)¹. სხვები (=სხვა ავტორები), იმ ადგილას ათავსებენ არა აკოგასიას, არამედ პროვინცია აბასიას (*Abasciam*), აბასას (*Abassa*).

ფართო გაგებით საქართველოს მემდევი ნაწილი, რომელიც დღეს სამეცრელოდ იწოდება, ძევლთაგან კოლხეთიად (*Colchis*) იყო სახელდებული, მდებარეობს იბერიას, დიდ არმენიას, პონტოსა (=შავ ზღვას) და აზიურ სარმატიას (*Sarmatiam Asiaticam*) შორის. მას სახელვანთქმული ხომალდით – არგოთი მოადგა იასონი (*Jason*) არვონავტებთან – საბერძნეთის ახალვაზრდობის საუკეთესო ნაწილთან (=თაიგულთან) ერთად და მედეას დახმარებით ოქროს საწმისი გაიტაცა, დააბრუნა საბერძნეთში. კოლხეთის ხალხები იყვნენ მანრალები (*Manrali*), ზალები (*Zalæ*), ზანები (*Zani*), ხოლო ქალაქთაგან გამოირჩოდა ფაზისი (*Phasis*), ოდესლაც უკიდურესი საზღვაონნო პუნქტი, და დიოსკურია (*Dioscurias*), შემდგომ სებასტოპოლად წოდებული, რომელთა შესახებაც სამეცრელოსთან დაკავშირებით მოკლუა უკვე ვისაუბრეთ.

აზიის რეგიონიდან, რომელიც პონტოს ევქსინუსა და შავ ზღვას შორის მდებარეობს², რჩება ჩერქეზეთი (*Circassia*) და ასევე კომანია (*Comania*), რომლებსაც სამეცრელოსა და ავრეთვე საქართველოსგან ჰყოფს კავკასიონი (*Caucasus*), აზიაში ყველაზე ცნობილი, ყველაზე მაღალი, მარადი თოვლით დაფარული მთა, რომელიც მდებარეობს დასავლეთით პონტოს ევქსინუსა და აღმოსავლეთით კასპიის ზღვას შორის, რომლის ნაწილიც დასავლეთით არის

¹ სანტა-სოფია, რომლის სახელწოდებაც, სავარაუდოდ, წმიდა სოფიოს ტაძრიდან მომდინარეობს, იყო ქალაქი აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოფ. ბზიფთან. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, ეს იყო განუელთა ფაქტორია სოფელ ალახაძის მიდამოებში. იხ., ალექსანდრე დიაჩკოვ-ტარასოვი. გავრა და მისი შემოგარენი. თბ., 2003.

² აქ აღბათ შეცდომაა, უნდა იყოს "შავ ზღვას და კასპიის ზღვას შორის."

კორაქსი (*Corax*). დღეს მას სხვები და სხვები (=სხვადასხვა ავტორი) სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ: *Cocas, Cochias, Albsor, Adazar, Salatto, Elbours.* სირკასიას (ჩერქეზთი – გ. ლ.) (*Circassiam, Cirkassien*) ტავერნის ათავსებს სამეცნიელოს ჩრდილოეთით, და კომანიას დასავლეთით, რომელისვანაც მოიანეთით გამოიყოფა. სხვების (=სხვა ავტორების) მახდვით ჩერქეზთი ძღებარეობს საქართველოს, კასპიის ზღვას, მდინარე კოლგას, ანუ მოსკოვიას (*Moscoviam*) და ტანაისს (*Tanaim*) შორის. ტავერნის ცნობით, რევიონი ძღებარია მოებით, წყაროებით, ხეობებით, ტყეებით, ყვავილებით, ველებით, მსხვილება საქონლის ჯოვებითა და შინაური ცხოველებით, რომელთა შორის ქებას იმსახურებენ ცხენები, თხები და ცხერები. არც-ერთი ქალაქი ან სიმაგრე აქ არის, არის წრიული ფორმის სოფლები (პაგები), რომელთა შუაშიც არის უზარმაზარი ძოუდანი (=სივრცე). ჩერქეზები (*Circassi*) *Cherken* ანუ *Cirkassiers*, ძარცვა-გლუვით ცხოვრობენ და არა მხოლოდ მეზობლების მიწებს, არამედ საკუთარ თანამემამულებსაც კი აჩანაგებენ. ჩვევად აქვთ რიგრიგობით თავს დაუსხან ერთმანეთს. კაცებიცა და ქალებიც ერთნაირად ისხამენ თარაღს; ისინი (=კაცები) წვერს არ უშვებენ მანამ, სანამ 60 წლის ასაკს არ მიაღწევენ. არა აქვთ ვაზი, არც სასმელს – ყავას და არც თამბაქოს იყენებენ, სასმელად ხმარობენ იმას, რასაც ქერისგან ამზადებენ და რომელიც სავსეა სპირტით. რელიგია, რომელსაც აღმსარებლობენ, განსხვავებულია ქრისტიანობისგანაც და მაჰმადიანობისგანაც. ჩერქეზებს შორის უფრო წარჩინებული დანარჩენებზე დესპოტურ ძალაუფლებას ახორციელებენ.

კომანიას (*Comaniam, Komaniem*) ყველა ერთნაირად არ საზღვრავს (=საზღვრებს ერთნაირად არ ასახულებს). სანსონი მას საზღვრავს დასავლეთიდან პონტოს ევქსინუსით, კიმერიული ბოსფორით (*Bosphorus Cimmerius*)¹ და პალიუს მეოტისით (*Palus Maeotis*)²; ჩრდილოეთიდან – ტანაისით (*Tanais*)³ და მოსკოვით (*Moscovia*)⁴, აღმოსავლეთიდან – კასპიის ზღვით; სამხრეთიდან –

¹ ოგულისხმება ქერჩის სრუტე.

² პალიუს მეოტის, ანუ მეოტის ტბა – ასე უწოდებდნენ ძველი ბერძნები და რომაელები აზოვის ზღვას. თავდაპირველად, ასევე უწოდებნენ მას ქართველებიც, თუმცა შემდგომ მას ყირიმელი თათრების მიერ გავრცელებული სახელწოდება – „აზაგი“ ჩაენაცვლა.

³ ძველი ბერძნები და რომაელები ტანაისს უწოდებდნენ მდინარე ლონს და ქალაქს, რომელიც აზოვის ზღვაზე, მდ. ღონის შესართვთან მდებარეობდა.

⁴ მოსკოვია (*Moscovia*), ანუ მოსკოვის დიდი სამთავრო.

კავკასიის მთით, ანუ საქართველოთი. მაგრამ, ფართო გაგებით, ჩერქეზეთისგან ივი გამოყოფილი არ არის. არიან ისეთებიც (=სხვა ავტორები), რომლებთანაც მცირე თათრეთიც (*Tartaria minor*) კომანის ნაწილია. ტავერნიუ კომანის საზღვრავს დასავლეთიდან ჩერქეზეთით, ჩრდილოეთიდან – მოსკოვით, აღმოსავლეთიდან – კასპიის ზღვით, ხოლო სამხრეთიდან – ვიწრო გაგებით საქართველოთი. მისი უფრო აღმოსავლეთი ნაწილი ნოკიერი და მორწყული მიწების ძქონე კვლია. კომანიელების უდიდესი ნაწილი, რომლებსაც კუმუხებს (*Komouchs*) უწოდებენ, ცხოვრობს მთების ძირას, საიდანაც წყალუხვი წყაროები იღებენ სათავეს. მათ იძღენად ეშინიათ იმათი თავდასხმისა, რომლებიც თავად გააჩანავეს, რომ ნადავლითა და საქონლით მოგბში იხიზნებიან. იმოსებიან ისევე, როგორც მცირე თათრები. ბაბეულითა და აბრეშუმის ნაწარმით მათ სპარსეთი ამარავებს. ცხოვრობენ სპარსთა მეფის ძვარველობაში – ამ მხარეებს (ან, ამ მხარეებიდან მოყოლებული – გ. ლ.) ის უწყვს ზედამხედველობას. ზნუ-ჩვეულებებით ისინი ძალიან ჰგვანან ჩერქეზებს. კომანის ნაწილი უკავია დაღესტანს (*Daghestania, Daghestan, Daguestan*). დაღესტანი ძღებარეობს საკუთრივ საქართველოსთან, სპარსეთის პროვინცია შირვანთან და კასპიის ზღვასთან, რომელიც ამასთანავე თათრებით (*Tartaris*) არის დასახლებული. ივი იმართება საკუთარი მთავრების მიერ. მისი კველაზე ცნობილი ადგილია ტარკუ (*Tarku*), ხელგბულ ზღვასთან, რომელსაც ჩრდილოეთის მხარეს კომანიაში ტერკი (*Terki*)¹ ესაზღვრება.

სადაც დღეს დაღესტანია წარმოდგენილი და განვითარებული, ოდესლაც იყო აღმანეთი (*Albania*), რომელიც ძღებარეობდა კასპიის ზღვას, დიდ არმენიას, იბერიასა და ასევე აზიურ სარმატიას შორის. მისი ქალაქებიდან კველაზე ცნობილი იყო ორი ზღვისპირა ქალაქი *Getara* და *Albana*.

ტერიტორია, სადაც ტავერნიუ ჩერქეზეთს და კომანის განათავსებს, იყო აზიური სარმატიის (*Sarmatiae Asiaticae*) ნაწილი, რომელშიც კლუვერიუსის (*Cluverius*)² მიხედვით ჩრდილოეთის მხრიდან შედის ძინარები – კოლგა და ტანაისი; სხვა [ძღინარები] მას ჰქვეთებ მოსკოვური თათრეთის გავლით, ხოლო

¹ ტერკის ციხე-ქალაქი მდ. თერგის ნაპირას დაარსეს რუსებმა XVI საუკუნის ბოლოს, მდინარეების თერგის და სუნჯის შესართავთან.


² აღმატ იგულისხმება გერმანელი გეოგრაფი ფილიპ კლიუვერი (Philipp Clüver) (1580 – 1622).

აზიური სარმატია კლუვერიუსის ძიხედვით აზიური სკითთის (*Scythiae Asiaticæ*) ნაწილია, რომლის შესახებაც ნათქვამია თათრეთში (*Tartaria*) (=თათრეთის შესახებ თხრობაში). მრავალრიცხოვან სარმატის ხალხთა შორის უფრო ბევრნი (ან, უფრო ცნობილი – გ. ლ.) იყვნენ თურქები (*Turcæ*), თურქეთის იმპერიის დამარცხებულნი, რომლებიც აღილობრივებთან (*auctoribus*) ერთად განსახლებულნი არიან აზოვის ზღვას, კავკასიის მთიანეთსა და კასპიის ზღვას შორის. არიან ასევე ამაზონები (*Amazones*) – ქალთა მოღმა, უაღრესად მეომარი და მეტად სახელგანთქმული, რომელიც ტანაისის მახლობლად ბინადრობს. ეს მოღმა ბავშვობაში მარჯვენა ძუძუს იწვავდა, რათა შეძღვომ, როცა მტრებთან შესახვდორად იარაღის აღება მოუწდებოდათ, უფრო მხნენი ყოფილიყვნენ. ისინი ტანაისიდან მტკიცე სავარძლებით (ალბათ, მტკიცე შეკრული ტივებით – გ. ლ.) გადაყიდნენ კაბადოკიაში მდინარე თერმოდონისკენ (*Thermodoonem*), რომელიც ამაზონის მთიდან (*Monte Amazonio*) მოედინება¹. იძრძოდნენ ტროას მხარეს ბერძნების წინააღმდეგ.

მოსდევს წარმოდგენილი რეგიონის ტაბულა:

აზიის რეგიონი, გავსა და კასპიის ზღვებს შორის, ძოიცავს	სამეცრელო, ძოიცავს	სამეცო კახეთი, სამეცო ქართლი,	ძვამი ტფილისი, საქართველოს დედაქალაქი
		სამეცო იმერეთი, გურია,	ქუთაისი ბათუმი (<i>Varthi. Azach.</i> <i>Bassachiuch</i>)
ჩერქეზეთი, არ გააჩნია ქლაქები, მხოლოდ სიუღლები კომანია	ჩერქეზეთი, არ გააჩნია ქლაქები, მხოლოდ სიუღლები კომანია	სამეცო (<i>სამოავრო – გ. ლ.</i>) სამეცრელო,	ფაზისი, სებასტიოპოლის, სანქტ-პეტერბურგი
		ტარგუ ტერკი	

¹ აქ ავტორი იმეორებს ძველი ბერძნი დრამატურგის – ესქილეს ვერსიას ამორმალების, ანუ ამაზონელების ტანაისიდან თერმოდონისკენ (ახლ. მდ. თერმეჩაი) მიგრაციის შესახებ.



სურ. 2ა. ნიკოლა სანსონის რუკა, 1652.
Fig. 2a. The map by Nicolas Sanson, 1652.

რუკა “ტურკომანია, საქართველო, კომანია” დაბეჭდილია ქაღალდზე ზომით $30\text{სმ} \times 21\text{სმ}$. ნაბეჭდი არე მოიცავს $23,5\text{სმ} \times 18,5\text{სმ}$ -ს. რუკაზე დატანილია კარტოგრაფიული ბადე და გრადუსებული ჩარჩო. მარცხნა ქვედა კუთხე უჭირავს კარტუშს (დეკორატიულ ჩარჩოს), რომელშიც მოთავსებულია რუკის სათაური ფრანგულ ენაზე – Turcomanie¹, Georgie, Commanie, Par N. Sanson d'Abbeville, Geo:ord^{re} du' Roy.

ეს რუკა საკმაოდ დეტალურია, თუმცა გვხვდება მრავალი ტოპოგრაფიულ-გეოგრაფიული და ტოპონიმური უზუსტობა თუ ფაქტობრივი შეცდომა, რაც ძირითადად დამახასიათებელია ამ ეპოქის რუკების უმეტესობისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია საკმაოდ დიდი ტბის არსებობა თბილისის ჩრდილოეთით². ტბას აქვს წარწერა: Lac d'Exechie, აღნიშნულია ამავე სახელწოდების დასახლებული პუნქტიც. სავარაუდოდ ეს არის სევანის ტბის (გოგჩა) მცდარი ლოკალიზაცია³. ამ შეცდომას თან სდევს მასთან დაკავშირებული კიდევ უფრო უხეში შეცდომა: თბილისთან ახლოს ერთმანეთს კვეთს მდ. მტკვარი (Chiur) და სამხრეთიდან გამომავალი მეორე, უსახელო მდინარე, რომელიც შესაძლოა დღვევანდელი მდ. რაზდანი იყოს. აგრეთვე აღსანიშნავია კავკასიონის მთაგრეხილის მიმართულება, რომლის ძირითადი მასივი არა აღმოსავლეთ-დასავლეთის, არამედ სამხრეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ არის გადაჭიმული, რაც შუა საუკუნეების რუკებისთვისაა დამახასიათებელი. აგრეთვე შეცდომითაა დატანილი მდინარე რიონის (მისი სახელწოდება დატანილი არაა) მიმართულება – ის სამხრეთიდან, მცირე კავკასიონიდან იღებს სათავეს (თუმცა ამ რუკაზე მისი სათავე დაშტრიხულია, რაც შესწორების მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ)⁴.

¹ ტურკომანია აღნიშნავს ოსმალეთის იმპერიის იმ ნაწილს, რომელიც ანტიკური ზანის წყაროების მიხედვით ცნობილი იყო, როგორც ”დიდი არმენია”.

² ეს შეცდომა გვხვდება უფრო აღრეულ რუკებზეც, მაგალითად, ვენეციელი კარტოგრაფიის, ჯოვანი ანტონიო მაგინის (Giovanni Antonio Magini) 1596 წლის რუკაზე.

³ სევანის ტბა, ანუ გოგჩა, შედიოდა საქართველოს სამეფოს, შემდგომ კი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. ბუნებრივია, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო ევროპელი კარტოგრაფებისათვის, მაგრამ მისი ლოკალიზაციის განსაზღვრაში შეცდომა იქნა დაშვებული (უცნობია, თავდაპირველად რომელი კარტოგრაფის მიერ), რაც შემდეგ სხვა კარტოგრაფებმაც გაიმეორეს. შესაძლებელია, შეცდომის ერთ-ერთი მიზეზი მარკო პოლოს ცნობებიც იყოს.

⁴ ანალოგიური შეცდომა აღინიშნება ამ ეპოქის სხვა რუკებზეც, მაგალითად, რობერტ მორდენის რუკაზე (იხ. წყარო 4). ამ შეცდომის მიზეზი აღბათ სტრამონის ცნობებია,

რეგიონების საზღვრები გამოსახულია წერტილოვანი პუნქტირით. შავსა (Mer Noire, Mer Maieure, Pont Euxin)¹ და კასპიის (Mer Caspienne)² ზღვებს შორის სივრცეს სრულად ფარავს წარწერა “საქართველო” (GEORGIE), რომელსაც მართობულად კვეთს წარწერა “გურჯისტანი” (Gurgistan). მისი ჩრდილოეთ საზღვარი მოიცავს ვრცელ ტერიტორიას ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც დატანილია მდინარეები თერგი (Terka) და სუნძა (Zunza)³.

სურ. 2ბ.
ნაკოლა
სანსონის რუპა
(ფრაგმენტი),
1652.

Fig. 2b. The map by Nicolas Sanson (detail), 1652.



სადაც ის არმენიის პოლიტიკისას ასახელებს მდ. ფაზისის სათავეს, რაც სინამდვილეში მდ. ჭორობის სათავე უნდა იყოს. იხ., თინაონის ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, გვ. 190.

აქ დატინილია შავი ზღვის სამივე ყველაზე გავრცელებული სახელწოდება: შავი ზღვა (Mer Noire), დიდი ზღვა (Mer Maieure) და პონტოს ევქსინუს (სტუმართმოყვარე ზღვა) (Pont Euxin).

² კასპიის ზღვამ სახელწოდება მიიღო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ძვ. ტომბების – კასპიების სახელის მიხედვით. სხვადასხვა დროს კასპიის ზღვას ეწოდებოდა გურგანის, დარუბანდის, ხაზარეთის, ბაქოს, გილანის, ტაბარისტანის და სხვ. ზღვა. ამ რეგიონზე ის რამდენიმე სახელწოდებით არის წარმოდგენილი: Mer de Bacu, ou de Sala encor de Tabarestan, de Gilan & c. autres' Mer Caspienne & c.

³ მდ. სუნუა მდებარეობს დღვენანდელი ჩრდილოეთ ოსეთის, ინგუშეთის და ჩეჩენის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

წარწერა “ქართველები” (Georgiens) დატანილია ტფილისის (Teflis) მიმდებარედ (გამოყოფილია საზღვრით, რაც ალბათ პროვინცია ქვემო ქართლს უნდა აღნიშნავდეს, თუმცა მისი ტერიტორია აღწევს კასპიის ზღვამდე და მოიცავს ქალაქ დარუბანდს (Derbent)). დასახლებული პუნქტების აღსანიშნავად ავტორი იყენებს წერტილოვან პუნსონებს (გრადაციის გარეშე) და ციხესიმაგრის სქემატურ გამოსახულებას – უფრო მსხვილი და მნიშვნელოვანი ადგილების აღსანიშნავად. სამეგრელოსა (Mingrelie) და აფხაზეთს (Avogazie) შორის საზღვარი ბიჭვინთასა (Pezonda) და სებასტოპოლის (Savtopoli) შორის არის გავლებული; იგი ემთხვევა მდინარეს, რომელიც, მდებარეობის მიხედვით, დღევანდელი გუმისთა უნდა იყოს (სახელწოდება დატანილი არ არის). აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვარი მდებარეობს დასახლებულ პუნქტ ხოსთასთან (Costa). დატანილია გაგრა (Cacari), ბიჭვინთა (Pezonda), სანტა-სოფია (S^a Sofia). საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აღინიშნული დასახლებული პუნქტებიდან იდენტიფირდება: ტფილისი (Teflis), სებასტოპოლი (Savastopoli), ფაზისი (Fazze), ბათუმი (Lonati), Chirino (ზინო?), ყარაჯალა (Carachala), ბაშიაჩუკი (Bassachiuch) (რომელიც მდებარეობის მიხედვით იმერეთის მთავარი ქალაქი – ქუთაისი უნდა იყოს).


3. რუკა “საქართველო” (Georgie) პიერ დიუ ვალის (Pierre Du Val) მიერ შედგენილი ატლასიდან “შსოფლიო, ანუ სამყაროს გეოგრაფია” (Le Monde ou la Geographie Universelle), გამოცემული 1670 წელს. მოგვიანებით მოხდა რუკების რედაქტორება და განმეორებით გამოიცა 1682 წელს. აქ წარმოდგენილი რუკა ამოღებულია ატლასის 1682 წლის გამოცემიდან (იხ. სურ. 3).

პიერ დიუ ვალი – ფრანგი კარტოგრაფი, დაიბადა 1619 წელს აბევილში (Abbeville). ის იყო ცნობილი კარტოგრაფის – ნიკოლა სანსონის სიძე და მისი მოწაფე. ძირითადად მოღვაწეობდა პარიზში, არის ძრავალი რუკის და ატლასის ავტორი. გარდა რუკებისა, მან სახელი გაითქვა გეოგრაფიული შინაარსის ბანქოს

ქაღალდების გამოცემით (*Les Tables de Géographie*)¹. გარდაიცვალა 1683 წელს.
პიერ დიუ კალის საქმანობა განავრდეს მისმა მეუღლებ და ორმა ქაღალდი.

რუკა დაბეჭდილია ქაღალდზე ზომით 16სმ×15,5სმ. ნაბეჭდი არე მოიცავს 12,5სმ×10სმ-ს. მარცხნა ქვედა კუთხე უჭირავს დეკორატიულ ოთხკუთხედ ჩარჩოს, რომელშიც მოთავსებულია რუკის სათაური – “საქართველო” (Géorgie). ჩვენთვის ცნობილი ამ გეოგრაფიული ეს ერთადერთი რუკაა, რომელიც სათაურში მხოლოდ საქართველოს მოიხსენიებს².

სურ. 3. პიერ
დიუ კალის
რუკა, 1682.
Fig. 3. The map
by Pierre Du
Val, 1682.



¹ ეს გეოგრაფიული ბანქოს ქაღალდები მოიცავდა საქართველოსაც. იხ., ბადრი გოგია. აბაზია – историческая провинция Грузии. Париж – Тбилиси, 2005. с. 41.

² აგრეთვე, დიუ კალის რუკის რედაქტორებული ვარიანტები, გამოცემული სხვა გარტოგრაფების მიერ.

მერიდიანების და პარალელების სისტემა მხოლოდ რუკის ჩარჩოზეა დატანილი (ეწ. გრადუსული, ანუ კარტოგრაფიული ჩარჩო). რეგიონების საზღვრები გამოსახულია წერტილოვანი პუნქტირით. შავ (Mer Noire) და კასპიის (Mer de K[=G]ilan) ზღვებს შორის სამი რეგიონია საზღვრებით გამოყოფილი: სამეგრელო (Mingrelie), რომელიც მოიცავს გურიას და ლაზეთს (Guriel, Lazi al Curu), იმერეთი (Basciuk) და ზურია (Zuirie). ცენტრში არის წარწერა “გურჯისტანი” (Gurgistan). ტფილისის (Tiflis) სამხრეთით მდებარეობს კახეთი (Kachet) და დაღესტანი (Dagestan), თუმცა მათი საზღვრები გამოყოფილი არაა. პროპორციები ძლიერაა დარღვეული, ამიტომ კახეთს და დაღესტანს ძალზე მცირე ფართობი უკავია, მათი ლოკალიზაციაც მცდარია. ოსმალეთის (თურქეთის) იმპერიას (Turquie) და ქართლის სამეფოს შორის (Gurgistan) საზღვარი აქ ტფილისის ჩრდილოეთით არის გავლებული და ტფილის, კახეთს და დაღესტანს ოსმალეთის საზღვრებში აქცევს (თუმცა ტექსტში ეს ტერიტორიები სა-ქართველოს შემადგენლობაშია მოხსენიებული). ამ მეტად უხეში შეცდომის მიზეზი, ჩვენი აზრით, შემდეგში მდგომარეობს: ამ რუკაზე, ისევე როგორც ნიკოლა სანსონის რუკაზე¹, თბილისის ჩრდილოეთით დატანილია ტბა, რომელიც სევანის ტბა (გოგჩა) უნდა იყოს. პიერ დიუ ვალს აღნიშნული რუკის შედგენის დროს ალბათ გააჩნდა ახალი ინფორმაცია, რომ ქართლსა და ოსმალეთს შორის საზღვარი სევანის ტბის სამხრეთით გადიოდა. ამ ინფორმაციის შესაბამისად მან გაავლო საზღვარი სევანის ტბის სამხრეთით, მაგრამ მისი მცდარი ლოკალიზაცია უცვლელი დატოვა, რადგან ის სანსონის რუკიდან იყო გადმოღებული და მის სისწორეში ეჭვი არ შეიტანა, ან არ გააჩნდა სხვა, უფრო სარწმუნო წყარო მისი მდებარეობის დასადგენად. აღსანიშნავია ისიც, რომ სანსონის რუკაზე თბილისის მიმდებარედ დატანილია საზღვრის ხაზით გამოყოფილი პროვინცია, რომელსაც ქვემო ქართლად მივიჩნევთ, ხოლო სანსონს აღნიშნული აქვს როგორც “ქართველები” (Georgiens). შესაძლოა, პიერ დიუ ვალი შეცდომაში სწორედ ამ ფაქტმა შეიფანა. კახეთის და დაღესტნის მცდარი ლოკალიზაცია კი ნამდვილად დიუ ვალს ეკუთვნის და ის სანსონის რუკიდან არ მომდინარეობს.

სხვა ტოპონიმები, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელია, შემდეგია: სებასტოპოლი (Sauastopoli), პორტი (Port), რომელიც მდებარეობის მიხედვით

¹ როგორც ცნობილია, პიერ დიუ ვალის ეს რუკა (ისევე როგორც მისი სხვა რუკები) ეფუძნება ნიკოლა სანსონის რუკებს.

შესაძლოა იყოს ისგაური, ფაზისი (Fasso), ბათუმი (Lonati), Chirina (ზინო?), ქუთაისი (Cotachis), სკანდა (Scander), გორი (Cori), ძეგამი (Zagran), გრემი (Grim). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დატანილია “სვანები” (Suanes).

მდინარეთაგან დატანილია ფაზისი (რიონი) (Faze) და მტკვარი (Kur). ორივე მათგანის მოხაზულობა მეტად არაზუსტია.

პიერ დიუ ვალის ეს რუკა მცირედი რედაქტირებით (ისევე, როგორც მისი სხვა რუკები) გამოიყენა გერმანელმა კარტოგრაფმა იოჰან ულრიხ მიულერმა (Johann Ulrich Müller) ატლასში, რომელიც გამოიცა 1692 წელს. საქართველოს რუკას მიულერმა თან დაურთო საქართველოს “ქვეყნების” სია, რომელიც ასევე გადმოდებული იყო დიუ ვალის ატლასიდან¹:

საქართველო (Georgien)² თავის თავში მოიცავს³:

1. სამეგრელოს (Mingrelien)³ ქუთაისით (Coatis), ფაზისით (Fazo) და სებასტოპოლით (Savatopoli).
2. საკუთრივ საქართველოს:
 1. კახეთის (Z[=K]acheti) ძეგამით (Zagan).
 2. ქართლის ტფილისით (Teflis) და
 3. საბარათიანოს (Baratrala)⁴ გორით (Cori)⁴.

¹ პიერ დიუ ვალის მიერ 1654 წელს პარიზში გამოცემულ ატლასში არის საქართველოს აღწერა, რომელიც წარმოდგენილია წიგნში: Бадри Гогия. Абхазия – историческая провинция Грузии. Париж – Тбилиси, 2005, с. 42.

² გერმანულენვან წყაროებში საქართველოს ეწოდება “გეორგიენ”.

³ აქ სახელწოდება “სამეგრელო” იხმარება ფართო მნიშვნელობით: ის აღნიშნავს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას, რაც ამ ეპოქაში ნომინალურად იყო იმერეთის სამეფო, ანტიკურ ეპოქაში კი ევრისის სამეფო (კოლხეთი). “საკუთრივ საქართველო” (Georgia propria) გვლისხმობს აღმოსავლეთ საქართველოს – ქართლს და კახეთს, ანუ წარსულში ქართლის (იბერიის) სამეფოს. იგვენ ტერმინი გგწვდება ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის ატლასში: “სამეფო ქართლისა ანუ გიორგიასა კერძო”. საქართველოს საზოგადო სახელწოდებაში (Georgia, Giorgia) იგულისხმება საქართველოს ერთიანი სამეფოს კულტურულ-პოლიტიკური დომინიტი – გეოგრაფიული სივრცე დღევანდელი კავკასიის მნიშვნელობით. რიგ ავტორებთან საქართველო (Georgia) არის ქართული ფერდალური ერთეულების საერთო სახელწოდება (იხ., ბუფიეს, ძატას, სანსონის, და ფერის რუკები).

⁴ საბარათიანო – სათავადო ფერდალურ საქართველოში, ჩამოყალიბდა XV საუკუნეში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. სახელწოდება უკავშირდება ბარათაშვილების საგვარეულოს, კერძოდ კი დინასტიის დამარსებლის, ბარათა ქაჩიბაძის სახელს. XVI

3. ზუირიას (Zuirie) ტარკით (Tarki)².
4. შავ ჩერქეზთას (Circassien) ტემეროუკით (Temerok), ტამანით (Teman) და აზაკით (Azak)³.
5. აბასკიას (Abascia) და
6. დაღესტანს (Daghestan).

4. რობერტ მორდენის (Robert Morden) რუკა “საქართველო, კომანია” (Georgia, Comania), წიგნიდან – “შესწორებული გეოგრაფია” (Geography Rectified...)^{VII}, გამოცემული ლონდონში 1680 წელს (იხ. სურ. 4).

რობერტ მორდენი იყო ინგლისელი გამოცემელი, წიგნებით ძოვაპრუ, კარტოგრაფი და კლობუსების მკეთებელი. დაიბადა ლონდონში ~1650 წელს. მას მუშვინის მრავალი რუკა და ატლასი, მაგრამ განსაკუთრებით ცნობილია მისი რუკები ატლასითვის “ჯამდენის ბრიტანია” (Camden's Britannia). ატლასი “Geography Rectified” პირველად გამოიცა 1680 წელს და მოიცავდა 62 რუკას, შემდგომი, 1688, 1693 და 1700 წლების რედაქტირებული გამოცემები კი 78 რუკას. რობერტ მორდენი გარდაიცვალა 1703 წელს კორნბილში (Cornhill).

საუკუნეში ის ქართლის სასარდლოს წარმოადგენდა (იწოდებოდა, როგორც სომხით-საბარათიანო, მოიცავდა ალგეთს, ქციას, მაშავრს, სომხითს, ტაშირს, ლორეს, ყაიფულს და თრიალეთის ნაწილს). იხ., გივი ჯამბურა. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955. აგრეთვე, დავით გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბ., 1955.

¹ აღსანიშნავია, რომ დიუ ვალის რუკაზე საბარათიანო დატანილი საერთოდ არაა, თუმცა ის დატანილია რობერტ მორდენის რუკაზე (იხ., წყარო 4). ქ. გორი არასდროს ყოფილა საბარათიანოს შემადგენლობაში.

² ტარკი, ანუ ტარკუ, მდებარეობდა დღევანდელი დაღუსტენის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მასაჩუსეტის 4 ქმ-ის დაშორებით. ამ ეპოქაში ის იყო ფეოდალური სამთავროს – ტარკის სამამხლოს დედაქალაქი. ამ ქვეყანას (ზოგჯერ კი უფრო ვრცელ ტერიტორიას), ევროპული წყაროები მოიხსენიებდნენ როგორც “ზურია”, რაც საკარაულოდ, ერთ-ერთი დაღუსტენური ენის – კიურიის (გერმ. Kürinisch) სახელწოდებიდან მომდინარეობს. ევროპულ რუკებზე ეს ტერიტორია ხშირად საქართველოს ნაწილად არის მიწნეული, რაც უფრო ძველი ეპოქის გამოძახილი უნდა იყოს.

³ ტემრიუკი (თემრუკი) და ტამანი მდებარეობს დღევანდელი რუსეთის ფედერაციის კრასნიდარის მხარეში. აზაკი (ანუ აზოვი) მდებარეობდა აზოვის ზღვაზე, მდინარე დონის შესართავთან. ყირიმში თათრების დამკვიდრებამდე მას ეწოდებოდა ტანა (ტანაისი).

რუკა დაბეჭდილია ქაღალდზე ზომით $15,5\text{სმ} \times 20\text{სმ}$. ნაბეჭდი არე მოიცავს $13,4\text{სმ} \times 11,4\text{სმ}$ -ს. აღნიშნება მკრთალი შეფერადება. მარცხენა ქვედა კუთხე უჭირავს ოთხკუთხედ ჩარჩოს, რომელშიც მოთავსებულია რუკის სათაური – “საქართველო, კომანია და ა.შ. რობერტ მორდენის მიხედვით” (Georgia, Comania & c. by Robert Morden). რუკაზე დატანილია კარტოგრაფიული ბადე.

შავ (Pontus Euxinus)¹ და კასპიის (The Caspian sea) ზღვებს შორის დატანილია სახელწოდება “საქართველო” (Georgia). რეგიონების საზღვრები გამოყოფილია წერტილოვანი პუნქტირით, ხოლო დასახლებული პუნქტები აღნიშნულია წერტილოვანი პუნქტირით გრადაციის გარეშე. საქართველოს ტერიტორიაზე დატანილია შემდეგი რეგიონები (სამეფო-სამთავროები) და დასახლებული პუნქტები: სამეგრელო, ანუ ოდიში (Reg. Mingrelia al Odisci), რომელიც მოიცავს აფხაზეთს (Abassa al Auogasia). აღნიშნულია დასახლებული პუნქტები სანტა-სოფია (S. Sofia), ესქისუმუნი (Eschisumuni)², სებასტოპოლი (Savastopoli); იმერეთი, ანუ ბაშიაჩუკი (Reg. de Imerete al Bassashiouk), სადაც დატანილია დასახლებული პუნქტი ქუთაისი (Cotachis); გურია (Reg. de Guriel). აღნიშნულია დასახლებული პუნქტი ფაზისი (Fazo) და ბათუმი (Varth); საბარათიანო (Reg. de Baratrala); ქართლი (Reg. de Carduel). აღნიშნულია დასახლებული პუნქტები Kori (ალბათ გორი, თუმცა ლოკალიზაციის მიხედვით უფრო ახალგორს შეესაბამება) და ტფილისი (Teflis); კახეთი (Reg. de Cacheti). დატანილია დასახლებული პუნქტი ძეგამი (Zagan). აღმოსავლეთ საქართველოს ფარავს წარწერა “გურჯისტანი” (Gurgistan). აღსანიშნავია, რომ ქართული პროვინციების (სამეფო-სამთავროების) აღსანიშნავად ავტორი იყენებს სიტყვას “Reg” [Region (რეგიონი, პროვინცია) ან Regnum, სამეფო (ლათინურად)], მაშინ როდესაც ოსმალეთის იმპერიის პროვინციებს (აღმინისტრაციულ ერთეულებს) ის

¹ პონტოს ევქსინუს, ანუ სტუმართმოყვარე ზღვა არის შავი ზღვის ძველი ბერმნული სახელწოდება.

² ამ ტოპონიმის ზუსტი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება; “ესქი” (eski) თურქულად ნიშნავს ძველს, “სუმუნი” კი მიჩნეულია იგივე “სოხუმად”. იხ., ილია ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი). ტომი III. თბ., 1987, გვ. 170.

აღნიშნავს როგორც Beg¹ (მავალითად, Beg de Cars, Beg de Trebizon). სპარსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფ პროვინციებს (ერევანი, ყარაბაღი, შირვანი) ფარავს წარწერა – “სპარსეთის ნაწილი” (P[ar]t of Persia).



სურ. 4.
რობერტ
მორდენის
რუპა, 1680.
Fig. 4. The
map by
Robert
Morden,
1680.

ამ რუკაზე მრავალი უზუსტობაა, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩერქეზეთის (Circasses) მცდარი ლოკალიზაცია საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, კასპიის ზღვის მიმდებარედ (ანალოგიურად სანსონის

¹ ბეგი, ანუ ბეი, თურქული სიტყვაა და მმართველს, მთავარს ნიშნავს. ოსმალეთის იმპერიაში ბეგს უწოდებდნენ აღმინისტრაციული ერთეულების – საჯაფების მმართველებს. სახჯაფები გაერთიანებული იყო უფრო მსხვილ აღმინისტრაციულ ერთეულებში – საბეგლარბეგოებში (რომელებსაც ბეგლარბეგი, ანუ ბეგის ბეგები მართავდნენ). Beg აქ საბეგლარბეგოს უნდა აღნიშნავდეს.

და დიუ ვალის რუკებისა); ჩრდილო-დასავლეთით დატანილია ყუმუხები (ან ყალმუხები), რომლებსაც ავტორი კომანიასთან აიგივებს (Comania or the Colmukes). ამ რუკის გვიანდელ, რედაქტირებულ გამოცემაში ეს უზუსტობა გამოსწორებულია, ასევე უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი საქართველოს ტერიტორიაც; მაგალითად, იმერეთის ჩრდილოეთით დატანილია “სვანები” (Suanes), ჰიდროგრაფიული ქსელიც უფრო სრულყოფილია – შესწორებულია რიონის მიმართულება, დატანილია მდ. ცხენისწყალი (Skeniskari). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გამოსწორებულია რამდენიმე შეცდომა, რომელიც ძველ რუკაზე ფიქსირდება, ადგილი აქვს მრავალ ახალ უზუსტობას.

5. რუკა “საქართველო, სომხეთი” (Georgie, Armenie), რუკა “ალბანეთი, დადია არმენია, კოლხეთი და იბერია ძველ დროში” (Albanie, Grande Armenie, Colchide et Iberie selon les anciens), ილუსტრაცია “ქართველები” (Georgiens) და ცნობები საქართველოს შესახებ აღნ მანსონ მალეს (Allain Manesson Mallet) წიგნიდან – “სამყაროს აღწერა” (Description de L’Univers), გამოცემული პარიზში 1683 წელს დენის ტიერის (Denys Thierry) მიერ, ტომი მეორე^{VIII} (იხ. სურ. 5ა, 5ბ, 5გ).

აღნენ მაღალ დაიბადა საფრანგეთში 1630 წელს. ახალგაზრდობაში იყო ლუი XIV-ის არმიის რიგითი ჯარისკაცი, მოგვიანებით – ზემდევი, შეძლევ კი თავდაცვითი ნაგებობების ინსპექტორი. არმიის დატოვების შემდეგ დაკავებული იყო წიგნების გამოცემით სამხედრო ინჟინერიაზე. ბევრს მოვზაურობდა და “სამყაროს აღწერაში” ჩამოთვლილი ადგილების უმეტესობა საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი (უცნობია, მყოფებოდა თუ არა საქართველოში). “სამყაროს აღწერა” პირველად გამოიცა პარიზში, ფრანგულ ენაზე 1683 წელს. მოგვიანებით ის ითარგმნა და გამოიცა გერმანულად 1719 წელს. ვარდა რუკებისა, აღნიშნული წიგნი მოიცავს ქვეყნების აღწერას, ქალაქების ხედებს და ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი აღამიანების ილუსტრაციებს. აღნენ მაღალ გარდაიცვალა 1706 წელს.

ორივე რუკა, ილუსტრაცია და ტექსტი დაბეჭდილია ქაღალდზე ზომით $\sim 21\text{სმ} \times 13,6\text{სმ}$. რუკები და ილუსტრაცია შავ-თეთრია, თუმცა აღნიშნება მკრთალი შეფერადების კვალი, რომელიც, სავარაუდოდ, გვიანდელია.

ალენ მალე თავის წიგნში გვაწვდის საკმაოდ სრულყოფილ ინფორმაციას საქართველოს და ზოგადად კავკასიის შესახებ, რაც მოიცავს საქართველოს ისტორიულ (ანტიკურ) რუკას, თანამედროვე რუკას, ქართველების ილუსტრაციას ეროვნულ კოსტიუმებში და ცნობებს საქართველოს შესახებ.

წერილობითი ინფორმაცია საქართველოს შესახებ (ფრანგულ ენაზე), რომელიც განთავსებულია მე-2 ტომის 210-ე და 212-ე გვერდებზე¹, ასეთია^{IX}:

“უშუალოდ საქართველო (*Georgie*) არის მხოლოდ ის ქვეყანა, რომელსაც ძველად იბერიას (*Iberie*) უწოდებდნენ, ანლა კი გურჯისტანს (*Gurgistan*). მაგრამ გეოგრაფები მასში მოიაზრებენ ყველაფერს, რაც ძღებარეობს ძღინარე დონსა (*Don*) და არმენის, ანუ ტურკომანის (*Turcomanie*) ჩრდილოეთით². ამ მნიშვნელობით საქართველოს საზღვარებია: ჩრდილოეთით მოხკოვია (*Moscovie*), აღმოსავლეთით ტაბრისტანის (*Tabristan*) ზღვა, ძველად კასპიის, და სპარსეთი, სამხრეთით არმენია და დასავლეთით შავი ზღვა, ლიმენის ზღვა (*Mer de Limen*)³ და მცირე თათრები⁴. მისი მთავარი მთებია კავკასიონი და კორაქსი (*Corax*)⁵.

მთავარი ძღინარებია დონი, რომელიც ჩაედინება აზოვის ზღვაში, ტურა (*Tura*), თერგი (*Terca*), მტკვარი (*Kur*), რომელიც უერთდება არაქსს (*Aras*),

¹ 209-ე და 211-ე გვერდებზე განთავსებულია რუკები. ტექსტის ორიგინალური, ფრანგული ვარიანტი მოყვანილია დანართში.

² აქ ადგილი აქვს ეთნოპოლიტიკური სახელწოდების გეოგრაფიულ განზოგადებას დღვევანდელი კავკასიის ძირითადი ნაწილის მნიშვნელობით, რასაც ალბათ საუკუნოვანი ფესვები აქვს, რადგან თავისი კულტურული და პოლიტიკური ექსპანსიის ზენიტზე მყოფი საქართველოს სამეფო მართლაც მოიცავდა ამ ტერიტორიის უმეტეს ნაწილს.

³ ლიმენის (ლიმანის) ზღვა არის აზოვის ზღვის ერთ-ერთი ძველი სახელწოდება.

⁴ მცირე თათრები (*petits Tartares*) – ევროპულ წყაროებში ასე მოიხსენიება მცირე თათრეთის, ანუ ყირიმის სახანოს მოსახლეობა. ვახუშტი ბაგრატიონის ევროპის რუკაზე (1752 წ.) ყირიმის სახანო აღნიშნულია როგორც “მცირე თათარი”.

⁵ მდ. კორაქსი ან გორაქსი (*Corax*) ამ ეპოქის რუკებზე (ისევე როგორც პტილემესთან და სხვა ანტიკურ ავტორებთან) აღნიშნავს მდინარეს, რომელიც მიჩნეულია მდინარე კოდორად, თუმცა რიგ რუკებზე კორაქსი მდებარეობს სებასტიონის ჩრდილოეთით და, სავარაუდოდ, აღნიშნავს მდინარე ბზიფს (კაპოტის წყალი) ან ფსოუს. კორაქსის მთები, შესაბამისად, კავკასიონის მთაგრეხილის დასავლეთი მონაკვეთია.

სანამ კასპიის ზღვას შეურთდებოდეს, და ფაზისი, რომელიც შავ ზღვაში ჩაედინება. ქვეყნის მცხოვრები ამ უკანასკნელს რიონს (*Rione*) ეძახიან.

საქართველოს საზოგადო სახელში შემავალი მთავარი ქვეყნებია: კომანია (*Comanie*), გურჯისტანი (*Gurgistan*), სამეგრელო (*Mingrelie*), ავოგასია (=აფხაზთო) (*Anogasie*) და სირკასია (=ჩერქეზთო) (*Circassie*).

კომანია. ადრე იგი ალბანეთს კუთვნოდა და ძველი ამაზონელების ნაწილად იქნა მიჩნეული. ეს არის დაბლობი (=გაშლილი) ქვეყნა, რომელიც საუკეთესოა მიწათმოქმედებისთვის, რადგან იქ ხშირია წვიმები, მაგრამ მცხოვრებთა სიმცირის გამო თთქმის უდაბნოდა *[ქცეული]*. ფერუები (*Comouchs*) მის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობენ, კასპიის ზღვის გასწვრივ. ისინი საკარსეთის მეფის ძვარველობაში არიან. მათი ძირითადი საცხოვრებლები ყოველთვის მთის ძირშია, რათა საჭიროების შემთხვევაში მას შეაფარონ თავი საქონელთან ერთად, როცა მეზობლები ესხმან, რომლებიც, როგორც თავად მათი (=ფერუების) უძრავლებობა, ასევე ყაჩაღობით ირჩენენ თავს.

გურჯისტანი, ანუ უშუალოდ საქართველო (*la Georgie particuliere*), უწინ იძერია და ალბანეთის და დიდი არმენიის ნაწილი, არის მთავარიანი და დარიბი ქვეყნა. მისი ერთი ნაწილი საკარსეთის ქვემევრდომა, მეორე კი თურქეთის. იქ ორი მთავარი თავადია, რომლებიც მეფის წოდებას ატარებენ. ქალაქი ტფილისი (*Teflis*) მიჩნეულია ქვეყნის ღედაქალაქიდ, ის საკამაოდ დიდი და კარვად დასახლებული ქალაქია. იქ ბერძნულ რელიგიას მისდევენ, მაგრამ ხშირად საკარსეთის მეფეს სურს აიძლოს თავადები, რომლებზეც ვისაუბრეთ, რომ მაჰმადიანებად მოუქცნენ, რათა თავიანთი საგვარეულო ღირსება შეინარჩუნონ. მათი ფული საკარსეთის მეფის სახელზე იჭრება¹.

სამეგრელო (*Mingrelie*) ის ქვეყნაა, რომელიც ძველად ცნობილი გახდა კოლხეთის სახელით და არგონავტების მიერ ოქროს საწმინის ძოტაცებით

¹ ქართულ ნუმიზმატიკას უძველესი ისტორია აქვს, ის ბ. წ. VI საუკუნიდან იღებს სათავეს და კოლხეთის სამეფოს უკავშირდება. პირველი მონეტები ჯვრის გამოსახულებით და ქართული წარწერით VI საუკუნის ბოლოს მოიპრა ქართლის ერისმთავრის, სტეფანიზის მიერ. სამონეტო საქმემ განსაკუთრებულ მასშტაბებს XII-XIII საუკუნეებში მიაღწია. XVII საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის ზარაფხანაში მართლაც იჭრებოდა ვერცხლის მონეტები საკარსეთის შაპის სახელით და ანონიმური საქალაქო სპილენძის მონეტები, რომლებზეც XVIII საუკუნის დასაწყიდან ქართული წარწერების დატანა დაიწყეს ქართლის (ქართლ-კახეთის) მეფების მოხსენიებით. ქართული მონეტები (ე.წ. ქართულ-რუსული მონეტები) იჭრებოდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდგომაც, 1833 წლის ჩათვლით.

თასონის ძეთაურობით. სამეგრელო სამ ნაწილად იყოფა¹ – გურია (*Guriel*), იმერეთი ანუ ბაშაჩუკი (*Imerete ou Bassa-chiouk*) და სამეგრელო (*Mingrelie*). გურიელის მთავარი ქალაქია ვარტლუი (*Vartlui*)², ბაშაჩუკის – ქუთაისი (*Cotatis*), სამეგრელოსი – სებასტოპოლი (*Savatopoli*). ისინი, ვინც ამ ქვეყნებს მართავენ, მეფის ტატულს ატარებენ და ფაქტობრივად დამოუკიდებელნი არიან. ერთმანეთში ძუდამ ომი აქვთ და ამ განხეთქილებას თურქები უწყობენ ხელს, რომელებიც ამვარად მათ განადგურებას ცდილობენ. ხარისხირა (*Hellebore*), ხვართქლა (*Scamonee*) და სინამუხი (*Sene*)³ ამ მხარეში ჭარბად იზრდება და რკინის საბადოებიც არის, მაგრამ ისეთი დიდი გაჭირვებაა, რომ მამები იძულებულებლები არიან, თავიანთი შვილები თურქებს მიჰყიდონ⁴. მათი რელიგია არის ბერძული სქიზმატიკური⁵.

ავოგასია (*L'Avogasie*), ანუ აბჯასების, იმავე აბასების (*Abcasses ou Abassa*) ქვეყანა, სადაც აღრე ჰენრიხი⁶ ხალხი ცხოვრობდა. მათი მთავარი ქალაქია სანტა-სოფია, ანუ ესქისუმუნი⁷.

ჩერქეზეთი (*Circassie*) არის ძველი სარმატის ქვეყანა. მისი მთავარი ქალაქია ტემრიუხი (*Tenruck*), ანუ ტამანი (*Teman*), რომელიც თურქებს უპყრიათ. მხოლოდ არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც უფრო ღამაზი ქალები არიან; სწორედ ამიტომ თურქებს ყველა სხვა ტყვე ქალებს ჩერქეზები ურჩევნიათ. მამაკაცები იქ მამაცები არიან და ერთი ჩერქეზი ხუთ-ექვს თათარს მოერევა. აქ ცხოვრები ბერძული სქიზმატიკური რელიგიის მიმდევრები არიან,

¹ ცხადია, აქ აღნენ მაღლე “სამეგრელოს” იყენებს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით. აღნენ მაღლეს თანამედროვე დე ლა კრუა განმარტავს, რომ სამეგრელო იგივეა, რაც იმერეთი (იხ. წყარო 6).

² Vartlui (*Vati, Vathi*) არის ტოპონიმი ბათუმის დამახინჯებული ვარიანტი. ამ სახით გვხვდება ის ჯერ კიდევ XV საუკუნეში, ვენეციელი დიპლომატების – ბარბაროს და ქონტარინის ცნობებში.

³ ეს მცგნარეები სამკურნალო მიზნით გამოიყენებოდა.

⁴ იხ. კომენტარი “7” გვ. 64.

⁵ სქიზმატიკური – სქიზმას (ბერძ. განხეთქილება, გამოყოფა) მომხრე. დასავლეთის და აღმოსავლეთის ექლესიებში განხეთქილების შემდეგ კათოლიკები ასე უწიდებდენ ბერძულ (მართლმადიდებლურ) და სხვა არაკათოლიკურ ეკლესიებს.

⁶ ჰენრიხები – კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომი.

⁷ აქ ავტორი ესქისუმუნს (*Eschisumuni*) აიგივებს სანტა-სოფიასთან, თუმცა სხვა ავტორებთან ეს ორი სხვადასხვა დასახლებული პუნქტია. იხ. კომენტარი “2” გვ. 53. (წყარო 4).

თუმცა დანარჩენები, განათლების არქონის გამო, ყურანის უღმერთობის გავლენის
ქვეშ გძვევიან."



სურ. 5a. ალენ
მალეს რუკა,
1683.


Fig. 5a. The
map by Allain
Mallet, 1683.

ალენ მალეს ორივე რუკა (ანტიკური და თანამედროვე) მეტად ზოგადი და
სქემატურია. ორივეზე დატანილია იდენტური გრადუსული ჩარჩო. “თანამედროვე”
რუკა შესაბამისობაშია ზემოთ მოყვანილ წერილობით აღწერასთან, ამიტომ მასზე
დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს

ტერიტორიაზე აქ დატანილია წარწერა “უდაბნოები” (Deserts), რაც აღბათ კახეთში, გარეჯის ნახევარული მდინარეების უნდა აღნიშნავდეს (თუმცა ამ შემთხვევაში მისი ლოკალიზაცია არაზუსტია).

სურ. 5ბ. აღნე
მალეს რუკა,
1683.

Fig. 5b. The
map by Allain
Mallet, 1683.



რაც შეეხება “ანტიკურ” რუკას, ის, სავარაუდოდ, პტოლემეს მიხედვით არის შედგენილი. კოლხეთის (Colchide) ტერიტორიაზე აღნიშნულია Manrali¹, ზანები (Zani), ლაზები (Lazæ). დასახლებულ პუნქტთაგან დატანილია სებასტოპოლი (Sebastopolis), ფაზისი (Phasis), Mechlessus, Thiapolis, Zadris². იბერიის (Iberie) ტერიტორიაზე დატანილია ეკრეტიკა (Ecretica) (რაც სარგის კაკაბაძის აზრით იშიფრება როგორც ეგრი-დიხა (მეგრულად), ანუ ეგრისის მიწა)³, ქათარზა (Catarzene). აგრეთვე, არმაზციხე (Armactica) და Artanissa (სავარაუდოდ არტანუჯი). მათი ლოკალიზაცია მცდარია.

“თანამედროვე” და “ანტიკური” რუკების შედარებისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მათზე განსხვავებულადაა წარმოდგენილი ჰიდროგრაფიული ქსელი. “ანტიკურ” რუკაზე ის ანტიკური ტრადიციებით არის შედგენილი⁴, ხოლო “თანამედროვე” რუკაზე აღინიშნება ეპოქისათვის დამახა-სიათებელი შეცდომები, კერძოდ – ტბის დატანა თბილისის ჩრდილოეთით (იხ. ნიკოლა სანსონის და პიერ დიუ ვალის რუკები). როგორც ჩანს, ავტორმა არ შეაჯერა ანტიკური და თანამედროვე წყაროები, რაც ამ ანაქრონიზმის მიზეზი გახდა.

ქართველთა ილუსტრაციაზე, რომელსაც სათაურად აწერია Georgiens, გამოსახულნი არიან ქალი და მამაკაცი. მამაკაცი შეიარაღებულია შუბით, მშვილდისრით და ხმლით. აცვია გრძელი ზოლიანი ჩოხა, ჩექმები, ახურავს ბეჭვით გაწყობილი ქუდი. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ასეთივე ქუდები ახურავთ ქართველ მეომრებს და მეფის თანმხლებ პირებს XVI საუკუნის თურქულ მინიატიურებზე⁵. ილუსტრაციაზე გამოსახულ ქართველ ქალს

¹ სიმონ ჯანაშიას მიხედვით მანრალი არის იგივე მეგრელი, ანუ მარგალი.

² ეს ტოპონიმები პტოლემეს ”გეოგრაფიული სახელმძღვანელოდან” მომდინარეობს. ბოლო სამი დასახლებული პუნქტის ზუსტი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

³ იხ., ოური სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. წიგნი II. ბათუმი, 1959. გვ 21.

⁴ რაზეც ჩენ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ ქრისტოფორე ცელარიუსის რუკის განხილვისას.

⁵ ეს არის ორი მინიატიურა ასაფის (Asafi) წიგნიდან “სეიაპათ-ნამე” (ინგლ. Sheja’atname), რომელიც თარიღდება 1586 წლით. ინახება სტაბბოლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. პირველ მინიატიურაზე ასახულია ქართველთა შეტევა თურქულ ჯარზე სვიმონ მეფის მეთაურობით, ხოლო მეორეზე – კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის შეხვედრა ლალა მუსტაფა ფაშასთან. ორივე მინიატიურა მოყვანილია წიგნში: Russian Embassies to the Georgian kings (1589-1605), volume II. Edited by W.E.D. Allen.

თავსაბურავი არ ახურავს (რაც განასხვავებს მას სხვა, მეზობელი ზალხების ჩაცმულობისგან), ხელში უჭირავს დაწნული კალათა, რომელიც მეტად დამახასიათებელია ქართული ეთნოგრაფიული ყოფისათვის.

სურ. 5გ.
ილუსტრაცია
ალექ მალეს
წიგნიდან, 1683.

Fig. 5c. The illustration from the book by Allain Mallet, 1683.



წიგნში ასევე არის სხვა ხალხების, მათ შორის ქართველთა მეზობელი ხალხების (სომხების, თურქების, სპარსელების, თათრების) ილუსტრაციები, რომელთა კოსტიუმებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართველების ტანისა-მოსისგან.

6. ილუსტრაცია “ქართველები” (Georgiens) და საქართველოს აღწერა ა. ფე-როტე დე ლა კრუას (A. Pherotée De La Croix) წიგნიდან “სამყაროს გეოგრაფია” (La Geographie Universelle)^X, გამოცემული ლიონში 1705 წელს (მეორე გამოცემა)¹. (იხ. დანართი, სურ. 6).

ა. ფეროტე დე ლა კრუა (დაბადებულია დაახლ. 1640 წელს, გარდაიცვალა დაახლ. 1715 წელს). ფრანგი ლიტერატორი, ისტორიკოსი და გეოგრაფი. მისი გეოგრაფიულ-საისტორიო ცნობარი “სამყაროს გეოგრაფია” პარველად გამოიცა 1693 წელს ამსტერდამში. გერმანულად ითარგმნა და გამოიცა 1717 წელს.

საქართველოს აღწერა (ფრანგულ ენაზე), რომელიც განთავსებულია მე-5 ტომის (Tome cinquième) მე-2 თავის (Chapitre II) 64-74 გვერდებზე, ასეთია^{XI}:

საქართველო² (La Georgie, Georgia)

ამ თავში მოხსენიებულია საკუთრივ საქართველო, რომელსაც ადრე იძერია ერქვა, სამუგრელო, რომელსაც კოლხეთს ეძახიან, ზუირია (Zuirie), ანუ გურია (Guriel)³, აბასკია (Abascie), შავი სირკასია (=ჩერქეზთი) (Circassie noire), კავკასიონის მთების თავისუფალი ხალხები და დაღესტნებული თათრები.

¹ ლა კრუას ცნობები საქართველოს შესახებ კარგა ზანია ცნობილია ქართველი მკვლევრებისათვის, თუმცა ილუსტრაცია და ტექსტის სრული ვარიანტი გამოქვეყნებულია არ ყოფილა. იხ., Наталья Орловская. Грузия в литературах Западной Европы XVII-XVIII веков. Тб., 1965, с. 41.

² აქ სახელწოდება საქართველო იხმარება ფართო მნიშვნელობით, რაც გულისხმობს გეოგრაფიულ სივრცეს დღევანდელი კავკასიის მნიშვნელობით. იხ. კომენტარი “2” გვ. 56.

³ აქ ავტორი ზუირიას აიგივებს გურიასთან. ეს საკმაოდ საინტერესო ცნობა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ტოპონიმ “ზუირიის” ეტიმოლოგიის დასადგენად.

რომაელებმა ამ ქვეყნის დაპყრობა ვერ შეძლეს მთების (=რელიეფის) სირთულის გამო. მას დასაკლეთით შავი ზღვა და ზაბახა (Zabache)¹ არტყამს, ჩრდილოეთით პოლონეთი², აღმოსავლეთით ასტრახანის სამეფო და კასპიის ზღვა, სამხრეთით თურქეთი. მისი სიგრძე სამხრეთიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 210 ლიუ³, აბასკიისა და ჩერქეზეთის ჩათვლით; დასაკლეთიდან აღმოსავლეთით – 280 ლიუ, მოცავს კავკასიონის მთების თავისუფალ ხალხებს და დაღესტნელ თაორებს. ამ პროვინციების უმრავლესობა ცნობილია კავკასიის სახელით და განთქმულია პრომეთეს მითით. იქ პარი საკმაოდ ზომიერია ქვეყნის 40 და 50-გრადუსიან განედებს შორის ძღებარეობის გამო. იქაურ მიწაზე უხვადაა მარცვლეული, ხილი და საძოვრები; ღვინო კარგია, მსხალი და ვაშლი – საუკეთესო; დიდი რაოდენობით ჰყავთ ღორები, გააქვთ ცვილი, თაფლი, ფისი და აბრეშუმის ქსოვილი.

მოსახლეობას ფლიდების, მევახშების, ქურდების, ლოთების ოპუტაცია აქვთ და მიდრეკილნი არიან ფოველგვარი მანკიურებისადმი⁴. მღვდლები, ისე როგორც სხვა ძაბაკაცები, ძალზედ უმუცარნი არიან⁵. ამის საპირისპიროდ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქალების კარგ აღზრდას მონასტრებში და მათ განათლებას. ქალები ნაწილობრივ მათ [მღვდლების] ფუნქციასაც ასრულებენ, ამისი მაგალითი დანარჩენ მსოფლიოში არ მოიძებნება⁶. მამები და დედები ხშირად ყოდიან თავიანთ შვილებს⁷: სწორედ ამ ფუნქციათ უხდიან ხარჯს თურქებს

¹ ზაბახა აზოვის ზღვის ერთ-ერთი ქველი სახელწოდებაა.

² იგულისხმება პოლონეთ-ლიტვის სამეფო – XVI-XVII საუკუნეების ევროპის უდიდესი სახელმწიფო.

³ ლიუ (lieue) სიგრძის საზომი ერთული ქველ საფრანგეთში, მისი მნიშვნელობა იცვლებოდა ეპოქის მიხედვით – 3,25 კმ-დან 4,68 კმ-დამდე.

⁴ აქ ავტორი საუბრობს კავკასიის მოსახლეობაზე ზოგადად და არა რომელიმე ეთნიკურ ჯგუფზე. როგორც ჩანს, ის ახლებს მისთვის ცნობილი კონკრეტული ფაქტების გაზოგადებას.

⁵ აქ, ისევე, როგორც ამ ტექსტის სხვა ადგილებში, ნათლად ჩანს, რომ ავტორი ეყრდნობა კათოლიკე მისიონერების ცნობებს საქართველოს შესახებ. საქართველოში მორვაწე კათოლიკე მისიონერები ხშირად ქართული სამღვდელოების დისკრედიტაციის გზით ცდილობდნენ თავიანთი მოღვაწეების მნიშვნელობის ხაზგაშმას და რომის კათოლიკური ეკლესიის უპირატესობის დამტკიცებას.

⁶ ეს ცნობა ალბათ უა-ბატისტ ტავერნიეს ეკუთვნის. იხ., უა-ბატისტ ტავერნიე. დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა. თბ., 1974, გვ. 204, 245.

⁷ ტევეთა სყიდვა იყო უდიდესი სოციალურ-ეროვნული უბედურება, რასაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის დასაკლეთ საქართველოში (ისევე, როგორც ოსმალეთის გავლენის ქვეშ მყოფ სხვა ქვეყნებში), თუმცა ეს სიტყვები ამ მოგლენის მეტისმეტად გაზვიადებული

იმერეთის და გურიის მთავრები, როგორც სამეგრელოს თავადი იხდის მას ქსოვილებით. დიდი წანი არაა, რაც ერთმა ქართველმა დედა გაცვალა თურქელ ცხენში, რომელიც მისთვის უფრო სასურველი აღმოჩნდა, ვიდრე ის, ვინც იგი ამქვეყნად მთავრინა¹. იქ ქალები არაჩვეულებრივი სილამაზისანი არიან, მაგრამ მათი საქციელი მოწმობს, რომ ნაკლებად მორცხვნი და ერთგულნი არიან. უდავოა, რომ ყველაზე ღამაზი მხევლები, რომლებიც გვხვდებიან დიდი მბრძანებლის და საპრეტის მეფის პარამხანებში, ქართველები არიან.

საქართველოში ზოგიერთი ხალხი თავისუფალია, ზოგს მთავრები ჰყავთ, ზოგი თურქეთის ქვეშევრდომობას აღიარებს, ზოგიც საპრეტისას თავისი საჭიროებიდან ვამომდინარე. საპრეტის მეფე საქართველოს აღმოსავლეთისა და არმენიის მბრძანებელი გახდა; მას უფლება აქვს დანიშნოს მმართველი, რომელიც საქართველოს მეფის (*Roy de Georgia*) სახელს ატარებს. თურქეთს დღეს-დღეობით მხოლოდ ერთი ფაშა, ანუ ბევრარბევი ჰყავს ახალციხის (*Alkazike*) ციხესიმაგრეში და ერთი კომენდანტი ქუთაისის (*Cotatis*) ციხესიმაგრეში. მათ, ვინც თურქებს ემორჩილებიან, დიდი პრივილეგიები აქვთ, შეუძლიათ გაშლილი დროშებით და იარაღით ხელში შევიდნენ იერუსალიმში. ქალაქი დარუბანდი (*Derbent*), რომელიც თურქებისა და საპრეტების ხშირი დაგის საგანია, ძღვანების გასასვლელში, რომელსაც რკინის კარს უწოდებენ; ის კასპიის კარიბჭის ნარჩენებია, რომლებსაც ბარმანის (*Barmach*) მთაზე ვხდავთ.

I განყოფილება. შენიშვნები ზოგადად საქართველოს პროვინციების შესახებ

სამეგრელო, ანუ კოლხეთი, მავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობს ფაზისის (=რიონის) (*Fazzo*) შესართავთან. ეს არის ძველი კოლხეთი; მას ასევე იმერეთსა და ბაშიაჩუქს (*Imereti & Bosciaciuk*) უწოდებენ. აღმოსავლეთიდან მას კავკასიონის მთები აშორებს საკუთრივ გურჯისტანს. სამხრეთით არმენია და ჩრდილოეთით ჩერქეზეთი ესაზღვრება. ეს პროვინცია ცნობილი იყო მედეას და იასონის სიყვარულის ამბობით და არგონავტების მოვზაურობით ოქროს საწმისი მოსაპოვებლად. საგულისხმოა, რომ ეს ძვირფასი ოქროს საწმისი ნიშნავდა

გამოძახილია. ტყვეთა სყიდვა მნიშვნელოვნად შემცირდა XVIII საუკუნის შუახანებში, იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად.

¹ ცხადია, აქ ავტორი იმერებს არქანჯელო ლამბერტის მიერ აღწერილ ანომალურ შემთხვევას. ის., არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938, გვ. 162.

ოქროს საბადოების ან ბეწვეულით ვაჭრობის არსებობას, რასაც დიდი შემოსავალი მოაქვს. აპიანე¹ ამბობს, რომ ეს მხოლოდ მოოქრული ტყავებია, რომლებსაც გლუხები ძღინარები არსებული ოქროს ქვიშის შესაკავებლად იყენებენ. როგორც უნდა იყოს, ვიგებთ, რომ სამეცნიეროს პქონდა ოქროს საბადოები და კიდევ აქვს და ა.შ. ეს პროვინცია უფრო თავისუფალია, ვიდრე დაქვემდებარებული; იქ ნახავთ ბევრ ციხესიმაგრეს, მათ შორის ზუგდიდისა (Zugdidi) ყველაზე ღამაზად ითვლება; მთავარი ქალაქებია სებასტოპოლი (Savatopoli), ფაზისი (Fazzo), რუხი (Ruchs), ანაკლია (Anargh[=]lie). მოჩანს კავკასიონის და კორაქსის (Coxar) მთები, მდინარეები რიონი (Fazzo ou Phasis) და Ciano. იქ ხარობს სხვადასხვა სახის სამეცნიერნალო მცენარე, უხვადაა სინამაქი (Sene), ხვართქლა (Scamonee) და მავი შხამა (Ellebore noire), ბევრია თეთრი დათვე² და ხოხობი, რომელსაც ფაზისმა თავისი სახელი მისცა³. სებასტოპოლი (Savatopoli au Sebastopolis) თითქმის დანგრეულ იქნა წყლისაგან.

საკუთრივ საქართველო, ანუ Georgia propria, რომელსაც თურქები გურჯისტანს (Gurgistan), ანუ ქართველთა ქვეყანას (Pais des Georgiens) უწოდებენ წმიდა ვოორგის ვამო, რომელიც მისი მფარველია⁴, და რომელსაც ძველად იძერიას ეძახდნენ, მთებს შორის მდებარეობს და სამ ნაწილად იყოფა. 1. კახეთი (Zacheti ou Gagheti ou Gagnetia), კასპიის ზღვისკენ მდებარე ქალაქ ძეგამით (Zagan); 2. ქართლი (Carduel, Carduelia), რომლის შეაშიც არის ქალაქები ტფილისი (Teflis) და ვორი (Cori ou Goroden); 3. საბარათიანო (Baratralu) არმენიისკენ, ქალაქ ყარსით (Kars). ეს უკანასკნელი თურქების ხელშია⁵, დანარჩენები სპარსელებისაგან თავისუფლებას ინარჩუნებენ.

¹ აპიანე ალექსანდრიელი – ბერძნული წარმოშობის რომაელი ისტორიკოსი, მოღვაწეობდა დაახლ. 95 – 165 წლებში.

² საქართველოში, კერძოდ კი სამეცნიელოში, თეთრი დათვის არსებობის შესახებ ცნობას იძლევა არქანჯელო ლამბერტი. იხ., არქანჯელო ლამბერტი. სამეცნიელოს აღწერა. თბ., 1938, გვ. 186.

³ ხოხის ლათინური სახელწოდება Phasianus. ის მართლაც მდ. რიონის ანტიკური სახელწოდებიდან (ფაზისი) მომდინარეობს.

⁴ სახელწოდება “გეორგიის” ასეთი ეტიმოლოგია დამახასიათებელია ევროპული წყაროებისათვის; ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს სახელწოდება წმიდა ვიორგის დაუკავშირა, იყო XII-XIII საუკუნეების ცნობილი ფრანგი საეკლესიო მოღვაწე და მეცნიერი ჟაკ დე ვიტრი.

⁵ როგორც ჩანს, აქ ავტორი საბარათიანოს შეცდომით სამცხესთან აიგივებს.

ზურია (Zurie), ძველად აღმანეთი (Albanie), საკმაოდ ზომიერია (?), საკუთრივ საქართველოს აღმოსავლეთით [მდებარეობს]; იგი მრავალი მდინარით ირწყება, რომლებიც ამ პროვინციის აღმოსავლეთით ძღებარე კასპიის ზღვაში ჩაედინებიან. აյ არის ქალაქები Chipiche, Stranu ან Albaida, ტარჯუ (Tarki), ეს უკანასკნელი მოსკოვის მთავარს (Duc de Moscovie) კუთვნის.

შავი ჩერქეზეთი (Circassie noire) ძღებარეობს შავი ზღვის (pont Euxin) და ქავკასიონის მთის ჩრდილოეთით, რომელიც მას საკუთრივ საქართველოს აშორებს; ძღებარეობს აზოვის ზღვის (Palus Meotides) აღმოსავლეთით, დონის ანუ ტანაისის (Don ou Tanais) სამხრეთით, კასპიის ზღვისა (Mer Caspienne) და ვოლგის (Volga) შესართავის დასავლეთით. ამ ქვეყანას ჰყავს სხვადასხვა მთავრი, რომლებიც დღი მეფის (Grand-Csar), ანუ მოსკოვის მთავრის ქვეშვერდომები არიან. მან გაამაგრებინა ქალაქი ტეიკი (Teiki). ამ ტერიტორიის დანარჩენ ნაწილში ქალაქები არაა და ნაკლებადაა დასახლებული; ჩერქეზების უმრავლესობა ტყებში ცხოვრობს, რათა თათართა შემოსევებისგან თავი დაიცვან, რომლებიც მათ დამონებას ცდილობენ, რადგან ეს ხალხი ძალიან ფასობს; გამოირჩევა კარგი აღნაცობით, გამჭრიანობითა და მოხერხებულობით ყველაფერში, რის გაკეთებასაც ძოხითხოვენ. მათი ვაჭრობის ძირითადი სავანა მონები, თაფლი, ცვილი, ხარის, ირმისა და კეფხვის ტყავები. უწინ კარგი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ გაუნათლებლობის გამო ბევრი გამაპმადიანდა. თურქებს იქ აქვთ ქალაქი აზოვი, ანუ აზაკი (Azof ou Azac) ძღ. დონის (Don) შესართავთან აზოვთან (=აზოვის ზღვასთან); ეს დიდი სავაჭრო და ძალიან მნიშვნელოვანი ადგილია; მისი მეშვეობით მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ მცირე თათრების (=ყირიმის თათრების) (petits Tartares) აღიანისი და ამ ადგილებში მოსკოვის დიდი მთავრის გეგმები ჩაშალონ.

აბასკიას (Abascie, Abascia) ჩრდილოეთით და დასავლეთით ჩერქეზეთი, ანუ ძველი კომანია (Commanie) ესაზღვრება, სამხრეთით — შავი ზღვა, აღმოსავლეთით — სამეგრელო. აქ ცხოვრობს ხალხი, რომლებსაც ეძახიან აბასას, ან აბასზებს (Abassas ou Abcasses); მეზობლებს მათი ეშინათ, მათ საუკეთესო აღმოსავლური შევარდნები ჰყავთ, მათი ძირითადი საქმიანობაც ნადირობა და ქურდობა.

დაღუსტანი (*Dagestan, Daghestan*), დაღესტანია (*Daghestania*), წარსულში აღმანეთი (*Albania*), ძღებარების აღმოსავლეთით კასპიის ზღვასა და დასავლეთით კავკასიონის მთებს შორის; ჩრდილოეთიდან ასტრახანის სამეჯო (*Astracan*) ესაზღვრება და სამხრეთიდან საკარსეთის შირვანის (*Sirwan*) პროვინცია; ამ მიწაზე თაორები ცხოვრობენ: მათი გაჭრობის საგანია მონბის აყვანა პატარა, განუწყველელი ომების შედევად, რომლებსაც ისინი აწარმოებენ; ჰყავთ ცოტა საქონელი; მიუვალი მთები, რომლებსაც თავს აფარებენ, მათ საკარსელებისა და მოსკოველებისაგან იცავს; ჰყავთ ბევრი ბატონი, თუმცა მათგან ერთი ყველას მბრძანებელია, რომელსაც ირჩევენ: არის რამდენიმე დაბა, რომელთაგან მთავარი არის ტარკუ (*Tarciu*). ივი მთაზე, ციცაბო კლდეებს შორის, ზღვასთან ახლოს ძღებარებობს.

II განცოლება. საქართველოს შემადგენლობა

ის, რასაც აქ საქართველოდ მოვიაზრებთ, შეიძლება დაიყოს 6 მთავარ ნაწილად, ისე, როგორც ეს შემდევ ცხრილშია მოცემული.

საქართველო 6 მთავარ ნაწილად იყოფა:

1. სამუვრელო ანუ კოლხეთი	<div style="text-align: right; margin-right: 20px;"> { ქუთაისი, ღედაქალაქი ფაზისი სებასტოპოლი რუხის ციხე ანაკლია <i>Chicaris</i> (ჩხარი?) სკანდა <i>Skalingia</i> (წალენჯიხა?) <i>Varthiet</i> (ბათუმი?) <i>Cultiche</i> ახალციხე ოზურგეთი გონიო, პორტი </div>
2. საკუთრივ საქართველო ანუ იმერია	<div style="text-align: right; margin-right: 20px;"> { ტფილისი, ღედაქალაქი გორი </div>
3. ზუგირია ანუ აღმანეთი	<div style="text-align: right; margin-right: 20px;"> { <i>Chipiche</i> <i>Stranu</i> <i>ტარგი</i> (<i>Tarki</i>) </div>

4.	მავი ჩერქეზეთი	<div style="display: inline-block; border-left: 1px solid black; padding-left: 10px; margin-right: 10px;"></div> <div style="display: inline-block; vertical-align: middle;"> <p>ტემრიუკი</p> <p>ტამნი</p> <p>ტერკი</p> <p><i>Moscou</i></p> <p>აზავი</p> </div>
5.	აბასეგაა	<div style="display: inline-block; border-left: 1px solid black; padding-left: 10px; margin-right: 10px;"></div> <div style="display: inline-block; vertical-align: middle;"> <p><i>Dandars</i></p> <p><i>Baladagg</i></p> </div>
6.	დაღუხტანი	<div style="display: inline-block; border-left: 1px solid black; padding-left: 10px; margin-right: 10px;"></div> <div style="display: inline-block; vertical-align: middle;"> <p>ტარკუ (Tarku)</p> </div>

ქალაქი ქუთაისი (*Cotatis*) იმერეთის მხარის დედაქალაქია სამეცნიერო ში არსებულ რიონზე (*Faze, Phasis*), ლამაზი ციხესიმაგრით, რომელიც კლიფისა და მთის ძირშია: უწინ ეს სპარსეთის მეცნევის საბრძანებელი იყო¹.

ქალაქი ფაზისი ძღინარე რიონის (Faze) შვე ზღვასთან შესართავთან ძღვიარებს, ამჟამად თითქმის დანგრეულია: მას ტრაპიზონის საეპისკოპოსოს წოდება ჰქონდა (?).

Ծյուլօնօս, Մի՛ն Արքայի Տագա (Artaxata)², յարտղուն և ամսաշրջան Հյուծակալայիս և Կյանուրով և Կյամառով և Վահանի Տագա (Cur ou Chiur ou Cyrus). Ամպամած ոյ Առքա Արքայի Տագա, այս Առենամացր Յորակա Տագա, Թռմելու և Կարսելու Տագա և Հյուծակալայիս Տագա.

გორი (*Gori ou Ghori, Gorides*), ძღებარეობს მტკვარზე. საბარათიანოს მხარის დედაქალაქია, რომელიც საქართველოში ძღებარეობს³.

Cipiche⁴, *Media* არის ზურინის, ანუ ძველი აღმანეთის ქალაქი მდინარე თერგზე (Terra) და ჩერქეზეთის საზღვაოზე.

Stranu, უწინ Albaida მდებარეობს კასპიის ზღვაზე, თერგის შესართავთან.

¹ აქ შეკვლომაა, ალბათ “საქართველოს მეფიები” უნდა ეწეროს.

² აქ ავტორი შეცდომას უშევძნს; ანტიგური ხანის წყაროებით ცნობილი ქალაქი არტა-ქატა (არტაშატი) მდებარეობდა არარატის მთის მიდამოებში, მდ. არქაზე. ინ., თინათინ კაუხებიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, გვ. 187, 189, 273. ალბათ უნდა ეწეროს არმაქტიკა (არმატკიხე).

³ რამდენიმე აბზაცით ზემოთ აკტორი საბარათიანოს მთავარ ქალაქად ასახელებს ქ. ყარსე. არც ქ. ყარსი და არც ქ. გორი საბარათიანოს შემადგენლობაში არ ყოფილა.

⁴ ამ დასახლებული პუნქტის იღწევთივიცრება ვერ ხერხდება, თუმცა ზოგიერთი ავტორი (მაგალითად, ნიკოლა სანსონი) მას აიგვევს ალბანეთის ქალაქ კაბალასთან (ძღვებარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე).

ილუსტრაცია “ქართველები” (Georgiens) დაბეჭდილია ქაღალდზე ზომით $16,4\text{სმ} \times 9,5\text{სმ}$. ის ხელმოწერილია პ. სეინი უმცროსის (P. Seuin jn) და მ. ოგიერის (M. Ogier) მიერ, რომელთაგან პირველი მხატვარია, ხოლო მეორე – გრავიორი¹.

სურ. 6.
ილუსტრაცია დე
კრუს
წიგნიდან, 1705.

Fig. 6. The
illustration from
the book by De
La Croix, 1705.



¹ მისი გვარის ქვემოთ გაკეთებულია წარწერა Sculp (=Sculpsit), რაც იმ ეპოქაში გრავიორს აღნიშნავდა.

მხატვრული თვალსაზრისით ეს ილუსტრაცია (ისევე, როგორც ილუსტრაცია მაღეს წიგნიდან) საკმაოდ მდარეა. სათაური “Georgiens” მოთავსებულია ქვედა არშიაზე. ილუსტრაციის ზედა ნაწილში მოთავსებულია ცხოველის ტყავის და ოვალური ფარისგან შედგენილი კარტუში, რომელზეც განთავსებულია ფრინველის გამოსახულება. ეს ცხოველის ტყავი ალბათ არის ოქროს საწმისის სიმბოლური გამოსახულება, რადგან დე ლა კრუა საქართველოს აღწერისას მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ოქროს საწმისის თემას. ფრინველი კი შესაძლოა იყოს ხოხობი ან შევარდენი (ტექსტში ორივე გვხვდება)¹.

ილუსტრაციის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულნი არიან ქალი და მამაკაცი მთის ფონზე (ეს არის არარატის მთა, მის წერტე მოთავსებულია ნოეს კიდობანი). ილუსტრაცია მოიცავს ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველ ელემენტებს: ქალს თავზე ყვავილების გვირგვინი ადგას, ხელში უჭირავს დაწნული კალათა, მეორე ხელით კი მამაკაცს თაფლიან ფიჭას აწვდის. მამაკაცი შეიარაღებულია – ხელში შუბი უპყრია, მხარზე გადაკიდებული აქვს მშვილდი, კაპარჭი და ხმალი. ლაკრუას ილუსტრაცია წააგავს ილუსტრაციას მაღეს წიგნიდან, ქალის ტანისამოსი აქ თითქმის იღენტურია. რაც შეეხება მამაკაცს, მისი ჩოხა და აღჭურვილობა მსგავსია, მხოლოდ ქუდი აქ უფრო დიდი ზომისაა². ამ წიგნში ასევე არის ქართველთა მეზობელი ხალხების (სომხების, ქურთების, თურქების, სპარსელების) ილუსტრაციები, რომელთა ეროვნული კოსტიუმებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართველების ტანისამოსისგან.

¹ აღსანიშნავია, რომ თურქების ილუსტრაციაზე ამავე ადგილას ნახევარმთვარეა მოთავსებული, ხოლო სპარსელების ილუსტრაციაზე – მზე. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს გარკვეულ ეროვნულ სიმბოლიკასთან.

² XVII საუკუნის ქართველ მამაკაცთა თავსაბურავი საქმაოდ მრავალფეროვანი იყო, რაც დასტურდება როგორც კასტელის ნახატებით, ასევე არქანჯელო ლომბერტის და სხვა უცხოელი ავტორების ცნობებით. ქართველთა სამოსელის აღწერისას მსგავს ქუდს ვახუშტი ბაგრატიონიც ახსნებს – “ქუდი გრძელ-წვრილი”, ხოლო ერთმეულის პერიოდის თავსაბურავს ასე აღწერს: “თავს ქუდი გრძელი რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელი და გრძელდეწოსანი...”. იხ., ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თამარ ლომიურის და ნიკოლოზ ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941, გვ. 32.

7. ნიკოლა დე ფერის (Nicolas De Fer) ევროპის რუკა მსოფლიოს ატლასიდან, ტომი I, გვ. 75. გამოცემული პარიზში ~1700-1705 წელს (იხ. სურ. 7a, 7b).

ნიკოლა დე ფერი იყო თავისი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული და გაყიდვნანი ფრანგი კარტოგრაფი. დაიბადა 1646 წელს პარიზში. მისი მამა – ანტუანი (Antoine) რუკებით მოვაჭრე იყო, რომელიც უკვე შედგენილი რუკებისთვის ვრავიურებს ამზადებდა და ახდენდა მათ ტირაჟირებას. მამის ბიზნესი ნიკოლამ 1687 წელს ჩაიძარა. 3 წლის შემდეგ ის ვახდა ფრანგი დოფინის ოფიციალური გეოგრაფი და გამოსცა საფრანგეთის სანაპიროს ატლასი. მომდევნო 30 წელი მისთვის მეტად წარმატებული და ნაყოფიერი აღმოჩნდა: ის ჯერ ესპანეთის მეფის (რომელიც მანაძლე საფრანგეთის პროვინცია ანუს ჰერცოვი იყო) ოფიციალური გეოგრაფი გახდა, ხოლო 1711 წლის შემდეგ როგორც ესპანეთის, ასევე საფრანგეთის მეფის ოფიციალური გეოგრაფი. ამ პერიოდში მან შეადგინა მრავალი რუკა და ატლასი, რომელთა უმეტესობა ხაზს უსვამდა ბურბონთა მმართველობის დადებით მხარეებს. მის მიერ გამოცემული მსოფლიოს ატლასებიდან აღსანიშნავია “საინტერესო ატლასი” (Atlas Curieux) და “სამეფო ატლასი” (Atlas Royal), გამოცემული 1705 წელს. ნიკოლა დე ფერი გარდაიცვალა 1720 წელს; მისი მემკვიდრეობა ჩაიძარეს სამსა ქალიშვილმა და მათმა მეუღლეებმა, რომლებიც ასევე კარტოგრაფიულ საქმიანობას ეწეოდნენ.

რუკა დაბეჭდილია ქაღალდზე ზომით $18,2\text{სმ} \times 15,7\text{სმ}$. მას აქვს გრადუსული ჩარჩო. რუკის მარცხნა ქვედა კუთხეში მოთავსებულია რუკის სათაური და ავტორის ვინაობა: L'Europe Par De Fer. წარწერის გარშემო დეპორატიულ ჩარჩოს ქმნის მცენარის, ხარის და ადამიანის გამოსახულებები.

ეს არის XVII საუკუნის მეორე ნახევრის “თანამედროვე” რუკა, რომელზეც წარმოდგენილია ევროპის და მისი სამეზობლოს ძირითადი ქვეყნები. ქვეყნებს შორის საზღვრები გამოყოფილია წერტილოვანი პუნქტირით, ხოლო ევროპასა და აზიას შორის საზღვარი – წყვეტილი ხაზით. ევროპასა და აზიას შორის გეოგრაფიული საზღვარი გავლებულია დიდი კავკასიონის ქედზე (ანუ იქ, სადაც ის დღევანდელი გაგებით მდებარეობს)¹ და ემთხვევა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს.

¹ აქვე უნდა აღვინიშნოთ, რომ ამ ეპოქის სხვა კარტოგრაფების რუკებზე ევროპასა და აზიას შორის საზღვარი უმეტესად მდ. დონს ან მდ. ყუბანს ემთხვევა.



საქართველო (Georgie) აქ წარმოდგენილია, როგორც ერთიანი სუბიექტი; ცხადია, ეს არის როგორც წარსული პოლიტიკური ერთიანობის გამოძახილი, ასევე ქართველთა ეროვნული ერთიანობის გამოხატულება. ანალოგიურად, ერთიან სუბიექტებად არიან წარმოდგენილნი იტალია (Italie) და გერმანია (Allemagne), რომლებიც იმ ეპოქაში პოლიტიკურად დაჭუცმაცემულები იყვნენ.

სურ. 7a.
ნიკოლა დე
ფერის რუკა,
~1700-1705.
Fig. 7a. The
map by
Nicolas De
Fer, ~1700-
1705.



სურ. 7ბ.
ნიკოლა დე
ფერის რუპა
(ფრაგმენტი),
~1700-1705.
Fig. 7b. The
map by
Nicolas De
Fer (detail),
~1700-1705.

საქართველოს ტერიტორიაზე წერტილოვანი პუნქტობით აღნიშნულია ქალაქი სებასტოპოლი (Sauatopoli) და მეორე ქალაქი, სავარაუდოდ, ფაზისი (ფოთი), რომლის სახელწოდებაც დატანილი არ არის. ეს რუპა მეტად ზოგადია, თუმცა საზღვრის კონტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს აქ საქმაოდ დიდი ტერიტორია უკავია. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს სპარსეთი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით — ოსმალეთის აზიური ნაწილი.

8. რუპა “ბოსფორი, აზოვის ზღვა, იბერია, ალბანეთი და აზის სარმატია” (Bosporus, Maeotis, Iberia, Albania et Sarmatia Asiatica) ქრისტოფორე ცელარიუსის (Christophorus Cellarius) წიგნიდან “Notitiae Orbis Antiqui sive Geographiae Plenioris Tomus Alter Asiam et Africam“, გამოცემული ლათინურ ენაზე ლაიფციგში (Leipzig) გლედიჩის (Gleditschi) მიერ, 1706 წელს (იხ. სურ. 8ა, 8ბ).

ქრისტოფორე ცელარიუსი (იგივე ქრისტოფ კელური) დაიბადა 1634 (ან 1638) წელს. ის იყო გერმანელი მეცნიერი, რომელიც მოღვაწეობდა ვაიმარში (Weimar) და ჰალეში (Halle). მან შემოიღო ტერმინი “შუა საუკუნეები”, შექმა ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც იყოფოდა სამ ნაწილად — ძველი (Ancient), შუა საუკუნეები (Medieval) და ახალი პერიოდი (New period). მასი ატლასი “Notitiae Orbis Antiqui sive Geographiae Plenioris Tomus Alter Asiam et Africam“ უფასება პერიოდებს, პლინიუსის (უფროხსის) და პტოლემეს შრომებს. ცელარიუსი გარდაიცვალა 1707 წელს.

რუკა დაბეჭდილია ქაღალდზე ზომით $35,5\text{სმ} \times 24,5\text{სმ}$. ნაბეჭდი არე მოიცავს $31\text{სმ} \times 20,7$ სმ-ს. რუკას გააჩნია კარტოგრაფიული ჩარჩო, ასევე მარჯვენა ზედა კუთხეში – დეკორატიული ჩარჩო, რომელზეც რუკის სათაურია განთავსებული.

ეს არის ისტორიული რუკა, რომელიც ასახავს “ანტიკურ სამყაროს” და, როგორც წიგნის სატიტულო გვერდზეა მითითებული, ეფუძნება ანტიკური ხანის მეცნიერების – სტრაბონის, პტოლემეს, პლინიუსის, არიანეს და სხვათა შრომებს. წიგნში არის საქართველოს აღწერაც, რომელიც ასევე ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობებს ეყრდნობა.



ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიულ სივრცეში დატანილია სამი ქვეყანა: კოლხეთი (საკუთრივ კოლხეთი – Colchis propria), იბერია (Iberia) და ალბანეთი (Albania). ამ ტერიტორიაზე დატანილია ქართული ეთნონიმები – კოლხი (Colchi), ლაზი (Lazi), ზანი (Zani), მესხი (Moschi), Gerri (კერები?). კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთით აღნიშნულია კერკეტები (Cercetæ) და

სურ. 8a.
ქრისტოფორი
ცელაბიუსის
რუკა 1706.
Fig. 8a. The
map by
Christophorus
Cellarius, 1706.

სურ. 8ბ.
ქრისტოფორე
ცელარიუსის
რუპა
(ფრაგმენტი),
1706.

Fig. 8b.
The map by
Christophorus
Cellarius
(detail), 1706.

ალბანეთის ტერიტორიაზე დატანილია მტკვარი (Cyrus), რომელიც სათავეს
მესხეთის მთებიდან (Moschici montes) იღებს; არაგვი (Aragus), რომელსაც
უერთდება სხვა, უსახელო მდინარე; ალაზანი (Alazon), Albanus, Cœsuis, Gerrus.



ტოპონიმიკა მთლიანად ანტიკური ხანისაა. დასახლებული პუნქტები, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელია, შემდეგია: დიდი პიტუსი (Pitius

¹ ჩვეულებრივ, მდ. ჰიპოს აიგივებენ მდ. ცხენისწყალთან, თუმცა ამ ეპოქის რეაქტელობისაზე მიხვდვთ ის უკრო მდ. კლოორს შესასამგბა.

magnus)¹, დიოსკურია (Dioscurias), ფაზისი (Phasis), აფსაროსის (დღევანდელი გონიო) ციხესიმაგრე (Absarum Castellum)², სურიუმი (Surium)³, სურამი (Sura) (მდებარეობა არაზუსტია), ძალისი (Zalissa), არმაზციხე (Harmozica, Armactica), Artanissa (სავარაუდო, არტანუჯი, თუმცა ამ შემთხვევაში მისი ლოკალიზაცია მცდარია).

9. რუკა “თურქეთი აზიაში, წარსულში და თანამედროვეობაში” (Turquie en Asie, anciene et moderne) და ცნობები საქართველოს შესახებ კლოდ ბუფიეს (Père Claude Buffier) წიგნიდან “სამყაროს გეოგრაფია” (Geographie Universelle)^{XII}, მე-6 გამოცემა, პარიზი, 1739 წელი, გვ. 279 – 291. (იხ. სურ. 9ა, 9ბ).

კლოდ ბუფიე (1661 – 1737) იყო იეზუიტი თეოლოგი, ისტორიკოსი და გეოგრაფი. მოღვაწეობდა საფრანგეთში, მეტწილად პარიზში. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ნაშრომი “სამყაროს გეოგრაფია” პირველად გამოიცა 1711 წელს. ეს იყო კომპაქტური – კიბის ატლასი, რომელიც საკმარი პირველარული გახდა და მრავალჯერ გამოიცა პარიზში, ნეაპოლშა და რომში. ატლასში შესული რუკები სხვადასხვა ავტორებს ეკუთვნის, რომელთაგან გამოირჩევან: Hendrick van Loon, Faure, Denise Macquart, Dom.

რუკა დაბეჭდილია ქაღალდზე ზომით $18\text{სმ} \times 21\text{სმ}$. ატლასის მცირე ზომის გამო ($10\text{სმ} \times 17\text{სმ}$) რუკა მასში დაკეცილად არის მოთავსებული. რუკაზე დატანილია კარტოგრაფიული ბადე. საქართველოს (Georgie) უკავია ამიერკავკასიის უმეტესი ნაწილი. საზღვარი აღნიშნულია წერტილოვანი პუნქტირით, რომელიც მას აღმოსავლეთ და დასავლეთ (ამიერ და იმიერ) ნაწილებადაც ჰყოფს. დასავლეთ (იმიერ) საქართველოს ტერიტორია მოიცავს –

¹ დიდი პიტუსი (პიტიუნტი, პიტიუსი) – ბერძნული კოლონია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, თანამედროვე ბიჭვინთის ადგილას. ანტიკური ხანის ავტორები მას დიდს უწოდებდნენ, რადგან უდიდეს სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა.

² ბერძნულ-რომაულ წყაროებში გონიო ცნობილია აფსაროსის (ან აფსარუნტის) სახელით. მიწნეულია, რომ ეტიმოლოგია უკავშირდება აიეტის ვაჟის – აფსირტეს სახელს. იხ., ემზარ კახიძე. ზოგიერთი ახალი მოსაზრება აფსაროსის ეტიმოლოგიის შესახებ. ჯულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. №8, თბ., 2000, გვ. 44-53.

³ შესაძლებელია იყოს დღევანდელი ზესტაფონის რაიონის სოფ. სვირი.

აფხაზებს (Abcasses), სამეგრელოს (Mingrelie), იმერეთს (Imiret), გურიას (Guriel). საქართველოს ტერიტორიაზე დატანილია მდინარე რიონი (Fasso R), მტკვარი (Kur R), აგრეთვე Caret R¹.

სურ. 9. კლოდ
ბუფიეს რუკა,
1739.

Fig. 9. The map
by Claude
Buffier, 1739.




¹ დატანილია მხოლოდ სახელწოდება. იდენტიფიცირება გერ სერჩდება, შესაძლოა აღნიშნავდეს „კახეთს“.

დასახლებული პუნქტებიდან დატანილია ტფილისი (Teflis), Melikent¹, Chinkar². საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან მდებარეობს განჯა (Gangea) და შორვანი (Schirvan), რომლებიც აქ სპარსეთის (Perse) ნაწილად არიან წარმოდგენილნი. სამხრეთ საზღვართან (მის მიღმა) მდებარეობს სევანის ტბა (გელაქუნი, ანუ გოგჩა, აქ Giaguni).

აღმოსავლეთით მდებარეობს დაღესტანი (Dagestan), ჩრდილო-აღმოსავლეთით – ჩერქეზეთი (Circassie), ჩრდილო-დასავლეთით – კირიმი (Crimee).

რუკას თან ერთვის მასზე გამოსახული ქვეყნების აღწერა, სადაც, 287-ე გვერდზე, საქართველოს შესახებ ვკითხულობთ^{XIII}:

საქართველო (Géorgie) მდებარეობს შევ და კასპიის ზღვებს შორის, ის ავრეთვე ძოიცავს: 1. სამეგრელოს (Mingrelie), რომელიც ადრე ცნობილი იყო, როგორც კოლხეთი (Colchide); 2. იმერეთს (Imiréte); 3. გურიას (Guriel); სამი შავიზღვისპირა მხარე, რომელთა მთავრებიც ყოველწლიურ ხარჯს უხდიან თურქებს.³



სურ. 9ბ.
კლოდ ბუფიეს
რუკა
(ფრაგმენტი),
1739.

Fig. 9b. The
map by Claude
Buffier (detail),
1739.

¹ სავარაუდოდ, აქ იგულისხმება მელიქის, ანუ გამგებლის (მელიქ-მამასახლისი) სარეზიდენციო ადგილი. ლოკალიზაციის მიხედვით ეს უნდა იყოს ქართლის პროვინცია "სომხითის" მელიქის ადგილსამყოფელი.

² ამ ტოპონიმის ქართული შესატყვევისი აღბათ უნდა იყოს "წინკარი", თუმცა მისი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. ანტონიო ძატას რუკაზე ის Chiacar-ის ფორმით არის დატანილი (იხ. წყარო 11).

³ აქ ავტორი განიხილავს ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფ ქვეყნებს, შესაბამისად, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს აღწერს. სპარსეთის აღწერისას (გვ. 293) საქართველო ნახსენებია მხოლოდ განჯასთან დაკავშირებით: "განჯა, რომელიც საქართველოშია" (Gangea vers la Géorgie).

10. շոլ Ռոբերթ დე Վագոնդი (Gilles Robert de Vaugondy) հայտ “աზուրո տუրքետո” (Turquie Asiatique) աტլասում “պատմություն Առաջավագություն աტլասո” (Atlas portatif, Universelle)^{XIV}, գամուցեմուլո Կարութի 1748 წյանք (օն. ևյ. 10ա, 10ձ).

Ռոբերթ դե Վագոնդի (Robert de Vaugondy) գըարու Ծեռածուա ուսո յարթուցրացո – միջնա շոլ (Gilles) (1688 – 1766) და დօրոյ (Didier) (~1723 - 1786). օնօն Ծեռածու ցրանց յարթուցրացուն – նոյուա և նետոննե Շտամոմաշլցի ոչքեց და մուցան մըմկամուրյունու մուռցե հայցի დա գրացուցիւն ցուրդությունու. շոլ Ռոբերթ դե Վագոնդի Ծեռածու ուսո, Ռոգորց “ծափան Ռոբերթո” (Le Sieur Robert). “Առաջավագություն աტլասո” գամուց 1748-49 წյանք. մաս աշրջապա գամուց հայցի წյանք ուշանու աტլասուսատազուն (Histoire des Navigations aux Terres Australes, 1756) და յոշլուսմությունու աტլասո (Atlas Universel, 1757)

հայտ դաձեքցուունու յալալությ նումու 22սմ×28սմ. նաձեքցու արյ մուուցավ 16,2սմ×20սմ-ն. մարցենա յացա կուտեյ յակուրաց ուտեյուտեյ ჩարհուն, Ռոմելնու մուտացեցուլունու հայտ – “աზուրո տუրքետո ...” (Turquie Asiatique, Par le S^r. Robert, Geogr. ord.' du Roi, avec Privilege) და ხաֆուանո մասթիածու (Echelle lieues d'une heure).

օնցաւ, Ռոգորց XVIII և աշխանունու մյուրա նախարանու հայցի ումելյուսունա, յե հայցա յայրու նուստիւ და ար შեյուց წոնա և աշխանունուսատազուն և սիմբումաթյուր գրանցրացուուլ մեցուումեծուս ու յայրուստուցուն.

წարწերա և այս տարածուա (Georgia) յարաց մազ նու նու (Mer Noire, Mer Majeure) და կասպիուն (Mer Caspienne) նու մարու արևելյու և սովորուց, և աճաց წյերթուունունու աշխանութիւնու գամուցուունու մեմուց մեսարեց ու յարաց նու (Imireti), գուրա և գուրա (Guriel) და նու յարտլո (Haute Georgia)¹. ամ յականաս յալունու დայույսուրեბա յարու հայցի մերքա ու մարտու და յանսայուտրելու ունթյունուն ու յարու յարտլու: “և այս տարածուա յարտլու: “և այս տարածուա յարտլու:

¹ ամ մեմու յարտլո յարտլու: “և այս տարածուա յարտլու: “և այս տարածուա յարտլու:

სამხრეთ-დასავლეთის ნაწილს საზოგადო სახელად ზემო ქართლი ეწოდებოდა, საკუთრივ-კი და უფრო ხშირად მესხეთს ეძახდენენ". ის მოიცავდა შემდეგ შეარევბს: "ჯავახეთ-აბოცი, არტაპან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი"¹.

ამ რუკაზე ზემო ქართლი ძირითადად მდინარე ჭოროხის აუზს მოიცავს, ხოლო მდინარე მტკვრის ზემო წელი ქვემო ქართლის (Basse Georgie) საზღვრებშია მოქცეული. მართალია, ჰიდრონიმები დატანილი არ არის, მაგრამ მდინარეთა მოხაზულობა და კლაკნილობანი შესაძლებელს ხდის მათ იდენტიფიცირებას.

სურ. 10a.
უილ
რობერტ დე
ვაგონდის
რუკა, 1748.
Fig. 10a. The
map by
Gilles Robert
de
Vaugondy,
1748.



¹ იხ., ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფილისი, 1919, გვ. 35.

აღსანიშნავია, რომ ავტორს დატანილი აქვს მდინარე რიონის როგორც
მართებული, ასე მცდარი მიმართულება, რომელიც ალბათ სანსონის რუკიდან
არის კოპირებული (იხ. წყარო 2).

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია ერთ სუბიექტად არის წარმოდგენილი; მის საზღვრებშია მოქცეული კასპიისზღვისპირა მხარეც ქალაქ ტარკის (Tarkau) ჩათვლით.



სურ. 10ბ. ჟილ
რობერტ დე
ვოგონდის რუკა
(ფრაგმენტი),

Fig. 10b. The map by Gilles Robert de Vaugondy (detail), 1748.

დასახლებული პუნქტები აღნიშნულია წერტილოვანი პუნქტებით გრადაციის გარეშე, მხოლოდ ტფილისია აღნიშნული განსხვავებული ფორმის პუნქტით. საქართველოს ტერიტორიაზე დატანილია შემდეგი პუნქტები: ტფილისი (Teflis), გორი (Gori), ქუთაისი (Cotatis), ესჯისუმუნი (Eschisumuni), სოფია (სანტა სოფია) (Sopias), მელიკენტი (Melikent), Chincar, Schataksal; აგრეთვე, დატანილია რაჭა (Radja), რომელიც აქ მხარეს კი არ აღნიშნავს, არამედ მის მთავარ დასახლებულ პუნქტს, რაც შესაძლოა, იყოს რაჭის ერისთავის სარეზიდენციო ადგილი სოფელ წერეში.

საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით დატანილია ოსმალეთის პროვინციები ალადულია (Aladulie) და ტურკომანია (Turkomanie), აგრეთვე სპარსეთის (Perse) პროვინციები – ერევნის სახანო (Eriwan) და შირვანი (Sirwan). ერევნის სახანოსთან საქართველოს საზღვარი სევანის ტბის (Lac de Giaguni) ჩრდილოეთით არის გავლებული.

11. ქან ბატისტ ლუი კლუეს (Jean Baptiste Louis Clouet) რუკა “თურქეთი აზიაში, სპარსეთი” (Turquie d'Asie, De La Perse) ატლასიდან “თანამედროვე გეოგრაფია” (Geographie moderne), გამოცემული პარიზში 1767 წელს. (იხ. სურ. 11).

ეს ბატისტ ლუი კლუე – ფრანგი კარტოგრაფი და გეოგრაფი, დაიბადა 1729 წელს ქ. რენში (Rennes). მისი ძირითადი ნაშრომი “თანამედროვე გეოგრაფია” პირველად გამოიცა 1767 წელს, განმეორებით – 1780, 1787, 1793 წლებში. გარდაიცვალა 1790 წელს.

რუკა დაბეჭდილია ქაღალდზე ზომით $57\text{სმ} \times 40\text{სმ}$. ნაბეჭდი არე მოიცავს $55,5\text{სმ} \times 31\text{სმ}$ -ს. რუკის გარშემო სივრცე და უშუალოდ რუკის ნაწილი უკავია ტექსტს ფრანგულ ენაზე, რომელიც იძლევა ოსმალეთის აზიური ნაწილის (Turquie d'Asie) და სპარსეთის (De La Perse) აღწერას. თურქეთის აზიური ნაწილის აღწერის ბოლოს¹ ავტორი საქართველოს უთმობს ერთ აბზაცს, სადაც კითხულობთ^{XV}:

საქართველო (Georgie) ძღებარეობს თურქებს და სპარსელებს შორის. მოიცავს სამეგრელოს (Mingrelie), იმერეთს (Imirette), გურიას (Guriel). დიდი არ არის, მაგრამ ყველა ქალაქი მჭიდროდაა დასახლებული. ძოსახლეობა სულიერებით გამოირჩევა, ქალები კი იშვიათი სილამიზისანი არიან.

¹ სპარსეთის აღწერისას საქართველო მხოლოდ ერთგან არის ნახსენები: “სპარსეთის სამეფოს ჩრდილოეთით მდებარეობს საქართველო და ჩერქეზთი...” (De la Perse, Ce royaume est borne au Nord par la Georgie et la Circassie...).

სებასტოპოლი (Savatopoli) არის სამეგრელოს დედაქალაქი, იმერეთის და გურიის დედაქალაქიც ასევე იწოდება.



სურ. 11. ქან
ბატისტ ლუი
კლუეტ, რუპა,
1767.

Fig. 11. The map by Jean Baptiste Louis Clouet, 1767.

წარწერა “საქართველო” (Georgie) დატანილია შავ (Mer Noire) და კასპიის (Mer Caspienne) ზღვებს შორის. წერტილოვანი პუნქტირით გამოყოფილია შემდეგი მხარეები (ფეოდალური ერთეულები): სამეგრელო (Mingreli), იმერეთი (Imereti), გურია (Guria), ქართლი (Cardueli), ქახეთი (Kareti). ქახეთის აღმოსავლეთით დატანილია დაღესტანი (Daghistan), სამხრეთ-აღმოსავლეთით კი

შირვანი (Shirvan). საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი სამეგრელოში, დატანილია დასახლებული პუნქტი სებასტოლი (Savatopoli).

12. რიგობერტ ბონის (Rigobert Bonne) ორი რუკა: "თურქეთი ევროპასა და აზიაში" (La Turquie d'Europe et celle d'Asie) ატლასიდან "მსოფლიოს ყველა ცნობილი ადგილის ატლასი" (Atlas de toutes les parties connues du globe terrestre)^{XVI}, გამოცემული ჟენევაში 1780 წელს და "საქართველოს სამეფო და საქართველო" (Royaume de Perse et Géorgie), ატლასიდან "ენციკლოპედიური ატლასი" (Atlas Encyclopédique)^{XVII}, გამოცემული პარიზში 1787 წელს (იხ. სურ. 12ა, 12ბ, 12გ).

რიგობერტ ბონი დაიბადა საფრანგეთში 1729 წელს. 1773 წელს დაინიშნა საფრანგეთის სამეფო კარის პიდროგრაფად. მისი ძირითადი საქმიანობა იყო საზღვაო რეკების შედენი, თუმცა ასევე დაკავებული იყო რეკების შედენით ზოგადგეოგრაფიული ხასიათის ატლასებისათვის. "მსოფლიოს ყველა ცნობილი ადგილის ატლასი" მან გამოსცა ვითომ ტომას რენალიან (Guillaume Thomas Raynal), ხოლო "ენციკლოპედიური ატლასი" კი ნიკოლა დესმარესტონ (Nicolas Desmarest) ერთად. გარდაიცვალა 1795 წელს.

რუკა "თურქეთი ევროპასა და აზიაში", ატლასში განთავსებული 50 რუკიდან მე-7 რუკაა. ის დაბეჭდილია ქალალდზე ზომით $37\text{სმ} \times 25\text{სმ}$. ნაბეჭდი არე მოიცავს $32\text{სმ} \times 21\text{სმ}$ -ს. რუკაზე დატანილია ხაზოვანი მასშტაბი და კარტოგრაფიული ბადე. როგორც არშიებზე მითითებული წარწერები გვაუწყებს, კარტოგრაფიული ჩარჩოს ქვედა ხაზზე საწყის მერიდიანად აღებულია პარიზის მერიდიანი, ხოლო ზედა ხაზზე კი გუნდულ ფეროს მერიდიანი¹. რუკის სათაური² მოთავსებულია მარცხნა ქვედა კუთხეში.

¹ ქვედა არშიაზე: Long. du Meri de Paris, ზედა არშიაზე: Long. du Meri de l'île de Fer. კუნძულ ფეროს მერიდიანი პარიზის მერიდიანით 20° -ით დასავლეთით მდებარეობდა.

² La Turquie d'Europe et celle d'Asie, hors la partie situee dans l'Arabie.



სურ. 12a.
რიგობერტ
ბონის რუკა,
1780.


Fig. 12a. The
map by
Rigobert
Bonne, 1780.

რუკა ოსმალეთის (თურქეთის) ცენტრალურ ნაწილზე – ანატოლიაზეა (Anatolie) ორიენტირებული, შესაბამისად, საქართველოს უკავია რუკის მარჯვენა ზედა კუთხე. წარწერა „საქართველო“ (Georgie) ფარავს სივრცეს შავ (Pont Euxin, Mer Noire) და კასპიის ზღვებს შორის (Mer caspiene). დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დატანილია „იმერეთი“ (Imireti). დასახლებულ პუნქტებიდან დატანილია ქუთაისი (Kuteti), შორაპანი (Serapana), ფოთი (Puti), გონიო (Conie), ახალციხე (Akalzike), ტფილისი (Teflis), თელავი (Telavi). მდინარეებიდან დატანილია რიონი (Phase ou Rioni R) და მტკვარი (Cyrus ou Kur R). იმერეთსა და Abaski-ს შორის დატანილია წარწერა „კავკასიის მთები“ (Mont Caucase).

რუკა „სპარსეთის სამეფო და საქართველო“ დაბეჭდილია ქალალდზე ზომით 39,5სმ × 28,7სმ. დატანილია ხაზოვანი მასშტაბი და კარტოგრაფიული ბადე.

ROYAUME DE PERSE
ET GÉORGIE.

Par M. BONNE, Ingénieur-Hydrographe de la Marine.



სურ. 12ბ. რიგობერტ ბონის რუკა, 1787.
Fig. 12b. The map by Rigobert Bonne, 1787.

რუკის მარჯვენა ზედა კუთხეში განთავსებულია სათაური და ავტორის ვინაობა – “სპარსეთის სამეფო და საქართველო. ავტორი: ბონი, ფლოტის ინჟინერ-ჰიდროგრაფი” (Royaume de Perse et Géorgie. Par M Bonne, Ingénieur-Hydrographe de la Marine). რუკის სათაური ზედმიწევნით კარგად ასახავს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რეალობას – ამ გეოგრაფიულ არეალში ეს ორი ძირითადი პოლიტიკური სუბიექტი არსებობს და საქართველო (ქართლ-კახეთის სამეფო) დამოუკიდებელია სპარსეთის იმპერიისგან. წარწერა Georgia ფარავს ქართლ-კახეთის სამეფოს¹, თუმცა ავტორი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას ერთ სუბიექტად მოიაზრებს და ცდილობს ის მთლიანად დაატიროს რუკაზე, რასაც ფაქტობრივად ახერხებს კიდეც.

სურ. 12გ.
რიგობერტ
ბონის რუკა
(ფრაგმენტი),
1787.

საზღვრის მოხაზულობით თუ ვიმსჯელებთ, კახეთი (Caketi) მოიცავს საქამაოდ ვრცელ ტერიტორიას; მის აღმოსავლეთით მდებარეობს დაღესტანი (Daghستان), რომელსაც უკავია ვიწრო ზოლი ქართლ-კახეთის სამეფოსა და კასპიის ზღვას შორის (Mer Caspienne).



დასახლებული პუნქტების აღსანიშნავად ავტორი იყენებს ციხესიმაგრის სქემატურ გამოსახულებას გრადაციით. ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე

¹ ევროპულ წყაროებში ქართლ-კახეთი მოიხსენიება, როგორც “საკუთრივ საქართველო”. იხ. მალუსი, დოფ ვალის და დი ლა კრუს ცნობები საქართველოს შესახებ.

აღნიშნულია დასახლებული პუნქტები: ტფილისი (Teflis), გორი (Gori), თელავი (Telavi), ხუნანი (Cumanı)¹, ბახტრიონი (Bactrioni)², ალი (Ali), სურამი (Surami)³. დასაცლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დატანილია სამეგრელო (Mingrelie) და გურია (Guria). იმერეთის ტერიტორია (სახელწოდება დატანილია არ არის) საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი (მოიცავს ფოთს). აღნიშნულია შემდეგი დასახლებული პუნქტები: ისგაური, ანუ სებასტოპოლი (Isgaur ou Sebastopoli)⁴, ილორი (Ilori), ანაკლია (Anarglia), ფოთი (Poti), ოზურგეთი (Ozurgeti), ქუთაისი (Cotatis), ონი (Oni), აჯამეთი (Ajameti). რუკაზე კარგად ჩანს, რომ ახალციხე (Acalzike), ხახული (Caculi), სპერი (Ispira), ისევე, როგორც გონიო (Gonie) და გურიის სამთავროს სხვა ტერიტორიები მდინარე ჭოროხის (ანუ მდინარე ბათუმის, აქ: Batum) სამხრეთით, ოკუპირებულია ოსმალეთის მიერ (მის საზღვრებშია მოქცეული).

აქვე გვსურს აღნიშნოთ, რომ რიგობერტ ბონის ამავე ატლასში არის ოსმალეთის იმპერიის რუკაც, რომელზეც საქართველო ფაქტობრივად წარმოდგენილია ისევე, როგორც ზემოთ აღწერილ რუკაზე.

13. ილუსტრაცია “ქართველის ჩაცმულობა 1768 წელს” (Habit of a Georgian in 1768), ტომას ჯეფერისის (Thomas Jefferys) მიერ 1772 წელს ლონდონში გამოცემული ოთხტომეულის – “სხვადასხვა ერთა ჩაცმულობის კოლექცია” (A Collection of the Dresses of Different Nations...)^{XVIII} მე-3 ტომიდან, გვ. 34⁵ (იხ. სურ. 13).

¹ ხუნანი – ისტორიული ციხე-ქალაქი მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდ. ქციის შესართავთან.

² ბახტრიონის დაფიქსირება XVIII საუკუნის ამ, ისევე, როგორც სხვა ევროპულ რუკებზე, 1660 წლის ეპოქეს გამობაზელი უნდა იყოს.

³ ალი და სურამი ავტორს ოსმალეთის საზღვრებში აქვს მოქცეული, რაც არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს.

⁴ აქ ავტორი ისგაურს სებასტოპოლითან აიგივებს, თუმცა სხვა ავტორებთან ეს ორი სხვადასხვა დასახლებული პუნქტია (იხ. წყარო 14).

⁵ ტომას ჯეფერისის წიგნში წარმოდგენილი ქართველის ილუსტრაცია გადმოღებულია ლე პრინცის (J. B. Le Prince) მიერ 1768 წელს პარიზში გამოცემული აღბომიდან.

ტომას ჯეფერისი (დაიბადა დაახლ. 1695 წელს, გარდაიცვალა დაახლ. 1771 წელს) იყო მეტად პროდუქტორი ინგლისელი გამომცემელი, გეოგრაფი, კარტოგრაფი და გრავიორი. ადგენდა რუკებს როგორც სახელმწიფო დაკვეთით (ის იყო ინგლისის მეფის, გორგი III-ის გეოგრაფი), ასევე კომერციული მაზრებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი ინგლისის და ჩრდილოეთ ამერიკის რუკები.

ილუსტრაცია დაბეჭდილია ქალალდზე ზომით $33,5\text{cm} \times 23\text{cm}$. მასზე გამოსახული მამაკაცის ვინაობა უცნობია, თუმცა მდიდრული ჩაცმულობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის დიდგვაროვანთა ფერის წარმომადგენელი უნდა იყოს. მისი ჩაცმულობა, ეპოქის შესაბამისად, განსხვავდება ჩვენ მიერ აქამდე განხილული ნიმუშებისგან.

სურ. 13.
ილუსტრაცია
ტომას
ჯეფერისის
წიგნიდან, 1772.
Fig. 13. The
illustration from
the book by
Thomas Jefferys,
1772.



14. ანტონიო ძატას (Antonio Zatta) რუკა “თურქეთი აზიაში...”,

გამოცემული ვენეციაში 1784 წელს (La Turchia D'Asia...)¹, ატლასიდან “უახლესი ატლასი” (Atlante Novissimo)^{XIX}. (იხ. სურ 14ა, 14ბ).

ანტონიო ძატა (1757 - 1797) – კენციული კარტოგრაფი და რუკების გამოცემული. თავისი მოღვაწეობის მანძილზე გამოსცა მაღალი სამუცნიერო და შემოქმედებითი ხარისხით გამოჩეული მრავალი რუკა და ატლასი, რომელთაგან ყველაზე ცნობილია ოთხტომეტული “უახლესი ატლასი” (Atlante Novissimo), გამოცემული 1774 - 1785 წლებში.

რუკა დაბეჭდილია ქალალდზე ზომით 54სმ×38სმ. დატანილია კარტოგრაფიული ბადე. სათაური მოთავსებულია მცენარეებისგან შექმნილ დეკორატიულ ჩარჩოში. რუკა საკმაოდ დეტალურია და ზოგადად მაღალი პროფესიონალიზმითაა შესრულებული. წარწერა “საქართველო” (Giorgia) ფარავს საქართველოს მთელ ტერიტორიას – მის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს, რომლებიც ერთმანეთისგან წერტილოვანი პუნქტირითაა გამოყოფილი. დასახლებული პუნქტების აღნიშვნისთვის გამოყენებულია პირობითი ნიშნები – წერტილოვანი პუნქტები და სხვადასხვა ზომის ვარსკვლავის ფორმის ნიშნები. ამ სახით საქართველოს ტერიტორიაზე ორი ქალაქია დატანილი – ტფილისი (Tiflis) და გურიიელი (Guriel), რაც ამ რუკაზე აღნიშნავს არა მხარეს, არამედ მის მთავარ ქალაქს, რომელიც მდებარეობის მიხედვით ბათუმს შეესაბამება² (მის სამხრეთით დატანილია გონიო). საყურადღებოა, რომ ბათუმი ამ დროშიც გურიიელის სარეზიდენციო ქალაქად არის წარმოდგენილი³.

¹ La Turchia D'Asia che comprende L'Anatolia, la Giorgia, l'Armenia, il Curdistan, il Diarbec, l'Irak-Arabia, la Siria & c. - Venezia 1784 Presso Antonio Zatta, e Figli con Privilegio dell'Eccmo Senato.

² ანტონიო ძატას ამავე ატლასის სპარსეთის იმპერიის (L'Impero della Persia) რუკაზე ის აღნიშნულია, როგორც ბათუმი (Batum). ამავე რუკაზე გურიის სამთავროს საზღვარი გონიოსთან არის გავლებული.

³ თურქების მიერ ბათუმის ოკუპაციის ზუსტი თარიღი უცნობია; ის, რომ ბათუმი XVII საუკუნის მეორე ნახევარშიც გურიის სამთავროს შემადგნელობაში იყო, უან შარდენსაც აქვს აღნიშნული თავის ჩანაწერებში საქართველოს შესახებ. საგარაუდოდ, ბათუმის ოკუპაცია XVIII საუკუნის პირველ ნახვარში, კერძოდ კი 1726 წელს მოხდა, თუმცა ამის შემდეგაც გრძელდებოდა გურიის მთავრების ბრძოლა მის დასაბრუნებლად. იოპან



სურ. 14ა.
ანტონიო
ზატას რუკა,
1784.

Fig. 14a. The
map by
Antonio Zatta,
1784.

დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი დასახლებულ პუნქტი ისგაურს (Isgagour)¹ და სოხუმს (Sakoum) შორის მდებარეობს. ისგაურის დასავლეთით დატანილია ანაკოფია (ახალი ათონი) (Anakopia) და ბიჭვინთა (Bisjunta). დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დატანილია შემდეგი

ანტონ გიულდენშტედტის მიხედვით, 1772 წელს ოურქებს უკვე ოკუპირებული ჰქონდათ ტერიტორიები ციხისძირის სამხრეთით, ბათუმის და აჭარის (მდ. აჭარისწყლის) ხეობის ჩათვლით. იხ., გიულდენშტედტის მოზაურობა საქართველოში. თბ., 1962, ტომი I, გვ. 315; აგრეთვე: თური სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. წიგნი 2. ბათუმი, 1959. გვ. 7-8; აგრეთვე, ვ. იაშვილი. აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი, 1958.

¹ მიმჩნევენ, რომ ისგაური არის დღევანდელი სოფ. სკურჩა, ოუმცა აქ (ისევე, როგორც რიგ ევროპულ რუკებზე) ის სებასტონოლის ჩრდილოეთითაა დატანილი, რაც ეწინააღმდეგება ამ ვარაუდს. რიგობერტ ბონეს რუკაზე ისგაური სებასტონოლთან, ანუ სოხუმთან არის გაიგივებული (იხ. წყარო 12). ისგაურს, როგორც სამეგრელოს სამთავროს ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო ადგილს, მოხსენიებს ჟან შარდენიც.

დასახლებული პუნქტები: მოქვი (Mokowi), Tranta (სავარაუდო, დრანდა)¹, ანაკლია (Anarglie), ცაგერი (I[=T]sagueri), ხობი (ხოფი) (Kopu), ქუთაისი (Contetis), საზანო (Sazane), Corabani (სავარაუდო, შორაპანი ან ქოლობანი), ბაღდათი (Bogdati), ხარაგაული (Karageouli), გონიო (Gounea), ახალციხე (Akalzike), ახალქალაქი (Akalkalaki)², აწყური (Usker), ართვინი (Artvini), ახა (Ancha) და ა.შ. დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში დატანილია ქართული ეთნონიმი – “სუანები” (Souanes).

სურ. 14ბ.
ანტონიო
ძატას რუპა
(ფრაგმენტი),
1784.
Fig. 14b.The
map by
Antonio Zatta
(detail), 1784.



აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებში მდებარეობს შემდეგი დასახლებული პუნქტები: ახაბეთი (Archabeti), ძეგამი (Zaghen), ბახტრიონი (Bae[=c]triani),

¹ აგრეთვე დატანილია დანდარი (Dandar), თუმცა ლოკალიზაციის მიხედვით ის დრანდას არ შექმნაშება.

² მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ახალქალაქი და ახალციხე ოსმალეთის მიერ იყო ოკუპირებული, ანტონიო ძატა ამ ქართული ქალაქების სახელწოდებებს, სავსებით მართებულად, ქართული ფორმით გადმოგვცემს (სახელობითი ბრუნვის ბოლოსართით).

გორი (Gori), ალი (Ali)¹, ტფილისი (Tiflis), Tomanis (სავარაუდოდ, დმანისი), Damsia, Chiacar, ლორე (Lore). აღნიშნულია მხარე “ქიზიყი” (Kiciki), თუმცა, იმის გამო, რომ დარღვეულია პროპორციები, მას რეალურზე მცირე ფართობი უკავია. საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი გადის ალაზნის აღმოსავლეთით, მთიან რელიეფზე, შემდეგ ალაზნის და მტკვრის შესართავთან იღებს დასავლეთის მიმართულებას სევანის ჭბისკენ, სადაც მის ჩრდილოეთით გაივლის. ჰიდროგრაფიული ქსელი საკმაოდ სრულად არის ნაჩვენები, დატანილია ჯავახეთის ტბებიც, თუმცა სახელწოდებები აღნიშნული არ არის (მოხაზულობის და ლოკალიზაციის მიხედვით მათი იდენტიფიცირება არ არის როგორი). აღნიშნულია კავკასიის მთები (Monte Caucaso), რომელიც (ისევე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი), საქართველოს საზღვრებშია მოქცეული.

¹ ალი ამ რუკაზე ორჯერ არის აღნიშნული — ერთი ქ. გორთან (ის მდებარეობის მიხედვით შეესაბამება ხაშურის რაიონში მდებარე სოფელს, რომელიც XVII–XVIII საუკუნებში მნიშვნელოვანი ქალაქი იყო), ხოლო მეორე, ასალციხის სიახლოესს.

European maps and historical sources about Georgia, XVI-XVIII centuries (Summary)

The European historical sources represented in this book (from the private collection of the author), for the most part consist of maps drawn by European cartographers of XVI-XVIII centuries, which, despite of many inaccuracies, may signify quite interesting graphic records of Georgian history.

On the peak of its power, United Kingdom of Georgia was not appropriately documented by maps due to underdevelopment of cartography in earlier times, although previous political-cultural borders of Georgia found reflection in the maps of XVI-XVIII centuries – as a term describing geographical area with a modern meaning of the Caucasus.

Borders of Georgian kingdoms and provinces of XVI-XVIII centuries are documented by Georgian historical sources and maps, as well as by European historical sources and the maps which have not been comprehensively studied till now, as in the past, the most of these maps were not available to Georgian researchers of historical geography. It should be mentioned, that these maps require thorough, complex study, critical analysis and verification by other historical documents in order to attain a scientific value.

The sources represented in this book, have been taken from the printed editions, which were produced in sufficient number and were widely available to European society. Looking through these sources enables us to see clearly how the European general public and ruling elite knew Georgia and Georgians in the reviewed epoch.

Besides the cartographic material, as far as possible we review the illustrations and text sources that sometimes are added to maps and enrich them with information. This is a very little part of the available information on Georgia and Caucasus that European sources have preserved for us, and in later editions we will try to review them more completely.

+ + +

Ancient Georgian kingdoms of Colchis and Iberia, as well as kingdom of Georgia, were well known for civilized world and were displayed even in the earliest maps. Unfortunately, most of these early maps have not survived to our time, and all the maps depicting the ancient world are later reconstructions of the originals. The most of the maps produced in Europe in X-XIII centuries are very basic and far from reality, mostly focusing on bible places. Only from XIII century, Portuguese map makers started to compile maps which were fairly accurate, but mostly focusing on seaside areas (these maps are called sea charts, or Portolanes). The most of these maps show only the coastal part of Georgia, while some of them show whole its territory (e.g. the map by Pietro Vesconte and Marino Sanudo, dated to 1321).

Mapmaking was significantly improved in XVI-XVII centuries, the epoch when Kingdom of Georgia had lost its previous power and suffered a political and economical decline as a result of hostile expansion of its neighboring Turkish (Ottoman) and Persian empires. The expansion of these Empires endangered existing trade routs from Europe to Asia, encouraging European travelers to explore lands for searching new trade routes, which resulted new geographic discoveries and significant increasing of the geographical knowledge. Rediscovery of Ptolemaic works in XV century also contributed to the advancement of mapmaking business. The invention of print press resulted the wide availability of maps.

This book covers only XVI-XVIII centuries, the epoch when mapmaking had become more accurate and up-to-date. Maps based on works of ancient geographers like Ptolemy, represent the bulk of maps compiled in XV-XVI centuries, but not representing the actual world, they have little value for study the history of Georgia of XVI-XVIII centuries. On these, so called Ptolemaic maps, Georgia is represented with its ancient names – Colchis & Iberia. The maps focusing only on Georgia are not many; but the most of maps of Asia Minor, Turkish and Persian empires also include quite detailed depiction of Georgia.

Some XVIII century European maps are based on works of Georgian authors (e.g. the map of Georgia by Joseph-Nicolas Delisle which is based on the map compiled by Vakhushti Bagrationi). These maps are well known for Georgian historians and for that reason we will not review them in this volume.

Information about Georgia and surrounding area was brought to Europe and particularly to European mapmakers by travelers, diplomats, merchants and mostly by catholic missionaries who visited Georgia or stayed there for years. In order to verify borders of Georgian states, mapmakers could successfully obtain information from its neighboring countries – Turkish Empire and Persia, where Europeans maintained considerable presence.

Text description of Georgia (by Joannis Luyts, Allain Manesson Mallet, A. Pherotée De La Croix), depicts it as a Christian country of abundant wine making and beautiful women¹. Origin of the name Georgia is associated with its patron saint – St. George. Historical outline takes account of ancient kingdoms of Colchis & Iberia, where story of Argonauts and Golden Fleece takes major part. The most famous rivers in Georgia are Phasis (Rioni), which has given its name to bird Pheasant, and Kur (Mtkvari). Tbilisi is a town of well developed trade, serving as a capital of whole Georgia, though the sources also cite Kutaisi as a former capital. Georgian kings pay tribute to Persia or Ottomans, depending on the political circumstances. Poverty and slave trade with the Ottoman Empire are the main weaknesses of west Georgia.

To generalize, the reviewed European maps and text sources (not including antique, or so called Ptolemaic maps) represent Georgia as either one entity, or as two kingdoms (east and west) with constituent principalities. According to some authors, Georgia bears meaning of geographical area that is modern Caucasus (as a reflection of former cultural-political borders of the united kingdom of Georgia). In this case, the East Georgian state (kingdom of Kartli-Kakheti) as a legal successor of the united kingdom of Georgia is distinct as “Georgia Proper”, while west Georgia (kingdom of Imereti (which means in Georgian language “that side of” [Georgia]))

¹ For the original (Latin, German, French) texts, see pages 55 – 60.

is marked as Mengrelia or Imereti (these have an analogous value). The major towns (capitals) of Georgian kingdoms and principalities are: for Samegrelo/Mengrelia (Odishi) – Sebastopoli (present day Sokhumi/Sukhumi), for Abkhazeti/Abkhazia – Santa Sofia (existed near the present day village Alakhadzi), for Guria – Batumi (Batoum, Lonati, Vati, Vartlui, Guriel), for Imereti – Kutaisi (Cotatis), for Kartli (and for Georgia) – Tbilisi (Tiflis), for Kakheti – Dzegami (Zagemi). The other populated places, which can be identified on the territory of Georgia, are: Gori, Poti, Akhaltsikhe, Akhalkalaki, Ali, Ajameti, Tamishi, Anaklia, Telavi, Sazono, Bakhrioni, Ozurgeti, Surami, Chkhari, etc.

Chronological order of historical sources here is based on the issue date. Each source is accompanied with an explanation – including the name of an author and the printing date of a map or other source. All the authentic materials used in this book, are kept in private collection and are available for reviewing.

Source 1. The map "Persia Nova Tabula" by Jacopo (Jacomo) Gastaldi, from the atlas "La Geografia Di Claudio Ptolomeo Alessandrino..." published in Venice, in 1548. (Fig. 1a, 1b).

Source 2. The map "Turkomanie, Georgie, Comanie" by Nicolas Sanson (first issued in 1652) and description of Georgia from the book "Introductio ad Geographiam novam et veterem..." by Joannis Luyts, published in 1692. (Fig. 2a, 2b).

Source 3. The map "Georgie" by Pierre Du Val, from the atlas "Le Monde ou la Geographie Universelle", first issued in 1663. Later it was edited and reissued in 1682. This example is from the edition of 1682. (Fig. 3).

Source 4. The map "Georgia, Comania" by Robert Morden, from the book "Geography rectified..." published in London by Robert Morden and Thomas Cockerill, in 1680. Later editions appeared in 1688, 1693 and 1700. This example is from the edition of 1680. (Fig. 4).

Source 5. Two maps of Georgia & Armenia (contemporary and ancient), illustration "Georgians" and description of Georgia from the book "Description de L'Univers, Asie ancienne et moderne..." volume II, by Allain Manesson Mallet, published in Paris, in 1683. (Fig. 5a, 5b, 5c).

Source 6. The illustration "Georgiens" and description of Georgia from the book "Nouvele Metode pour Aprendre la Geographie Universele..." by A. Pherotée De La Croix, printed in Lion, in 1705. (Fig. 6).

Source 7. The map of Europe by Nicolas de Fer, published circa 1700-1705. (Fig. 7a, 7b).

Source 8. The map "Bosporus, Maeotis, Iberia, Albania et Sarmatia Asiatica" from the book "Notitiae Orbis Antiqui sive Geographiae Plenioris Tomus Alter Asiam et Africam", by Christophorus Cellarius, printed in Leipzig by Gleditschi, in 1706. Based on works of Herodotus, Pliny the Elder, Ptolemy, etc. (Fig. 8a, 8b).

Source 9. The map "Turquie en Asie, anciene et moderne" from the book "Geographie Universelle..." by Père Claude Buffier, printed in Paris, in 1739. (Fig. 9a, 9b).

Source 10. The map "Turquie Asiatique..." from "Atlas portatif, Universelle..." by Gilles Robert de Vaugondy, printed in Paris, in 1748. (Fig. 10a, 10b).


Source 11. The map "Turquie d'Asie, De La Perse" from "Geographie moderne" by Jean Baptiste Louis Clouet, published in Paris in 1767. (Fig. 11).

Source 12. Two maps by Rigobert Bonne: "La Turquie d'Europe et celle d'Asie" from "Atlas de toutes les parties connues du globe terrestre" published by

Guillaume Thomas Raynal in Geneve, in 1780, and "Royaume de Perse et Georgie", from "Atlas Encyclopedique", published by Nicolas Desmarest in Paris, in 1787. (Fig. 12a, 12b, 12c).

Source 13. The illustration "Habit of a Georgian in 1768" by Thomas Jefferys, from "A collection of the dresses of different nations", Volume 3, published in London, in 1772. (Fig. 13).

Source 14. The map " La Turchia D'Asia che comprende L'Anatolia, la Giorgia, l'Armenia, il Curdistan, il Diarbec, l'Irak-Arabia, la Siria & c." from "Atlante Novissimo" by Antonio Zatta, printed in Venice, in 1784. (Fig. 14a, 14b).



შენიშვნები

